“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№1 (291)
იანვარი
2023 წელი
ფასი 60 თეთრი

გამოცემის ოცდამეხუთე წელი

”LITERATURULI MESKHETI”

„ლიტერატურული მესხეთის“ გამოცემის 25-ე წელი

გილოცავთ!

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ გამოცემის 25-ე წელი დაიწყო. დღემდე გაზეთმა რთული გზა განვლო, მიუხედავად ამისა ეს დრო თქვენთვის საკმაოდ ნაყოფიერი და სასახელო გამოდგა!

ამ ხნის განმავლობაში თქვენ შეძელით მრავალრიცხოვანი მკითხველის გულის მოგება, რასაც მოყვა დამსახურებული დაფასება და აღიარება!

წლებია „ლიტერატურული მესხეთი“ ჩვენი რეგიონის კულტურული და ლიტერატურული ცხოვრების სადარაჯოზე დგას. ყოველი ახალი ნომერი საინტერესოდ იკითხება, რადგან თითოეულ ფურცელზე ჩვენი ხალხის, მესხთა და სრულიად ქართველთა სუნთქვა, გულისცემა, დარდი და აღმაფრენაა ჩაქსოვილი.

გაზეთ „ლიტერატული მესხეთის“ რედაქცია წლებია დაუღალავად, მუხლჩაუხრელად და პატიოსნად ემსახურება და პოპულარიზაციას უწევს ჩვენი რეგიონისა და ქვეყნისათვის ისეთ მნიშვნელოვან საქმეს, როგორიცაა ჩვენი ისტორიის, კულტურის, ტრადიციების პატივისცემა და სიყვარული, ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება და განმტკიცება!

გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ არის სამცხე-ჯავახეთის თანამედროვე მემატიანე და მაჯისცემა!

გილოცავთ ამ მეტად მნიშვნელოვან თარიღს, გამოცემის 25-ე წლის იუბილეს, გისურვებთ წარმატებებს!

ბესიკ ამირანაშვილი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული

გაზეთი, რომელიც იტევს ეპოქებს

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოკიდებულება გაზეთ „ლიტერატურული მესხეთისადმი“ თავიდანვე იყო განსაზღვრული და გამორჩეული. „ლიტერატურული მესხეთი“ საქართველოს შემოქმედებით ცხოვრებაში გამოჩნდა ყველაზე რთულ დროს. მას არ ჰქონდა არც ტრადიცია და არ ჰყავდა წინამორბედი გაზეთი, რომლის საქმესაც გააგრძელებდა.

სამხრეთ საქართველო მიჩვეული იყო სარაიონო გაზეთების პოლიტიკური და კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდისტულ ფუნქციას. მე-20 საუკუნის განმავლობაში სარაიონო გაზეთებმა გარკვეული შეფარული არაპოლიტიკური პუბლიკაციებით შექმნეს გარკვეული ლიტერატურული ფონი. არსებობდა ასევე მწერალთა კავშირის რეგიონული ფილიალი, რომლის ხელმძღვანელობაც ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებდა ცენტრისა და რეგიონის ლიტერატურულ ცხოვრებას შორის. დრომ მოამზადა ნიადაგი დამოუკიდებელი გაზეთების შექმნელად. მთავარი იყო, რომ დამოუკიდებლობა ქცეულიყო იდეურ დამოუკიდებლობად და გავთავისუფლებულიყავით კომუნისტური მენტალობისაგან.

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა მესხეთში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის შექმნა, რომლის არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სალიტერატურო-შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა იყო. ამ დროს, 1990 წლის დეკემბერში გამოდის ფილიალის გაზეთი – „მესხეთი“. მას, ისევე როგორც სხვა გაზეთებს, მხოლოდ ლიტერატურული პროფილი ვერ ექნებოდათ. არადა, აშკარად იგრძნობოდა ლიტერატურული გაზეთის არსებობის საჭიროება.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ლიტერატურული ტრადიციის მქონე ისეთი ოჯახის წარმომადგენელი, როგორიც ბატონი ავთანდილ ბერიძეა. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი გაზეთის ფუნქცია, დანიშნულება, მისი როლი რეგიონის (მესხეთის) თანამედროვე ისტორიის შექმნაში. საჭირო იყო ინტელექტუალური შემოქმედებითი ძალების მხარდაჭერა. იდეამ და ღირებულებების საერთოობამ განაპირობა, რომ თსუ ახალციხის ფილიალი, როგორც ინსტიტუცია და ბატონი ავთანდილ ბერიძე, როგორც კერძო პირი აფუძნებენ „ლიტერატურულ მესხეთს“.

იმ პერიოდში ბევრი ახალი გაზეთი გაჩნდა. მონატრებული თავისუფლება გამოიხატებოდა იმით, რომ ბევრს გაუჩნდა თავისუფალი სიტყვის თქმის საშუალება, თუნდაც საკუთარი ტრიბუნიდან. ეს თავისუფლება გაზეთების სიმრავლეში აისახა, თუმცა სიტუაცია დროებითი და კონიუქტურული აღმოჩნდა .

ბევრს ეეჭვებოდა, რომ „ლიტერტურული მესხეთი“ დროს ვერ გაუძლებდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ შემოქმედებითი რესურსი მესხეთს არ ჰქონდა. ასე არ ფიქრობდა გაზეთის რედაქტორი, რომელმაც რეგიონული მიზნები და ფუნქცია არ იკმარა და გაზეთი აქცია ზოგადქართულ ლიტერტურულ გაზეთად.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გაზეთის არსებობის განმავლობაში ნომერი არ ჩავარდნილა, არ ყოფილა თემატური სიღარიბე. გაზეთი არ არის მხოლოდ ერთეული ავტორების შემოქმედების იმედზე. მას აქვს მასშტაბური ხედვა მესხეთის ისტორიული, თანამედროვე და მომავალი პერსპექტივების შესახებ და არა მხოლოდ შემოქმედებითი კუთხით.

გაზეთმა გააცოცხლა მინავლებული მესხური სული, რომელიც მრავალი ფაქტორის გამო ჩრდილში იყო მოქცეული. მას გამხნევება, წახალისება, წარსულის დაფასება და მომავლის იმედი სჭირდებოდა. ეს ყველაფერი შეძლო „ლიტერატურულმა მესხეთმა“.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით ვულოცავთ გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“ ღირსეულად გავლილ წლებს. ასეთივე ღირსებითა და შემართებით საქმიანობის გაგრძელებას ვუსურვებთ მის რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს, გაზეთის ავტორებსა და მკითხველს.

მაკა ბერიძე,
რექტორი, პროფესორი

ვულოცავ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის” გამოცემის 25-ე წლის იუბილეს

„ლიტერატურული მესხეთის“ დაარსების დღიდან გაზეთის წარმატებაში დიდი შრომაა ჩადებული, რამაც შედეგი გამოიღო და გაზეთს მკითხველი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჰყავს. დღეისათვის გაზეთი 2800-მდე ტირაჟით ვრცელდება.

გაზეთის ერთ-ერთი დამფუძნებლის ავთანდილ ბერიძისა და სარედაქციო საბჭოს თავდაუზოგავი შრომით, უდიდესი ძალისხმევითა და სამცხე-ჯავახეთის სიყვარულით, გაზეთი რეგიონის ლიდერად ჩამოყალიბდა.

გისურვებთ წინსვლას და ჩვენი რეგიონისთვის სასიკეთო საქმეების კეთებას.

„ლიტერატურული მესხეთის“ სარედაქციო საბჭოს თითოეულ წევრს ვუსურვებ კიდევ უფრო მეტ წარმატებებს პროფესიულ კარიერაში. მჯერა, რომ ერთგული მკითხველი არასოდეს მოგაკლდებათ.

კიდევ მრავალი წელი ღირსეულად გეტარებინოთ საუკეთესო გაზეთის სახელი.

ანტონ ოგოლაშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი

ქართული სიტყვის ერთგულებით

მესხეთი საქართველოს მარგალიტია. ის, როგორც საქართველოს გეოგრაფიული პროვინცია, ყოველთვის სცილდებოდა პროვინციის ჩვეულებრივ გაგებას და მუდამ ერთ-ერთი ცენტრი იყო დიდი ქართული კულტურისა. ბუნებრივია, რადგან ის ხომ ქართული ფილოსოფიურ-მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების მნვერვალის – შოთა რუსთაველისა და ასევე უდიდესი ქართველი ქრისტიანულ-მისიონერული მოღვაწე ჰაგიოგრაფ მწერლის – „ზეცისა კაცის და მიწისა ანგელოსის” გრიგოლ ხანძთელის სამკვიდრო მხარეა. „იქ გაფანტული კულტურის ნაშთები სულია ჩვენი ერისა,” – წერდა მესხეთის შესახებ ჩვენი გენიოსი ვაჟა-ფშაველა. გარეშე მტერთა გამუდმებულმა შემოტევებმა, ისტორიის ძნელბედობამ ქართული კულტურის ამ ოაზისში ბევრი რამ იავარქმნა, გაანადგურა. როგორც იტყვიან – „ნაშთი ძველი დიდებისა” შემორჩა მხოლოდ. საჭირო და აუცილებელიც გახლდათ ამ მხარეში არ ჩამქრალიყო და არ მინელებულიყო კულტურული ცხოვრება, რის ფლაგმანადაც უკვე მეოთხედი საუკუნეა გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი” გვევლინება. მის ირგვლივ მოხდა სწორედ აქაური კულტურულ-შემოქმედებითი ძალების შემოკრება. გაზეთმა „ლიტერატურულმა მესხეთმა” შესძლო მთელი ამ ხნის მანძილზე ამ მხარეში მშობლიური ენისადმი ერთგულება და ქართული სიტყვისადმი რუდუნებით მსახურება.

საგანგებოდ აღსანიშნავია ამ გაზეთის მთავარი რედაქტორის, მრავალმხრივ მოღვაწე კაცის, ბატონ ავთანდილ ბერიძის მუხლჩაუხრელი ამაგი და დამსახურება, რომ ეს გაზეთი არსებობს და დღენიადაგ აცოცხლებს დღევანდელი მესხეთის კულტურულ ცხოვრებას, რაც, თავისთავად, დიდი ქართული კულტურის გვერდით მყარად დგომაც გახლავთ.

მკითველთა სიმრავლე, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი და შენევნა ვუსურვოთ ამ დიდებულ გაზეთსა და მის ამაგდარ რედაქტორს.

დავით შემოქმედელი,
სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი

გილოცავთ გაზეთის გამოცემის 25-ე წლის იუბილეს

თქვენი გაზეთი ჩვენი რეგიონის დიდი მემატიანეა, რომელიც ფეხდაფეხ მიყვება დროს, მის არსებობას, წარმატების, განვითარების ქრონიკებს.

,,ლიტერატურული მესხეთის” ფურცლებზე აღბეჭდილი თითოეული მოვლენა თუ ფაქტი, ჩვენი წარსულის გაცოცხლებაა, ახალი ემოცია და განცდაა. ყოველი ახალი გამოცემული ნომერი ჩვენი რეგიონის სიახლეა, ლიტერატურულ-შემეცნებითი, ასევე ქართული პოეზიის გამოძახილია ჩვენი ისტორიის ქრონიკებიდან.

მინდა დიდი პატივისცემით მოგილოცოთ ყველას, მთელ თქვენს გუნდს, გაზეთის თითოელ თანამშრომელს, მისი სულისა და გულის ჩამდგმელს, გაზეთის რედაქტორს, ,,საპატიო ასპინძელს” ბატონ ავთანდილ ბერიძეს ,, ლიტერატურული მესხეთის” გამოცემის 25-ე წლის იუბილე.

გისურვებთ წინსვლასა და უფრო მეტი სასარგებლო საქმის კეთებას ქვეყნისა და ასპინძისთვის.

ჩვენ გვჯერა, რომ ერთგული მკითხველი არასოდეს მოგაკლდებათ. მრავალი წელი ღირსეულად გეტარებინოთ თქვენი გაზეთის სახელი!

პატივისცემით,

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი

როსტომ მაგრაძველიძე

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის” შემოქმედებით კოლექტივს

ბატონებო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, საქართველოს ყოველ კუთხეში მოღვაწე ქართველი მწერლები, ვისაც საქართველოსთვის და ქართულად უმგერს გული, დიდი სიყვარულით მოგესალმებიან და გილოცავენ თქვენი და ჩვენი ძვირფასი გაზეთის „ლიტერატურული მესხეთის“ გამოცემის 25-ე წლისთავს.

ჩვენ, ყველას, თქვენი მშვენიერი გაზეთის ჭეშმარიტ გულშემატკივარს, სრულად გვაქვს გასიგრძეგანებული, რომ „ლიტერატურული მესხეთი“ არ არის ერთი რიგითი ლიტერატურული ორგანო. ის საქართველოს, ჩვენი საესავი სამშობლოს ერთ-ერთ მედროშეს წარმოადგენს, ნამდვილ და მუხლჩაუხრელ მეციხოვნეს, რომელიც ძველქართული რწმენითა და სასოებით იცავს მამულს ავთვალი და გულხენეში გადამთიელების ზრახვებისაგან – გადათელონ ქართული სულის, ქართული სულიერების ჰეგემონია ამ უძველეს ქართულ მიწაზე, მესხეთი რომ ჰქვია სახელად, იმ მიწაზე, რომელმაც კაცობრიობას ღვთიური შოთა რუსთაველი აჩუქა ყველა ნახმლვევისა და ნაირალის სალბუნად, ის შემოქმედი, რომელმაც ჟრუანტელის მომგვრელი შეგონებით დაგვამახსოვრა თავი – „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

25-ე წელი დაიწყო თქვენი მშვენიერი გაზეთის გამოცემიდან. ამ ხნის განმავლობაში „ლიტერატურულმა მესხეთმა“ სრულიად დამსახურებულად დაიმკვიდრა ადგილი ქვეყნის წამყვან ლიტერატურულ ორგანოთა შორის, დაიმკვიდრა უაღრესად დახვეწილი სარედაქციო პოლიტიკით, გემოვნებით შერჩეული ლიტერატურული პროდუქციით, ქვეყნის წარსულის თაყვანისცემით და უკეთესი მომავლის რწმენით გამსჭვალული ნაწარმოებებით.

ამავე დროს, გვახარებს, რომ თქვენი გაზეთი თანაბარი სიყვარულით ეპყრობა ძირძველ ქართულ მიწაზე მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს და დიდ ადგილს უთმობს მათ შემოქმედებას თავის ფურცლებზე.

ოცდამეხუთე წელია რაც „ლიტერატურული მესხეთი“ ყველას გვახსენებს, თუ როგორ უნდა აკეთებდე დიდ ეროვნულ საქმეს, აკეთებდე ჩუმად, ღირსების გრძნობით, როგორ უნდა იცავდე დიდი ილია მართლის ანდერძად ქცეულ სამებას, მამული, ენა, სარწმუნოება რომ ჰქვია სახელად.

როგორ გაუმართლა ამ დიდებულ გაზეთს, რომ სათავეში ისეთი წინამძღოლი უდგას, როგორიც ავთანდილ ბერიძეა, სენაკში დაყუდებულ ბერივით რომ ელოლიავება მისი სამშობლოს უკვდავებას.

მტკიცედ გვწამს, რომ „ლიტერატურული მესხეთი“ კვლავაც ჩვეული შემართებით იღვაწებს ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის – საქართველოს სამსახურში, იღვაწებს მისთვის ჩვეული პროფესიონალიზმითა და თავდადებით.

სიყვარულით,

მაყვალა გონაშვილი,
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

იუბილე

„ლიტერატურული მესხეთი“ და დრო

ვულოცავ ჩემს საყვარელ გაზეთს, „ლიტერატურულ მესხეთს“, ფრიად ულამაზეს თარიღთაგან გამოცემის 25-ე წლის იუბილეს.

ჩვენი წმიდად ქართული გაზეთი სიმართლის, ხელოვნების, მეცნიერების, ისტორიისა და მრავალმხრივი შემოქმედებითი სიახლეების უტყუარი მოამბეა და მეხსიერების სამივე განზომილების უძვირფასესი განძია. შემგონებელი, ღრმად მოქადაგე და ღირსეული მასწავლებელია ყოველთა, ეროვნული სუნთქვაა შემოქმედებითი თუ მრავალმხრივ მოღვაწე საზოგადოებისა. გაზეთის სიღრმეებში საერთოდ ნიჭს, მაღალ ზნეობას, უმწიკვლო სიყვარულს და მრავალდარგოვან სამართლიანობას რომ ვპოულობთ დროსგან გამთბარ მის გვერდებზე. ვულოცავ თემატიკით უმდიდრესი გაზეთის 25-ე საიუბილე წელს მთავარ რედაქტორს, ბატონ ავთანდილ ბერიძეს, ნიჭიერ პოეტს, საზოგადო მოღვაწესა და საკვირველ ორგანიზატორს, უთუოდ მის ღირსეულ კოლექტივთან – სარედაქციო საბჭოს თითოეულ წევრთან ერთად. რა თქმა უნდა, წმიდად მქადაგებელი გაზეთის გულწრფელ მკითხველებს ვულოცავ და ვუსურვებ მარადიულ მეგობრობას დიდ მაუწყებელთან; დაე, გეგრძნოთ ხანგრძლივად „ლიტერატურული მესხეთის“ მუდმივი სითბო, სულთ დიდება და ქართული აზროვნება – ნიჭის მქადაგებლობა...

თქვენი მეგობარი,

მწერალ-მხატვარი

რეზო ადამია

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს, ბატონ ავთანდილ ბერიძეს

ბატონო ავთანდილ! მეოთხედი საუკუნე მიილია, რაც „ლიტერატურული მესხეთი“ დაარსდა, დაარსდა და ცოცხლობს მკითხველისათვის, ქვეყნისათვის, ქართული საქმისათვის. წარმატება იმან განაპირობა, რომ თავად გაზეთის დაარსების იდეა იყო დიდებული, თუმცა, ერთი შეხედვით, ძნელად განსახორციელებელი. გაზეთის რედაქტორისა და მის გარშემო შემოკრებილი ადამიანების პროფესიონალიზმმა, თავდადებამ და საქმის სიყვარულმა ყველა წინააღმდეგობა დაძლია. დღეს „ლიტერატურულ მესხეთს“ ელიან არა მარტო სამცხე-ჯავახეთში, არამედ დედაქალაქსა და მთელ საქართველოში.

ბატონო ავთანდილ! თქვენ უკვე შეხვედით ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში და საპატიო ადგილი დაიკავეთ. თქვენ ოცდამეხუთე წელია ამტკიცებთ იმას, რომ „კარგი გაზეთი“ დედაქალაქის გარდა საქართველოს ნებისმიერ მხარეში, ნებისმიერ ქალაქში შეიძლება არსებობდეს თუკი ადამიანებს, პროფესიონალებს, თავდადება და საქმის სიყვარული ექნებათ. თქვენ სამშობლოს ამის კარგი მაგალითი უკვე მიეცით.

„ლიტერატურულ მესხეთს“ კვლავაც მოუთმენლად ელიან...

ღრმა პატივისცემით,

ვახტანგ გურული,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დიდ წარმატებებს გისურვებთ!

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ აქტიური მკითხველი ვარ. მისი ყოველი ახალი ნომერი მუდამ დევს ჩემს სამუშაო მაგიდაზე. ეს ქართულენოვანი გაზეთი ჩემთვის ყოველთვის იყო და არის საინტერესო საკითხავი გაზეთი, მით უფრო, რომ მას, როგორც პედაგოგი, სასწავლო პროცესშიც ხშირად ვიყენებ, განსაკუთრებით როცა თემა ქართულ ლიტერატურასა და ისტორიას ეხება.

გაზეთი ,,ლიტერატურული მესხეთი” ის დიდი დაუშრეტელი წყარო და მაცნეა სამცხე-ჯავახეთზე, მხარეზე, რომელიც მდიდარია თავისი ისტორიული წარსულით, ეთნოგრაფიით, ფოლკლორით და კულტურით. იგი 25-ე წელია ყოველივე ამას თავის ფურცლებზე ათავსებს და მისი თითოეული ნომერი მესხეთის უპირობო მემატიანეა. რეგიონში გამომავალი ლიტერატურული გაზეთი წლების განმავლობაში მტკიცედ ინარჩუნებს თავის პოზიციას, იგი რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი და მნიშვნელოვანი გამოცემაა ლიტერატურულ გამოცემებს შორის.

მოხარული ვარ, რომ მერგო პატივი, ვიყო ამ გაზეთის აქტიური მკითხველი და ვთანამშრომლობდე მასთან.

სკოლის დირექციის სახელით ვულოცავ გაზეთ ,,ლიტერატურულ მესხეთს” გამოცემის 25-ე საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ სარედაქციო საბჭოს თითოეულ წევრს დიდ წარმატებებს, მრავალი საინტერესო ინიციატივის განხორციელებას შემოქმდებით საქმიანობაში.

ბერნიკ (ნანე) ჰოვსეფიან,
სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ეშტიის N1 საჯარო სკოლის დირექტორი

ვითხოვ სიტყვას!

ქართველი მკითხველის საყვარელი და სანდო ,,ლიტერატურული მესხეთი“ ოცდამეხუთე წელს ითვლის!.. ამასთან დაკავშირებით წერილის დაწერის სურვილი თავისთავად დამებადა!.. საწერ მაგიდას რომ მოვერგე და სათქმელის გააზრებას შევუდექი, მოულოდნელად პირდაპირობის ისეთმა მოურეველმა წყურვილმა გადამლეკა, პირადად ჩემთვის სასწაულის მსგავსი რამ მოხდა: მომეჩვენა, სათქმელდაგუბებულმა პირდაპირობამ თითებიდან კალამი თავდაჯერებით გამომაცალა და წერა თვითონ დაიწყო, მე კი გაოგნებულ დამკვირვებელს დამამსგავსა!

მაშ, მოდი, თავკატუნის გარეშე ვიკითხოთ: ნებისმიერი ლიტერატული ორგანოს სულსა და სახეს ვინა ძერწავს?

ცხადია, რედაქტორი და მხოლოდ რედაქტორი!!! დიახ, მაგრამ აქ თავისთავად გაგონდებათ სერვანტესისდროინდელი ფრთიანი ფრაზა: ესპანური წამოსასხამი ბევრს წამოუსხამს, მაგრამ ყველა მათგანი ესპანელი როდიაო!

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ლიტერატურული ორგანოს რედაქტორის საპატიო მანტია ბევრმა საეჭვო ფაციფუცით მოირგო, მაგრამ ყველა მათგანს მშობლიური მწერლობის უანგარო მსახურებისთვის როდი უცემდა ან ახლა უცემს გული! გაიხსენეთ ან დღევანდელობას დააკვირდით: ზოგიერთმა ლიტერატურული ორგანო ქართული მითოლოგიის უკარ-უსარკმლებო ციხეკოშკს დაამსგავსა! რედაქციის ადგილსამყოფელის მისამართს ვიღა ჩივის – მათ ლიტერატურულ ორგანოს ერთ ობოლ საკონტაქტო ტელეფონის ნომერსაც ვერსად უპოვით! თუ გამოიჩინეთ შემოქმედთათვის დამახასიათებელი საბედისწერო წინდაუხედაობა და ნაწარმოების ელექტროვერსია გაგორროზებული რედაქტორ-ფეოდალის შეკვეთის გარეშე გადააგზავნეთ, როგორც ,,მოძალადე“ ავტორს, თვითონ ხომ პასუხს არ გაღირსებენ და ვერც თქვენ შეიტყობთ მის ასავალ-დასავალს! ასე რომ, სულ განუჭვრეტელი მოლოდინის საწამებელ ჩარხზე გაკრული უნდა გიყოლიონ, რათა...

სანიმუშო ფსევდონიმი

თვითონ? ო, ერთი წრის, კლანისა თუ მსოფლიოში ყველაზე წებოვანი, გრაფომანული დუღაბით შეკავშირებულ საძმაკაცოს ერთმანეთთან ისეთი დალაგებული კომპიუტერულ-სატელეფონო ურთიერთობა აკავშირებთ, ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურს შეშურდებოდა! ჰოდა, რა ენაღვლებათ ან ამ გაყრუმუნჯებულ საზოგადოებაში ვინ არის გამკითხავი: არასასურველებისთვის მიუკვლეველმიუდგომელ ციხე-კოშკს დამსგავსებულ ლიტორგანოს ფურცლებზე თავაწყვეტილი გრაფომანულ-ჰუსარული ბუქნაობა და ჩარბუზანა აქვთ გაჩაღებული!..

ზოგიერთმა კი სულ დაკარგა სინამდვილის შეგრძნება: ილუზიურ ბურუსში გადაშვებულმა, ხელი მიჰყო თავისიანის კარიკატურულ ,,გაუკვდავებას“ და ლიტერატურული ორგანო თანდათან საოჯახო გაზეთ-ალბომს დაამსგავსა!

რას იზამთ, ამგვარ თვითრჯულებს დღევანდელი კვერცხი ურჩევიათ ხვალინდელ სავარაუდო ქათამს! დახედული კაცი კი იოლად ხვდება: ულმობელი დრო-ჟამი ამგვარი გონებადახშულის შემთხვევაში ქათმის კი არა, ჭინჭურელეს[1] გალაყებულ კვერცხსაც არ გამოიმეტებს! ქათამზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია!

ღმერთო, ეს რაღა უბედურება იყო: ზოგიერთი ლიტორგანოს ფურცლებიდან წლების მანძილზე რაღანაირი ქუჩური ლანძღვა-გინების ნიაღვარი არ ესხმოდა მავანთათვის არასასურველ საზოგადო მოღვაწეს... საქართველოს პრეზიდენტს... პარლამენტს... მთავრობას... ვიღას არა! აქ საშინელება ის უფრო იყო, ამგვარ ქუჩურ უწმაწურობას ცივილიზებული კრიტიკის უმაღლეს პილოტაჟად ასაღებდნენ! არადა, ეს იყო არა ადამიანური პოლემიკის ერთ-ერთი მისაღები ფორმა, არამედ საკუთარი შემოქმედებითი უსუსურობის შეგნებით გამოწვეული უსაშველო სასოწარკვეთილების ჭიაყელასებური კლაკნა!.. ხოლო ზოგ... თუმც ამგვარი ჩამოთვლა შორს გადაგვიტყუებს! მხოლოდ ეგ არის, აქ თავისთავად ჩაგესმის ოდესღაც ციცერონის მიერ ამონაკვნესი: ო, რა დრო დაგვიდგა! რას მოვესწარით!..

,,ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს, ავთანდილ ბერიძეს, როგორც რუსთაველის კუთხის ღირსეულ შვილსა და შესანიშნავ შემოქმედს, კარგად ესმის – ის უნდა იყოს არა ერთი მუჭა საძმაკაცოს თუ შეხმატკბილებული წრის კაპრიზების დამაამებელი ქედმაღალი რედაქტორ-ფეოდალი, არამედ თავის გამორჩეულ გაზეთში დაბეჭდვის მოსურნე ნებისმიერი შემოქმედის პირუთვნელი რედაქტორ-მსაჯული, რათა უმწიკვლო სამსახური გაუწიოს ქართულ მწერლობას, ქართულ სულიერებას!

სწორედ ეს სანიმუშო თვისებები ავთანდილ ბერიძეს სამართლიანად აყენებს ქართულ ლიტერატურულ ორაგნოთა გამორჩეულ თანამედროვე რედაქტორთა შორის!..

დასასრულ, თავს ვერ ვიკავებ გაკვრით მაინც არ აღვნიშნო დღიდან დაარსებისა, ,,ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მრავალფეროვანი პუბლიკაციები! რა შორსმჭვრეტელურად შერჩეული თემები, როგორ მიმზიდველად და სიყვარულით არის გაშუქებული ჩვენი ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების ის ღრმა, ჯანსაღი ფესვები, რომელთა გადავიწყება სახეიროს არაფერს მოგვიტანს!.. ამიტომ ,,ლიტერატურული მესხეთის“ ახალ-ახალი ნომრის კითხვისას ხან ასეც კი მომეჩვენება ხოლმე: გაზეთის უხილავი რედაქტორი თვითონ მესხეთია, ხოლო გვარ-სახელი ავთანდილ ბერიძე კი მკითხველთათვის შერჩეული თავისი ფსევდონიმი!...

ჯემალ მეხრიშვილი,
ქართული მწერლობის რიგითი ჯარისკაცი

[1] ჭინჭურელე - ბეღურის მსგავსი პატარა ჩიტი.

სიბრძნე სიჭაბუკისა

გამოცემის 25-ე წელში გადავიდა ,,ლიტერატურული მესხეთი“. ეს ჯერ კიდევ სიჭაბუკის ხანაა, ოღონდ – როგორისა?

ძველად მიაჩნდათ: ნორმალური ადამიანი სიბერეში ბრძენკაცი ხდებოდა და ეგ იყო ჩვეულებრივი ამბავი – გამოცდილება საშუალო ნიჭის პიროვნებასაც ერთგვარ ბრძენკაცად აქცევდა. და აქ არაფერი იყო საქებ-სადიდებელი! სამუქფოდ საქებარი გახლდათ ის ახალგაზრდა, ვინც უამგამოცდილებოდაც გონიერებას ავლენდა, ნიჭიერებით ბრწყინავდა. მაშ, სათაყვანო იყო ბრძენი ყმაწვილი. ეგ იდეა არაერთგან არის გამოხატული (ქართული აგიოგრაფია, ,,შაჰ-ნამე“, ,,სიბრძნე ბალავარისა...“). ,,ვეფხისტყაოსანში“ პირდაპირ არის მითითებული, რომ სწორედ ასეთი გმირია ტარიელი. ვეზირები სწორედ ამიტომ ავლენენ მასთან საუბარში მოკრძალებას. თვით ამირბარი გვიყვება თავის მხცოვან მრჩევლებზე – ,,მითხრეს, თუ: ხარო ყმაწვილი ბრძენი, მით გაკადრებთ გლახენით“.

აი, კიდეც მივედით იქ, სადაც მინდოდა მივსულიყავი:

ჩვენი საყვარელი გაზეთი სწორედ რომ ბრძნული სიჭაბუკის ასაკშია: აქ დაბეჭდილი მასალები მრავალფეროვანია, საკითხავად მოუწყინარია, რაც მთავარია, ავლენს სარედაქციო გუნდის გონივრულ მიდგომას ფაქტებისა და მოვლენებისადმი; რამდენი სიახლე, მიგნება, აღმოჩენა გახადა საჩინო, რამდენ ისტორიულ, ფოლკლორულ დღემდე დაფარულ ფაქტს მოჰფინა ნათელი; მესხეთის – საქართველოს ამ სათვალმარგალიტო და სამთავარმაგალითო მხარის – რამდენ სიძველეს, ამბავს, სიახლეს გვაზიარა და გვაზიარა გამრჯე გლეხის ურემივით მარჯვედ გამართული ქართულით. და, რაც აუცილებლად სათქმელია: იგი ერთი ცალკე რეგიონის გაზეთიდან თანდათან გადაიზარდა სრულიად საქართველოს პატიოსან მაუწყებლად და ეს მოხდა ისე ბუნებრივად, რა ბუნებრივადაც უერთდება მცხეთასთან მტკვარს არაგვი ...

მტკვრისა და არაგვის ძალა ნუ მოჰკლებოდეს ძვირფას იუბილარს!

მურმან თავდიშვილი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ნ. ნიკოლაძის, ი.ჭავჭავაძის, პ. ინგოროყვას, დ. აღმაშენებლის, ჯ. აჯიაშვილის პრემიების ლაურეატი; შოთაობის კონკურსის ორგზის გამარჯვებული; თბილისის მერიის ოქროს მედალოსანი კულტურასა და განათლებაში შეტანილი წვლილისათვის.

ვულოცავ!

გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთთან“ დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს.

ფესვებიდან დავიწყებ...

ჩემს შვილს, მალხაზ კურტანიძეს, ინსტიტუტში მეგობარი ჰყავდა – ბესო ბერიძე, სტუდენტური მეგობრობა შემდეგ ძმობასა და ნათესაობაში გადაიზარდა.

მალხაზი ხშირად სტუმრობდა ბესოს, სტუდენტობის დროს, ასპინძაში. იქ ეზიარა ბერიძეების შემოქმედებას. რა თქმა უნდა, მათი შემოქმედება მეც გამაცნო და გამიზიარა.

25 წლის წინ შვილმა გამაცნო ბერიძეები. პირველად ავიღე ხელში „ლიტერატურული მესხეთის“ პირველი ნომერი.

გავეცანი და მივხვდი, რა რუდუნებით იყო დაწერილი ყველა სტატია. როგორი ღრმა იყო ავტორების ნაფიქრალი. ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე მთელი გაზეთი.

დღეს კი „ლიტერატურული მესხეთი“ ერთ-ერთი გამორჩეული გაზეთია საქართველოში, რომელიც აშუქებს ქვეყნის ისტორიას, ეხმიანება აწმყოსა და წარსულს. არ ივიწყებს ქვეყნის გამორჩეულ ადამიანებსა და ფაქტებს. განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო ჩვენი გმირი მეფის – ერეკლე II-ის შესახებ დაბეჭდილი საგაზეთო სტატიები.

გაზეთს ეტყობა, რომ ნიჭიერი, გულმხურვალე პატრიოტი ხელმძღვანელობს. ავთანდილ ბერიძე მესხების საამაყო შვილია. მეც მეამაყება ჩემი მეგობარი, რომელთანაც აგერ უკვე 25 წელია მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებს.

უხვი გამომწერი და ერთგული მკითხველი ვარ ამ შესანიშნავი ბეჭდვური მედიის. „ლიტერატურული მესხეთის“ ყოველ ახალ ნომერს დიდი ინტერესით ველოდებით მე და „ავერსის“ ყველა თანამშრომელი.

გაზეთის გამოცემის 25-ე წელი დაიწყო.

ვულოცავ ამ ღირსეულ იუბილეს, რომელსაც „ლიტერატურული მესხეთი“ სიტყვა გამართული ხვდება. მას ბევრი კარგი საქმე აქვთ გაკეთებული და მჯერა, მომავალიც საუკეთესო ექნება. კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი, თუმცა ყველაფერს ერთ მილოცვაში ვერ ჩატევ.

ვულოცავ გაზეთის დამფუძნებლებს, სარედაქციო საბჭოს, თითოეულ ავტორსა და მკითხველს ამ ღირშესანიშნავ დღეს. არ მოაკლდეს ჩვენს სამშობლოს ასეთი მოღვაწეები და გულშემატკივრები.

დიდი პატივისცემით და მოწიწებით,

ნიკოლოზ კურტანიძე,
პოეტი. მწერალი.
აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას
და ილია ჭავჭავაძის
პრემიების ლაურეატი

ჩვენი და ჩვენთვის

„ლიტერატურული მესხეთი“, სამცხის ლიტერატურული სივრცე, ზემო ქართლის ბედნიერი სამწერლო ტრადიცია, – ეს დიდი და მრავალსაუკუნოვანი ისტორიაა, უხსოვარი დროიდან დღემდე მომდინარე სული მწიგნობრობისა.

,,ლიტერატურული მესხეთი“ – უკვე კარგად ცნობილი გაზეთი, სამწერლო და საისტორიო ორგანო, სამცხე-ჯავახეთის განათლებული საზოგადოების სავიზიტო ბარათი; ჩვენი და ჩვენთვის.

ეს მარტო კულტურული ალუზია, ფსიქოლოგიური ასოციაცია ან, მით უმეტეს, სიტყვებისა და ცნებების თამაში არ გახლავთ. ეს არის შინაგანი კავშირი, ვალდებულება, თვითიგივეობის კოდი.

უთუოდ ეს იმპულსები ამოძრავებდა იმ ადამიანებს, რომლებსაც ოცდახუთი წლის წინათ გაუჩნდათ იდეა, დაეფუძნებინათ სალიტერატურო გაზეთი მესხეთ-ჯავახეთში.

მეოთხედი საუკუნე ისტორიისთვის ბევრი არ არის, მაგრამ საკმაო დრო კია იმისათვის, რათა ერთმა რიგიანმა გაზეთმა თავისი სახე და ავტორიტეტი განსაზღვროს, შექმნას, ჩამოაყალიბოს.

დღეს ,,ლიტერატურული მესხეთი“ ღირსსაცნობი გაზეთია ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში. მას ვკითხულობთ, მოგვწონს, ვენდობით. ის დგას იქ, სადაც უნდა იდგეს, სხვაგვარად არ ძალუძს. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. მისია ავალებს, ავალდებულებს, ჰკარნახობს.

ის ჩვენი გაზეთია, ჩვენი საკითხავი თემების სანდო მქადაგებელი.

ვულოცავ ,,ლიტერატურულ მესხეთს“ გამოცემის საიუბილეო თარიღს. დარწმუნებული ვარ, ისევე წარმატებით განაგრძობს სვლას, როგორც აქამდე უვლია – იქნება წინსვლა, შემოქმედებითი წარმატებები და დღეგრძელობა.

ივანე ამირხანაშვილი,

გაზეთ ,,ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი

„ლიტერატურული მესხეთი“ ჰაერივით სჭირდება სამშობლოს

ოცდამეხუთე წელია, რაც სამშობლოს, მის ძირძველ, ისტორიულ და ერთ-ერთ ულამაზეს მხარეში, მესხეთში, ურყევ ბურჯად უდგას „ლიტერატურული მესხეთი“.

მართალია გაზეთი გამოდის ქვეყნის ერთ-ერთ მხარეში, მაგრამ ის არ არის შემოფარგლული ერთი მხარით. სწორედაც ამიტომ, მისი ხმა მთელ საქართველოს სწვდება თავისი მრავალფეროვანი, ღრმაშინაარსიანი და გემოვნებიანი მხატვრულ-პუბლიცისტური და მეცნიერული მასალებით.

მსოფლიო ლიტერატურაში სწორუპოვარი მესხი მელექსის სამშობლოში გამოსული გაზეთის ყოველი ნომერი შეგვახსენებს თუ ვინა ვართ, საიდან მოვდივართ და საით უნდა წავიდეთ.

ის მუხტი, რაც ამ გაზეთშია, ჰაერივით სჭირდება დღეს და დასჭირდება მუდამ საქართველოს.

მადლობა ამ გაზეთის დამაარსებლებს – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ავთანდილ ბერიძეს დაარსების იდეისა და, არა მარტო ამ გაზეთის, ამ მხარეში მრავალი ეროვნული იდეის განმახორციელებლებს.

მადლობა ამ გაზეთის რედაქტორს, შესანიშნავ ქართველ ლიტერატორს, ქართული კულტურის დიდ მოამაგეს, ბატონ ავთანდილ ბერიძეს.

მადლობა გაზეთის სარედაქციო საბჭოს, თითოეულ ავტორს სამშობლოს ასეთი სამსახურისთვის.

ნომადი გართაია,
აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტი,
პროფესორი, მწერალი, მთარგმნელი

„ლიტერატურულ მესხეთს“ გამოცემიდან 25-ე წელი შეუსრულდა

(ესსეს სტილში დაწერილი მისალოცი)

ჩემო ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, ბოლო მეოთხედი საუკუნე ურთულესი გამოწვევა იყო საქართველოსათვის, ამ პერიოდში ბევრი რამ მოხდა, რომელმაც შეცვალა ქართველის ცნობიერება წარსულისა და მომავლის მიმართ და რომელმაც გარკვეული რევიზიაც შეიტანა ჩვენს აწმყოსა და მომავლის შემეცნებაში. მრავალი ისეთი ბომონი დაინგრა, რომელიც უთუოდ უნდა დანგრეულიყო, მაგრამ მას გარკვეული ადგილიც კი ეკავა ჩვენი ქვეყნის საბჭოთა თუ პოსტ-საბჭოთა წარსულში, სადაც ჩვენ ჩვენს თავს თითქოსდა რუსის თვალით ვხედავდით და რადგანაც რუსი, ჩვენში მხოლოდ და მხოლოდ „მიამიტ ბავშვს“ ამჩნევდა, ჩვენც გულღიად და ჩვენთვის დამახასიათებელი სილაღით ვცდილობდით რუსისათვის ეს აზრი არათუ არ გაგვექარწყლებინა, არამედ კიდევ უფრო გაგვეღრმავებინა და გვეთამაშა ჩვენთვის მონიჭებული როლი იმ კომედიაში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა. ამ პერიოდში ხომ გახსოვთ, მესხეთისაკენ მიმავალი გზა საბჭოთა საგუშაგოებით იყო გადარაზული და თბილისიდან ახალციხეში ჩასვლა თუ გნებავდათ, მავთულხლართებიანი და შლაგბაუმიანი საგუშაგოები არ აგცდებოდა, იმისათვის რომ ერთ დროს „ახალ ათინად“ აღიარებული მესხეთის მიწაზე დაგედგა ფეხი. საოცარი იყო ამ დროს განცდა მესხეთის წარსულისა და მისი დასერილი აწმყოსი. „მესხი სწავლითა ქებული“ იმპერიების საზღვრებით იყო გამქრალი და დახლეჩილი.

ამ დროს ძირძველი მესხები კვლავაც განაგრძობდნენ ბრძოლას იმის გამო, რომ მათ საქართველოს ეს ერთ დროს დიდი და ძლევამოსილი კუთხე დაებრუნებინათ და მესხეთის აღორძინება დაეწყოთ! სწორედ ამ გზაზე ერთ-ერთი, თუ არა ერთადერთი დიდი იდეა დაიბადა მესხეთში ლიტერატურული სკოლის აღდგენისა და ამგვარად მოევლინა საქართველოს გმირობითა და კეთილშობილებით სავსე ადამიანების მიერ დაფუძნებული გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, რომელსაც დღეს გამოცემიდან 25-ე წელი შეუსრულდა.

სამშობლო შოთა რუსთველისა, გრიგოლ ხანძთელისა, ბექა-აღბუღას სამართლის შემქმნელებისა, დედა-ფუძე ქართული ლიტერატურული ენისა – მესხეთი, თავის საქართველოს მუდამ გამორჩეული სიტყვიერებითა და აზრით მიმართავდა. ამ აზრისა და საპირწონის გასაახლებლად, ბატონმა ავთანდილ ბერიძემ და მისმა გუნდმა, იმგვარი ლიტერატურული გაზეთი შემოგვთავაზეს, რომელიც არის სრულიად საქართველოს სიტყვიერების დედა-ბუნება, რომელიც გახლავთ ჩვენს შემქმნელ ღმერთთან, ქართველის – ქართულად საუბრის ასპარეზი, რომელიც ეხმიანება მომავალსაც და წარსულსაც, რომელიც ანივთებს დღევანდელობას, აცოცხლებს მითოლოგიას, სისხლს ადენს გუშინდელს და ჟრუანტელს გვგვრის ხვალინდელი ქართული პოეზიისა და პროზის დაბადების შემყურე!

ამ აზრით და ერთობით გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ დახლეჩილი საქართველოს ჭრილობების შეხორცების ის სალბუნია, რომელიც მალამოდ დაედო მავთულხლართებით დასერილ საქართველოს გულს – მესხეთს და სწორედ მესხეთიდან მოგვიწოდა – ფეხზე წამოდექითო!

ჩემო ძვირფასო „ლიტერატურულო მესხეთო“, ბატონ ავთანდილ ბერიძესა და ქართულ სიტყვიერებაზე შეყვარებული ადამიანების საფიხვნოვ, გილოცავთ იმას, რომ აი უკვე 25-ე წელია არსებობთ და მეოთხედი საუკუნეა ათბობთ ქართველ მკითხველს, იმ შეუდარებელი ენერგიით, რომელიც ქართულ ანბანში და ქართულ სიტყვაშია ჩაბუდებული. ყოველი ლექსი და მოთხრობა, მოგონება თუ მითი გაცოხლებული შენს გვერდებზე არის საქართველოს გადარჩენა და გაძლიერება!

იყავით ძლიერნი, იცოცხლეთ მარად, იყავით მუდამ ქართული მუხტის შემქნელი და გადამცემი აზრის სამყაროში. გილოცავთ დაბადების დღეს უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით. ამავე დროს გიხდით დიდ მადლობას რომ არსებობთ! რომ გაგვამთლიანეთ!

თქვენი

კახაბერ ჯაყელი,
მწერალი და
მეცნიერი



კვარშა. ფოტო თეონა ჟუჟუნაძისა

იუბილე

ბატონო ავთანდილ,

მოგესალმებით და გულწრფელად მოგილოცავთ თქვენ და სარედაქციო საბჭოს თითოეულ წევრს, დიდი ისტორიისა და გმირული წარსულის მქონე სამცხე-ჯავახეთის მხარის გაზეთის – ,,ლიტერატურული მესხეთის“ გამოცემის 25-ე წლის ღირსეულ იუბილეს.

ამასთანავე, სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ყოველი ახალი გაზეთის ნომრის გამოცემას დღესაც დიდი მოლოდინით ვხვდები.

ბატონო ავთანდილ, კვლავ ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ და დიდხანს, ძალიან დიდხანს ასე უანგაროდ გაგეგრძელებინოთ ამ საპატიო გაზეთის – ,,ლიტერატურული მესხეთის“ თავკაცობა. მრავალი წელი ასე წარმატებულად გეღვაწოთ და გაგეხარებინოთ არა მარტო სამცხე-ჯავახეთის, არამედ, თქვენი გაზეთის მკითხველი საზოგადოების ფართო წრე, რომლებიც ჩვენზე არანაკლებ გელოდებიან...

პატივისცემით,

ციური ლაფაჩი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ეროვნული მუზეუმის დირექტორი

სხივმოსილი და მადლმოსილი იუბილარი

მწერალთა ასოციაცია ,,ლიტერატურული კახეთის“ სახელით, სულით, გულით და უსაზღვრო სიყვარულით ვულოცავთ გაზეთ ,,ლიტერატურულ მესხეთს", დიდებულ პოეტს და ჟურნალისტს, ,,ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს ავთანდილ ბერიძეს, პატრიოტული მზით ანთებულ მის სარედაქციო საბჭოსა და სრულიად მესხეთს გაზეთის გამოცემის 25-ე საიუბილეო წელს..

ადრეც მითქვამს, არაერთხელ, და... მინდა, კვლავ, ხაზგასმით ვთქვა, – გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ ამ რეგიონის გულდამწვარი მესიტყვე და ჭეშმარიტი მემატიანეა, – იგი, ერთდროულად, ცხოვრების მკვლევარიც არის, მებაირახტრეც, მადლიანი ქომაგიცა და მოძღვარიც, ამავე დროს, დიდი თაოსანია საქართველოს სახალხო დღესასწაულის ,,შოთაობისა"...

არ შემიძლია არ გავიხსენო, ,,ლიტერატურული მესხეთის“ 20 წლისთავთან დაკავშირებული, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მაკა ბერიძის გულში ჩამწვდომი სიტყვები: ,,ოცი წელი გავიდა, მას შემდეგ, რაც ბატონმა ავთანდილ ბერიძემ, როგორც კერძო პირმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელმა ფილიალმა დააარსეს გაზეთი ,,ლიტერატურული მესხეთი"...

ბევრი სკეპტიკურად უყურებდა დაწყებულ საქმეს, 90-იან წლებში, არაერთი გაზეთი შეიქმნა და, მათგან, უმრავლესობამ ვერ გაუძლო გამოცდას...

ლიტერატურული გაზეთებით, მაინცდამაინც, არ იყო იმ დროს, განებივრებული ჩვენი ქვეყანა. უჭირდა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ფლაგმანს ,,ლიტერატურულ საქართველოსაც". რთული დრო იდგა... რომ იტყვიან, შეუძლებელი შეძლო ,,ლიტერატურულმა მესხეთმა"... ახალმა ლიტერატურულმა ორგანომ შეასრულა სერიოზული როლი სამხრეთ საქართველოს ცხოვრებაში, გადამწყვეტი აღმოჩნდა ის, რომ... გაზეთს სათავეში ჩაუდგა ისეთი პრინციპული, სამშობლოსა და საქმის ერთგული კაცი, როგორიც ავთანდილ ბერიძეა"...

უკეთესად რა უნდა თქვა?!..

მეორე ათეული წელია, რაც კახეთისა და მესხეთის რეგიონების დიდი მეგობრობის დასტურად, ტრადიციად დავამკვიდრეთ ჟურნალ ,,ოლესა“ და გაზეთ ,,ლიტერატურული მესხეთის“ ნომრების გაცვლა, – დევიზით: ,,გული მისცეს გულისათვის, სიყვარული – გზად და ხიდად"...

,,ლიტერატურული მესხეთის“ გამოცემის 25-ე საიუბილეო თარიღს ერთხელ კიდევ ვულოცავთ ჩვენს საამაყო მეგობარს ავთანდილ ბერიძეს, მის შემოქმედებით საძმოსა და სრულიად მესხეთს, – ახალ - ახალ წარმატებებს და გამარჯვებებს ვუსურვებთ.

რუსთველური სიყვარულით,

ფარნა რაინა,
მწერალთა ასოციაცია ,,ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე.
თელავის საპატიო მოქალაქე.

გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ იუბილარია!

საქართველოს ლიტერატურული და სამეცნიერო საზოგადოება, და არა მხოლოდ, კარგად იცნობს ,,ლიტერატურულ მესხეთს“, რომელმაც დიდი ავტორიტეტი მოიპოვა არსებობის მანძილზე და განუსაზღვრელი წვლილი შეაქვს მხარის ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებაში.

სიამოვნებით გამოვიყენებ გაზეთ ,,მესხეთის უნივერსიტეტის“ რედაქციის მიერ მონიჭებულ შესაძლებლობას და მივესალმები მის შემოქმედებით კოლექტივს, მის რედაქტორს, იშვიათ მოღვაწეს, ჩემს კოლეგასა და მეგობარს – ავთანდილ ბერიძეს, მის მრავალრიცხოვან ავტორებსა და მკითხველებს. ვულოცავ ღირსშესანიშნავ თარიღს – გაზეთის გამოცემის 25-ე წელს და გულით ვუსურვებ, კვლავაც შემოქმედებითი წარმატება და მკითხველის გაუნელებელი სიყვარული იყოს მისი თანმდევი.

მარინე ზედელაშვილი,
გაზეთ ,,მესხეთის უნივერსიტეტის“ რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

გაზეთი „ლიტერატურული მესხეთის“ 25–ე წელი

სწრაფად გაირბინა წლებმა, მას შემდეგ რაც ბატონმა ავთანდილ ბერიძემ, როგორც კერძო პირმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალმა დააარსეს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“.

გაზეთის აღნიშნულმა სახელწოდებამ და იმ საინტერესო თემატიკამ რაც მასში იბეჭდება, იმთავითვე მიიქცია მკითხველთა ფართო ყურადღება..

განვლილმა წლებმა, როგორც მინიმუმ, სამი რამ აშკარად დაგვანახა: მთავარი რედაქტორის ბატონი ავთანდილის მაღალი პროფესიონალიზმი, მისი უსაზღვრო სიყვარული არჩეული პროფესიის მიმართ და უდიდესი შრომა, რასაც იგი ყოველდღიურად ახმარს გაზეთის ყოველი ახალი ნომრის მაღალ დონეზე გამოცემას.

გარდა ამისა, გაზეთის ფურცლებიდან იგრძნობა მისი უსაზღვრო პასუხისმგებლობა (რათა გაზეთის ყოველი ნომერი იყოს რუსთაველის მხარის საკადრისი) და უდიდესი სიყვარული სამშობლოსადმი, რაც გამოიხატება: გაზეთის ფურცლებზე საქართველოს ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის მაღალ დონეზე გაშუქებით.

ყოველივე აღნიშნული საფუძვლად დაედო გაზეთს, რომ ასეთი დიდი სიყვარული მოეპოვებინა ათასობით ერთგულ მკითხველში, ამან განაპირობა გაზეთის რეგულარული ხასიათი, რასაც ვერ ახერხებდნენ და ვერ ახერხებენ რესპუბლიკის წამყვანი გაზეთებიც კი.

ვუსურვებ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციას, მის სარედაქციო საბჭოს და მთავარ რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს მომავალშიც გაეგრძელებინოთ არჩეული კურსი და ბევრი სპონსორიც გამოჩენოდეს ამ საშვილიშვილო საქმეს.

რევაზ ჭიღლაძე,
პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ძველი გაზეთიდან

ახალციხის ინციდენტის გამო

დამაღონებელი და შემაშფოთებელი ცნობები მოდის სამაჰმადიანო საქართველოდან. ავანტიურისტ ბეგების მეთაურობით შემდგარია ეგრედ წოდებული სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობა, რომელსაც მიზნათ დაუსახავს ახალი სახელმწიფოს შექმნა ყარსისა და ბათომის ოლქებისა და ახალციხის მაზრიდან. ამ მთავრობის პირველი ნაბიჯები იმით გამოიხატება, რომ აჯანყება მოაწყო ფოცხოვსა და ახალციხის მაზრაში, რასაც ქართველი სადარაჯო რაზმების გაჟლეტა მოჰყვა და შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის თავმჯდომარეს კადნიერი დეპეშა გამოუგზავნა – ინციდენტის გამოსარკვევად შერეული კომისია უნდა შეიქმნას ინგლისელების მონაწილეობითო.

თავის თავად ცხადია, რომ ერთად ერთი ღირსეული პასუხი, რომელიც ამ წინადადებას შეეფერება, იარაღის სიტყვაა. უეჭველია, რომ ხიმშიაშვილები და ქვაბლიანელი ბეგები ოსმალო ემისარების შთაგონებით მოქმედებდნენ და თუ მათი ავანტიურა ახლავე ძირანად არ აღმოიფხვრა, შემდეგ ძნელი იქნება საქმის გამოსწორება.

მართალია ოსმალეთმა იძულებით დასცალა სამაჰმადიანო საქართველო, მაგრამ როგორც სჩანს, მას სრულიადაც იმედი არ დაუკარგავს უკან დაბრუნებისა. სტამბოლის გაქნილი დიპლომატია სულგანაბულია და მოხერხებულ შემთხვევას ელის, რომ წინა აზიასა და კავკასიაში ხელ-ახლა ააღელვოს თურქული რასსა. ეს შემთხვევა შეიძლება მას მიეცეს, თუ უცხოეთიდან მოსული ცნობა გამართლდა და ინგლისის ჯარმა სამიოდე თვის შემდეგ დასტოვა ჩვენი ქვეყანა. ყოველს შემთხვევაში ეს ადვილი მოსალოდნელია თუ სახეში მივიღებთ იმ საკმაოდ ჩქარს ტემპს, რომლითაც ინგლისური ჯარის დემობილიზაცია სწარმოებს.

პანთურქული იმედების დასახასიათებლად დიდათ ნიშანდობლივია არაქსის რესპუბლიკის დაარსება ნახიჩევანში. ეს რესპუბლიკა, რასაკვირველია, ვერ იარსებებს დამოუკიდებლად ან ავტონომიურად. მისი მიზანია კავშირის შენარჩუნება ოსმალეთსა და ადერბაიჯანს შორის. მეორე მხრივ ნახიჩევანის რესპუბლიკა სთიშავს არარატის რესპუბლიკასა და ოსმალეთის სომხეთს. ეს გარემოება ნათელ ჰყოფს რამდენად ბეცი და უკუღმართია სომხეთის მთავრობის ახლანდელი პოლიტიკა, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული. თუ კავკასია და წინა აზია ევროპიულმა ჯარებმა დასტოვეს, თუ მაჰმადიანური ზღვა ხელახლა აღელდა, სომხეთს სხვა მფარველი და მოკავშირე აღარ ეყოლება გარდა ქართველი ერისა. თავის მხრით საქართველოს რესპუბლიკა პანთურქიზმთან ბრძოლაში ბუნებრივად ხელს გაუწოდებდა მეზობელ ქრისტიანულ ერს, რომ მას გადაჭარბებული პრეტენზიები არ ჰქონდეს ჩვენი ტერიტორიის მიმართ.

მაგრამ ყოველგვარი მომავალი პოლიტიკური კომბინაციების დამოუკიდებლად, დღეს-დღეობით ჩვენს მთავრობას ახალციხის აჯანყების ჩასაქრობად ენერგიული ზომების მიღება მართებს. მილიტარულ ოპერაციებთან ერთად კულტურული შემოქმედება უნდა სწარმოებდეს. არ უნდა დავივიწყოთ ის ისტორიული ფაქტი, რომ სამი საუკუნის წინათ ოსმალეთმა მესხი გლეხის გული ბატონყმობის მოსპობით მოიგო. დღეს, არა მარტო დემოკრატიული, არამედ ეროვნული ინტერესიც ბატონყმობის უკანასკნელი ნაშთების აღმოფხვრას გვიკარნახებს.

გაზეთი „საქართველო“,
1919 წ. N26



ირაკლი ვაშაყმაძე

მზე ივერიის ამოვა

ქვითინებს ვაზი უფლის,
გარს ხენეშ ხეთა ტყეა,
ილიას წიწამურთან
შუბლში ესროლეს ტყვია...

მამულიშვილთა ხმალთა
ხმა ზეცით ჩამოგვესმის,
გურამ შარაძის სისხლი
მელიქიშვილზე კვნესის...

ებრძვიან ივერიის
გაუკვდავებულ ნათელს,
რას შევესწარი, – კეთილს
ავსული ასამართლებს...

ცხვრის ტყავში მგელი ყმუის,
დარდი ვარ, ვახტანგური,
უნდა ვიბღავლო ახლა, –
ცრემლით დავილბო გული...

გამეფდა ჭიხმაკური,
ბოროტ-მაცილი ზეობს,
ამოდი მაცხოვარის
და ღვთისმშობელის მზეო!

მგზავრი ვარ სამოთხისაო

ამ თოვლში, დედის საფლავზე,
რამ მოგიყვანა იაო?
უფლის ანგელოზს,
უფლის შვილს,
აქ ცრემლი დაუღვრიაო.
– ცით დედის გულზე დავფრინდი,
ცრემლი ვარ ღვთისმშობლისაო,
სისხლი მდის მაცხოვრისაო
სხივი ვარ ცათა მზისაო,
აქ ერთი წამით შევჩერდი,
მგზავრი ვარ სამოთხისაო.

ვინ გითხრა, წუთისოფელო

ვინ გითხრა, წუთისოფელო,
წუთისოფელი რომ ხარო,
წამისოფელი ყოფილხარ,
სოფლად სულ წამით მოხვალო...

მოხვალ და წაიქვითინებ,
საცხოვრისს წამით რომ ხარო,
ან წამით წაიღიღინებ,
დედას გული რომ მოფხანო...

გაკვირვებია უფალსა,
ამა წამითაც რომ ხაროს...
ვინ გითხრა წუთისოფელო,
წუთისოფელი რომ ხარო.

ქარიანობა

ქარს ეცეკვება ეზოში ნაძვი,
კანკალებს ქარში სახლის კედლები,
და გარბის ჩემგან პატარა ბიჭი,
ერთ დროს მზის ნიავს ანადევნები...
აღარ ღუღუნებს ბუხარში ჯირკი,
ბუხარში ცივი ქარი გუგუნებს,
მიფრინავს ცაში პატარა ბიჭი...
და ... ღრუბლებიდან უფალს უყურებს.

როს ჩამოდნება
სანთლები ხსოვნის,
დაიღვენთება ყველა მშვენება...
ცად აფრენილო პატარა ბიჭო,
მე იმას ვდარდობ, რა გეშველება.

საიმედო

ცხრათვალა მზე აღარაა ცაზე,
არც მთვარეა ძველებურად ბადრი,
შეგვესია ღვთისმგმობელთა ურდო,
და დაგვარქვეს ...
განვითარებადი...
ინაცრება უღმერთოთა ჟამი,
გადაივლის...
ქარხოშაკი, ხვატი...
შენ იყავი... და იქნები მუდამ,
რადგან შენ ხარ...
უფლის სახე-ხატი.

კუმურდო სიზმარ–ყხადში

მერაბ ბერიძეს

ცას სტკივა შენი უგუმბათობა,
მოისხა ცრემლი თამარის ვაზმა,
მოგნატრებია ქორწილ-ნათლობა,
ლოცულობს შენთვის წუნდა და ზარზმა.

გზად მოღაღანე შამბნარი ვნახე,
ტანდახანჯლული იდექი მორცხვად,
ზეცაში ენთო მაცხოვრის სახე,
და ღვთისმშობელის გესმოდა
ლოცვა...

მამაპაპათა ჩაგესმის ხმები,
სამცხე-ჯავახეთს ვენახი ხარობს,
ტაძრის გუმბათზე ღუღუნებს
მტრედი.
ნუ მიატოვებ ღვთის სახლს მერცხალო,
რომ მარად ენთოს დედის კერია,
არ ჩაქრე გულში მზის ნაკვერჩხალო.

სარფი დამესიზმრა

დამესიზმრა ქარვისფერი
შემოდგომის სარფი,
ომარ მემიშიშის,
ძველლაზური სახლი...
მთის ფერდს მიხატული
ვენახი და ... ბაღი,
ცაში ტიკტიკებდა
მაცხოვარი – ბალღი.
ზღვის ტანს ეალერსებოდა
ჩრდილი მწვანე მთების,
მზიდან დილა მოფრინავდა...
მეწამული ფრთებით...
გუშინ დამესიზმრა
მეშიშიდის ოდა,
ქარვისფერი სარფი,
უფალს შესცქეროდა.

ბედი დავით აღმაშენებელისა

მეფე – აღმაშენებელი,
გააძევეს სახლიდან,
საკუთარი სახლიდან,
სიძულვილის სახრითა...
უღმერთობამ, მეფეო,
ყველგან ფეხი გაიდგა.
თქვენ რომ იდექ, იმ ადგილს,
ველოს ძეგლი დაიდგა.
აღარ ვიცი, მეფეო,
საქართველო ვისია,
ღვთისმოძულე, ურიცხვი,
ვინ, ვინ შემოგვისია!
დაგვიმძიმდა ყოფნაი,
ცოდვის ბორკილ-ხუნდებით,
მოგვენატრა დიდგორი, –
როდის დაგვიბრუნდები?

საქართველო

უფლის მადლით შენ მაცხოვარს გავხარო,
ჩვენ ცოდვებში ვყელყელაობთ ყელამდე,
ამშვენებდი,
კვლავ ამშვენებ სამყაროს...
ვერა და ვერ ამოვფრინდით შენამდე.
უფალთან ხარ...
კვლავ ავსულებს ებრძვი,
როგორ უძლებ მოსეულ მტერს...
შენ ამდენს!
ტანჯული ხარ, უკვდავი ხარ, მამულო,
ვერა და ვერ ამოვფრინდით შენამდე...

იყო დრო

სამოთხის კარებს
ერთად ვეძებდით,
უერთმანეთოდ...
წამსაც ვერ ვძლებდით...
მერე ეშმაკმა ხელი დაგვრია,
ჩვენი გზა-კვალი არივდარია...
მას მერე გული ცოცხალ-მკვდარია,
სულში ყინვა და...
სულ ავდარია.
გუშინ ერთმანეთს ჩავუარეთ
უბრად, დარცხვენით...
ვიდექი დიდხანს...
სინანულის შოლტით ნაცემი.

ავად მაშინ ხარ

ავად მაშინ ხარ,
არაფერი
როცა არ გტკივა,
მარტივი გრძნობით...
ცხოველივით ცხოვრობ მარტივად,
ტაო, ჰერეთი, აფხაზეთი...
როცა არ გტკივა,
როდესაც დედასაქართველო
არა, არ გტკივა...
როს ტაშფანდურობ, მღერი, ცეკვავ,
მხრებში გაშლილხარ...
ჭკვაზე ვერა ხარ!
ავად მაშინ ხარ!!!

კაი ყმის ბედისწერული

განგებამ, ბედისწერამ,
წამების ჩოხა ჩააცვა,
ჯოჯოხეთს ჩააქვესკნელა,
გატანჯა, დაწვა, დანაცრა...
დაბადებიდან მაცილი,
უღრჭიალებდა კბილებსა...
ბედითმა წუთისოფელმა
ჩააგდო ტანჯვის დილეგსა...
დედაი იგი, მადლშია,
ვინც მამულს უზრდის გმირებსა,
და იგი გმირიც მადლშია
ვისაც და დაიტირებსა...
ღვთით განარიდე კაი ყმა,
ტანჯვა-წამების დილეგსა!

გულისტკივილი იისა

რად მოიწყინე იაო,
მოგაკლდა ცვარი დილისა?
– რა ვქნათ, დაგვჩაგრა ბოროტმა,
ვერ ვუძლებ სოფლის ტკივილსა,
ეს გულყვითელა გვირილაც
რა გულსაკლავად ტირისა!
ქვითინებს ვარდი, ზამბახიც...
ჭრილობა გვტკივა გმირისა,
ვერ მოიცილა ავსული,
საქართველომ და... თბილისმა...
უფალს კი ესმის, კაცს – არა,
გულისტკივილი იისა.

თვალცრემლიანი ბუღია

ცაში რქებამღერებული
მომნატრებია ბუღია...
სულ მუდამ თვალცრემლიანი,
კაი ყმასავით გულღია.
მომხმარეს ხვნაში, თესვაში,
რამდენი ოფლი უღვრია,
ეჰ, მოქანდაკე რომ ვიყო,
ძეგლს დავუდგამდი ბუღიას.
რა ხარი მყავდი, იყავი,
ოჯახის გულის ხარება!
მგონია, ამ საწუთროში
გაგვაძლებინეს ხარებმა.

ფერეიდნელო ქართველო

იქ, არც გომბორის მთებია,
არც ქართლის მინდორმდელოა,
აქ, ღვთისმშობლის და მაცხოვრის
ნამდვილი საქართველოა...
გავუამიანდით, ავსული
ბუდეს ღვთის სახლში აშენებს...
ფერეიდნელო ქართველო,
ლაშქარი შემოგვაშველე!...

მაისის თოვლი

უშენობის გაზაფხული ვნახე,
მაისის მზე ფანტელებში თრთოდა,
ზეცას ჩანდი ანგელოზის სახედ,
ვარდობისთვეს საკვირველად თოვდა...

გაშლილიყო თეთრი მაგნოლია,
ჭიკჭიკებდა მერცხალი და... თოვდა,
ბაღნარ-მდელო იყო მშვენიერი,
ზღაპრულ იგავს...
ზამთარი ვერ თმობდა...

მერე უცებ გადაიღო თოვამ,
ამზიანდა კერცხეთი და გორა...
ნეტა ახლა ბუკნარს ვბურთაობდე,
დაძახილი შენი გამაგონა...

ნახ. ანა ხარაშვილისა

პროზა

ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲡᲘᲧᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲨᲘᲨᲘ

იმ ვაიუშველებელს – კრწანისსა და მის მიდამოებში ჯერ კარგად მოუთენებელზე, ასე, დილის შვიდ ჟამზე რომ ატყდა, ჯანღი და ნისლი რაღა ჯანდაბად და დოზანად დაერთო. რაკი ერთი ჩამოწვა, ჩამოიქუფრა და ჩამოიქრუშა, აღარ აიკრიფა...

ზოგს თუ ფარად ეფარა, ზოგსაც თვალგზა აუბნია.

აქა-იქ კიდევაც წამოჟინჟლა.

ნაგვალევი მიწა ალაფდა, აიზილა და აითლოხნა.

ოფლითა და სისხლით გაჟღენთილი ჰაერი დამძიმდა, ერთ ადგილზე შეგუბდა...

მზემ, როგორც იყო, ცერად გამოიჭვრიტა. მერმე ისევ მიიმალა, თითქოს პირი აარიდა იქაურობას.

ზარბაზნების ზათქსა და ბათქზე მიწა ირყეოდა, სულთმობრძავი კაციკით ბორგავდა და ყრუდ გმინავდა. ცხენი და მხედარი, ცოცხალი და მკვდარი ერთმანეთში აზინთულიყო. მებრძოლთა ყიჟინა, განწირულთა კვნესა-გოდება, თოფის ჭახაჭუხი და ხმლის ჩახაჩუხი შავნაბადას, სეიდაბადისა და ნარიყალას ქედებს ასკდებოდა და ხევხუვებში ინთქმებოდა.

თბილისი ავის მოლოდინში ზიმზიმებდა და ზაყზაყებდა. ვისაც გული ერჩოდა და მკლავიც მოსდევდა, აბანოს კართან ჩაცვენილიყვნენ და ჩასალკლდევებულიყვნენ. ქალაქი ქალების, ხეიბრების, წლოვანთა და უწლოვანთა ამარა დარჩენილიყო. ისინიც გალავანს აკვროდნენ, მტრის დასახვედრად ქვა-ლოდები და ქაფქაფა კუპრი მოემარაგებინათ.

მთელი სათათრეთი აქოთქოთებულიყო, აფუთფუთებულიყო და თბილისისაკენ დაძრულიყო.

აღა მაჰმად ხანმა თავისი რჩეული, ქრისტიანის სისხლს მოწყურებული და დახარბებული მხედრობა თელეთ-შინდის-სეიდაბადის სანახებს მიუსია. თვითონ კი, მთავარი ძალებით, სოღანლუღიდან წამოვიდა, ქართველების უკანდახეულ მეწინავე რაზმს ბრძოლით მისდია, და მტკვარი-სეიდაბადის ვიწროობში შემოეტია და ჩაიჭედა...

გასულსწრაფებულები მოიწევდნენ ყიზილბაშები, უხსენებლებივით მოიგრაგნებოდნენ და მოიწელებოდნენ, ფაფარაშლილ ბედაურებს მოაშავბნელებდნენ და ყელის სიღრმიდან კი არა, სადღაც შიგნიდან, გულგვამიდან მოჰყიოდნენ – გიაურ, გიაუროო... ვითომ იმისი დარდი და ჯავრი კლავდათ და ჭამდათ, ამ მიწა-წყლის პატრონები რჯულიანები იყვნენ თუ ურჯულონი...

ვერ იტევდა ქედსმიჭყლეტილი მდინარისპირი იმდენ მომხდურსა და მოძალავეს...

აი, ახლა იყო, რაც იყო და მოსახდენიც სწორედ ახლა და აქ უნდა მომხდარიყო.

სამყაროს შემოქმედს თითქოს განგებ, საამდღეოდ და საამჟამოდ, ამოეზიდა და ამოემართა დედამიწის გულისგულიდან და მაინცადამაინც აქ, ზედ მტკვრისპირას დაეყუდებინა ეს ციცაბო, კლდეებიან-ღრეებიანი ქედი. ეს სწორედ ის უადგილო ადგილი იყო, სადაც მომხდურისა ვერც ცხენი აიყალყებოდა და ვერც მხედარი გაშლიდა მკლავს. იქ, იმ ვიწროობში, ათასამდე მარჯვე ქართველი შუაზე განყვეტდა თვალგაუწვდენელ მანძილზე გაწოლილ ურჩხულს, მერმეთ კი თავსაც გაუსრესდნენ და კუდსაც ზედ მიაყოლებდნენ...

მაგრამ ის ათასიც სანატრელ-საძებნელი გამხდარიყო და იმისი ნახევარიც...

აკი ის სიგრძეცა და სიგანეც მტკაველ-მტკაველ და გოჯგოჯ გაიანგარიშა და საკუთარი ლაშქრის სიმცირეც ზედ მიათვალა ერეკლემ, თავისი დღე და მოსწრება, სიყრმიდან მხცოვანობამდე, ხმლის ქნევასა და ერთი მუჭა ქართველებით ურიცხვი მტრის მოგერიებაში რომ შემოლეოდა...

ჰოდა, ღონე რომ არ ეღონებოდა და ეიმედებოდა, ხერხი ამჯობინა... იმ ხერხს აქ უნდა ეხერხა და ეჭრა...

საჭურის შაჰს სხვა უბედურება სჭირდა, თორემ არც ის იყო ცხვირმოუხოცელი ოღლანჭიჭო, ან ბეცი და ახლო მჩხრეკელი. იმასაც თავისი საზომ-საწონი ჰქონდა და კიდევაც ნირიანად და გერგილიანად ზომავდა და წონიდა ყველასა და ყველაფერს. უნაგირზე გასწორებულ დღეებსა და ღამეებსაც უქმად როდი ჩაევლო. მანამდე ბარემ ორმოცდაათამდე დიდი ბრძოლა გადაეხადა შინაურთან თუ გარეულთან. ახლა გურჯისტანზე წამოსულიყო. ყველაზე დიდი ომი წინ ელოდა...

იქაურობა კარგად რომ მოხილა და დაზვერა, დაეჭვდა, ერეკლე ხანმა, იმ ბებერმა ლომმა, ხაფანგში შემომიტყუაო, ვინ იცის, ამ დაწყევლილი ქედის უბეებსა და ლაჯვებში რამდენი გურჯი და ლეკი ჰყავს ჩასაფრებულ-ჩასანგრებულიო. ეს რომ გაიფიქრა და გაიაზრა, უმალ ვერაგული გადაწყვეტილება მიიღო. თავისი ჯიშისა და სისხლის თურქმანთა რაზმს უკივლა, – ვისაც შაჰი უყვარს, მომყვესო... გაცოფებულმა და თავზეხელაღებულმა იმათ არც ჰოს დაუცადა და არც – არას. უკანმოუხედავად შეაგდო ცხენი ადიდებულ მდინარეში... ისინიც მიჰყვნენ... ბევრი ჩაიხვია და წაიღო წყალმა. ბევრზე ბევრმა კი გაცურა, აღმა აუყვნენ.

საიდანღაც, დაბარებულებივით, რამდენიმე გადარჯულებული, მტრის ცულს ტარადმორგებული ქართველი გამოტყვრა. თითქოს მთელი თავიანთი ცხოვრება იმ წამის მოლოდინით ცოცხლობდნენ; მიეგებნენ, მიეფოლორცნენ, ყბა-პირი ყურებამდე მოიხიეს და ორთაჭალის ბაღებთან ორად გაყოფილ მტკვარზე ფონი მიასწავლეს... კიდევაც მიაძახეს, ემანდ საპალნიანი ჯორიც გავაო... აღასა და იმისიანებს წაქეზება და შეგულიანება რა თავშისახლელად უნდოდათ; ფონი იფონეს, გადაიმდინარეს, ისევ მარჯვენა ნაპირზე გადმოლაგდნენ, გადმოსიკვდილდნენ და ქართველების მეჩხერ ლაშქარს ზურგიდან დაუარეს...

ერეკლესიანები, ვინც გამოსავარდნი იყო ხევებიდან და ღრეებიდან, კიდევაც გამოვარდნენ...

სანგრებიდანაც ჩამოხვავდნენ და ჩამოზვავდნენ...

მომხდური და დამხვდური სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეტაკნენ ერთმანეთს.

უთანასწორო ომი გაჩაღდა ხოხბიანში...

ის იყო, წვიმამ დაასხა. თქეში წამოვიდა. დოგა-დოგა ღრუბლები აირ-დაირია. ბოლომდე მაინც არ ჩამოიწურნენ. ხოცვა-ჟლეტის დამთავრებას თუ ელოდნენ და სავსე ჯიქნებსაც მიწის გადასარეცხად და სისხლის მოსაბანად ინახავდნენ...

ეს იქით და, ზურგსუკანაც რაღაც არმოსახდენი ხდებოდა. გალავანსა და დედაციხის ქონგურებზე ახორხლილი ქალაქელები ვიღაცამ თითქოს ერთი ხელისმოსმით ჩაყარა და ჩახვეტა ძირს. ქალების, უმწეო მოხუცებისა და ხეიბრების ნიოკმა და შეცხადებამ იქაურობა შეძრა და შეაზანზარა. სატახტო ქალაქს ამკლები დასცემოდა. გარეულები არ უნდა ყოფილიყვნენ, თორემ უხმოდ და უამბოდ შიგნით ვერ შეაღწევდნენ. შეეღწიათ კი... ქუჩაბანდებსა და ეზოებში ხელჩართული ბრძოლა გაჩაღებულიყო...

აქედან არავინ ელოდა მტერსა და ორგულს.

არც ერეკლე ელოდა...

ზურგმოშლილმა მეფემ მედროშეს ხმლის წვერით სეიდაბადის მაღლობისაკენ მიანიშნა და რაღაც უბრძანა. თვალი აქორა. გულისყურიც ოთხივკუთხივ მიუმარჯვა.

მიმხმარე და მშველელი არსაიდან ჩანდა.

იაღლუჯისა და სოღანლუღის მხრიდან კი ემატებოდა და ემატებოდა ყიზილბაშები.

უფლისწული გიორგი მოინაკლისა და მოინატრა, მაგრამ იმისგან ბაიბურიც არ ისმოდა. ამბის მიმტან-მომტანი ათხუთმეტი მალემსრბოლიც ცასა თუ მიწას ჩაეყლაპა.

ბევრი სხვაც დაისაჭიროვა და კიდევაც ეფეთა და ემცხეთა უიმათობა.

ჩანდა, მარკოზელების სოფელ-სოფელ წანწალსა და ტუნტულს თავისი ნაყოფი გამოელო, ტყუპ-ტყუპი ბალამწარა და კიტრანა გამოესხა და გამოება.

თითქოს, იმ დაჭირვებისა და მონაკლისების პასუხად, ვიღაცებმა პირაქეთ შემოაბრუნეს ცხენები. ხმალჩაგებულები გამორბოდნენ, ისე მოიჩქაროდნენ და მოიცანცლებოდნენ, ვითომ ეგ არი და, თავიანთი საბრძოლი ებრძოლათ, საომარი ეომათ და მტრისთვისაც კუდით ქვა ესროლინებინათ.

ვინ არიანო, ამერები თუ იმერებიო, ეჭვმა გული მოუწალა. დააპირა, დაემუნათებინა, სად გარბიხართ, რამ დაგადეღლათო, მაგრამ იმათი უკუმძღოლი რომ იცნო, ელდისაგან ენაზე შეაცივდა იმისი სახელიცა და იმისთვის მისაძახებელიც...

იმათ არც გზა-სავალი შეშლიათ, არც ფეხი არევიათ, ჩაიქროლეს, თვალს მიეფარნენ...

თაბორის მთიდან კი ერთი მეორის მიყოლებით მორახრახებდნენ და ხევ-საგუბარში იჩეხებოდნენ მტრისთვის ნადავლად და ალაფად ვერგამეტებული ზარბაზნები.

ავად ენიშნა მეფეს: ყაჯარისიანებს ხელი და ხმალი ისე წაგრძელებოდათ, რომ ქართველთა არტილერიის განლაგებასაც მინვდომოდნენ...

ბრძოლა გველეშაპთან უმხარმკლავო კაცის შერკინებას დაემგვანა.

კალადან და მეტეხიდან ისევ გამეტებით უშენდნენ, მაგრამ ამათი აღარც ტყვია ტყვიაობდა და ცეცხლიც აღარ ცეცხლობდა.

თბილისის ექვსივე ბჭე და კარი ღია იყო, ზოგი გარედან შენგრეული, ზოგიც – შიგნიდან მოდარდაღინებული.

ყიზილბაშები ქალაქში შესასვლელთან ძნებივით ჩაშლილ-ჩალეწილი დამცველების ცხედრებზე გადადიოდნენ...

მეხუთე ჟამი იწურებოდა.

მწუხრი წვებოდა თბილისის თავზე.

მიხვდა მეფე და მხედართმხედარი, ან რაღა მიხვედრა უნდოდა, როცა ყველაფერი ხელისგულზე ედო: მარტო თბილისისა კი არა, მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი გადაწყვეტილიყო... მაგრამ არა იმ ნავსიან დღესა და არა იქ, კრწანისში... ქართველთა სამკვიდრო ახალ დინებასა და ორომტრიალში მოქცეულიყო. იმის იქიდან თავდაღწევასა და ამ ნაპირის თუ იმ ნაპირის არჩევას კი ერეკლესა და იმის ქართველებს აღარავინ აკითხებდა და, ვინ უწყის, ამიერიდან აღარც არასოდეს დაეკითხებოდნენ...

მაგრამ ამას საზრუნავ-საჭმუნავითა და წლებით დამძიმებული, კიდევაც გადაღლილი, ყველასაგან მხარგამოცლილი და ნაღალატევი მეფე ერეკლე მიხვდა.

პატარა კახი ამას ფიქრადაც არ გაივლებდა გულში. აკი არც გაივლო. ნეიშნი და ასპინძა და კიდევ სხვა რაღაც-რაღაცები და ვიღაც-ვიღაცები გაიხსენა...

– ჰაიტ, თქვე წუნკლებო თქვენაო, – დასჭყივლა თავისებურად, ომახიანად, ხმალი გააელვა და სიმრავლით გალაღებულსა და თავგასულ ჩალმიანებს ცხენდაცხენ შეუტია...

ძველებური სიკისკასე აღარ მოსდევდა, თორემ...

მარჯვნივ და მარცხნივ კვეთებითა და ხეთქებით მიჰყვა იოანე ბატონიშვილი... მიჰყვა და ჩაჩეხა და ჩაკაფა მეფეზე დაგეშილი ცხენ-კაცი. მაინც მოასწრო, დაინახა დასანახი: თავისი გვირგვინოსანი პაპის ირგვლივ თვალის ერთი გაფრენის სისწრაფით იკვრებოდა და ვიწროვდებოდა წითელთავიანების რკალი. მიეჭრა, მიეტანა... უმალ დავით მაჩაბელი, ჯანდიერ ჯანდიერიშვილი, საქობოელი სინჯია ქევხა და სხვა ერთგულები წამოეშველნენ. ალყა ფიცხლად გაარღვიეს... ზაქარია ანდრონიკაშვილმა ივარგა, მეფის ცხენს ყუადან შემოჰკრა ხმალი... მეფე იქაურობას ძალისძალად გამოარიდეს, სამშვიდობოს გაიყვანეს...

სამშვიდობო თუ ეთქმოდა ნახოხბარს...

იმის ქვა-ღორღსა და კორახ-მორახებში მრავლად ჩახოცილიყვნენ ჩვენიანებიცა და სხვისიანებიც. სხვისისანებისა რა ვიცი და, სამიდღეშიოდ ჩაწოლილიყვნენ მამაცზე უმამაცესი და ერთგულზე უერთგულესი თბილისელები, ფშავ-ხევსურები, არაგველები და კახელები... ჩაწოლილიყვნენ ბრძოლით დამაშვრალნი, მაგრამ გაუმაძღარნი, სისხლისაგან დაწრეტილები, თვითონაც დაესვენათ და პირმოცვეთილი ხმლებიც დაესვენებინათ... ჭრილობებით გაწამებულებს, მაგრამ საამქვეყნო ვალმოხდილებს, ბაგეზე რაღაც ღიმილისნაირი შერჩენოდათ... რა ვუყოთ, დღეიდან მარჯვენით თუ ველარ შეეწეოდნენ და უშველიდნენ მეფესა და დედულ-მამულს, იმათი ხორცი და ძვალი ხომ მაინც გააპოხიერებდა ქართულ მიწას და ესღა თუ ეიმედებოდათ და ენუგეშებოდათ...

ერეკლემ ავლაბრის ხიდიდან შემოხედა აბოლებულ ციხეყალას, ნატახტარ ქალაქს. აქა-იქ, სახლებიდან და სასახლეებიდან ავარდნილი ცეცხლის ალი უნასივით იკლაკნებოდა, სისინებდა და, თითქოს ნიშნს უგებსო, კვამლით ალანძულ-ახრჩოლებულ ცას ენას უყოფდა...

თბილისი ინგრეოდა, იწვოდა და იძარცვებოდა...

მეფემ ერთხელაც მეყსეულად მოიქნია ხმლიანი ხელი... მერმე უილაჯობისაგან ამოიგმინა, პირისახიდან საკუთარი თუ უცხოს სისხლი მოიხოცა, მოიწურა... ვინ იცის, ცრემლებიც!

მეფე, ალბათ, თავის სიცოცხლეში პირველად ტირიდა...

...

მეც ვტირი. ცრემლები წვიმასავით ჩამომდის. ვიმშრალებ და ვერც ვიმშრალებ. კარგად ველარაფერს ვხედავ. ასოები, სიტყვები და სტრიქონები ერთმანეთში იბლანდება და იდლაბნება.

ფურცლებს ვნომრავ და მიმდევრობით ვალაგებ. თან ძლივძლივობით ვავლებ თვალს. შიგადაშიგ რაღაცებს ვასწორებ... ვშლი... ვამატებ. ისევ ვშლი... ისევ ვამატებ...

ღია ფანჯარაში ცნობისმოყვარე დიაცივით იყურება ვაშლის ხე. ვითომ, მანდ რა ხდებაო...

აქა? აქ არაფერი-მეთქი...

იქით, სადღაც ჭრიჭინობელა თავისას ერეკება. ალბათ, იმასაც თავისი სადარდებელი და საჭრიჭინო აქვს და ისიც ჭრიჭინებს...

ჭრიი... ჭრიიი... ჭრიი... ჭრიიიი....

კარვენახში მაკრატელი ნკაპუნობს. ვიღაც ვაზს სხლავს.

წკაპ... წკუპ... წკუპ... წკაპ...

ნიავწანწალა ვაზებთან ცელქობს. მზით მოთენთილი ვაზები იმის წამოქიქინებაზე მინდა-არმინდასავით ირწევიან და ინლაწნებიან. მიწაზე გართხმული ჩრდილები უცნაურად ტორტმანობს. ზოგი ცხენიან კაცს მოჰგავს... აი, ის ხმალს იქნევს... ის კი დაჭრილია... ცხენიცა და კაციც... დაჭრილი ფორთხავს, წამოდგომას ლამობს. თან ხმალს ებღაუჭება და ვიღაცას ულერებს... ჰა და ჰა... ვინაა, ქართველია თუ თათარი? დამხვდურია თუ მომხდური?

წკაპ... წკუპ... წკუპ.... წკაპ...

ჭრიი... ჭრიიი... ჭრიი... ჭრიიიი...

ნეტავ სად იყო მაშინ ჩემი პაპა.... არა, პაპის პაპა... იმისი... იიმისი... ააიმისი პაპის პაპა? – ფურცლებს მაგიდის უჯრაში ვყრი და ხმამაღლა ვეკითხები ჩემს თავს. მაგრამ ჩემი ხმა, რატომღაც, მევე მეუცხოება, თითქოს ვიღაცამ ჩამძახა და მეც ქოცოსავით ამოვიძახე.

ის ვიღაც თუ რაღაც კი არ ისვენებს და არც მე მასვენებს. თავს არ მანებებს, ჩამძახის და ჩამძახის და მეც უკვე ვყვირი: – აი, მაშინ... ჰოო... მაშინ... მაშინ... თათარი რომ შემოგვესია კალიასავითა... როცა იქ, კრწანისში, მეფე ერეკლეს ქუდზე კაცი არ მიუვიდა... აბა, მაშ როგორ და რანაირად... ამ მინაზე რომ ვდგავარ და დავდივარ... თუ მეკუთვნის და მერგება... ამაში ჩემს წინაპარს თუ მიუძღვის რამე წვლილი!!!

ეჰ, მე კი ვყვირი, მაგრამ, მგონია, მარტო მე მესმის ჩემი ხმა და ჩემთვის ვყვირი...

ისიც მგონია, რომ ჩემი პაპის პაპის პაპა... ააიმისი პაპა... ჰოო, ვინც იყო... იქნებოდა იქა, იქნებოდა... მაგრამ თუ ეგრე ყველას წინაპარი იყო იქა, კრწანისში და კიდევაც იბრძოლა ერეკლეს ლაშქარში, მაშ ურჯულომ როგორღა გვაჯობა, ჰაა?!.

მაშ როგორ და რანაირად... მაშ როგორ და რანაირად-მეთქი, რამდენჯერმე გავიმეორე, კიდევაც გავიმესამე და გავიმეოთხე...

უჯრიდან ისევ ამოვიღე ნაწერი და კალამი მოვიმარჯვე...

ნიავი ფარდასა და ნაწერ-უწერ ქაღალდის ფურცლებს აშრიალებს...

მე ახლა მთიულეთისაკენ გაჩქარებულ მეფე ერეკლესა და იმის ამალას ავედევნე... იქ კახთბატონი მეფისა და ქვეყნის ერთგულებს მოუხმობს, ლაშქარს შეჰყრის... ურვითა და ვარამით მოპირთავებულ გულზე ურჯულოს არ გადაიტარებს... საჭურისი ხოჯა ორ-სამ დღეში უნდა აიბარგოს და აქაურობას გაეცალოს...

ჰოდა, მეც იქ, ერეკლესთან უნდა ვიყო...

ანაზდად, ვიგრძენი, თითქოს ვიღაც მომდევდა, მომძახოდა და მომკიოდა...

მივაყურე...

– შშშშენა, შენა, შენ კიდე ნახო, ჩემი წინაპარი ხარ, ხოდა, შენ რა გააკეთე, ან ეხლა რას აკეთებ, რო მეც ჩემ წილ მიწაზე ვიდგე და ვიარო. შშშშენა, შენა, შენ კიდე ნახო, ჩემი წინაპარი ხარ, ხოდა, შენ რა გააკეთე ან ეხლა რას აკრთებ, რო მეც, ჩემ წილ მიწაზე ვიდგე და, ვიარო. შშშშენა, შენა, შენა, შენა...

ვინ არი, რა უნდა ჩემგან-მეთქი, ირგვლივ დაფეთებულმა მოვავლე თვალი და ფურცლებს კალმიანი ხელი დავაფარე...

არავინ ჩანდა.

ხმა ძალიან შორიდან ისმოდა.

მომეჩვენა, რომ დროისა და მანძილის საზღვარ-სამანი წაშლილიყო...

ის ვიღაც კი თავისას არ იშლიდა: – შშშშენა, შენა, შენა, შშშ...

შშშიშმა ამიტანა...

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

გამოვხატავთ რა თქვენ მიმართ პატივისცემას, იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილ, სერიოზულ პრობლემას – ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვას, უყურადღებოდ არ დატოვებთ. საქმე შემდეგშია: თქვენი მხარდაჭერის შედეგად, 2019 წლის 25 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი, რომლის საფუძველზე აიკრძალა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაყიდვა საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე. მიუხედავად ამ კანონისა, ყოველგვარი ნებართვის გარეშე ხდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაყვანა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, რის შემდეგ ხდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელებზე გაყიდვა.

აღსანიშნავია, რომ 1997 წელს მიღებული კანონის – „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მინის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაყვანა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ფასიანი იყო და მიღებული თანხა უნდა გამოყენებულიყო ახალი მიწების ათვისებისათვის. აღნიშნულ საკითხებზე კონტროლს ახორციელებდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. 2004 წელს ახალმა მოსულმა მთავრობამ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გააუქმა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მის დაქვემდებარებაში მყოფი მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის სამეცნიერო საპროექტო ინსტიტუტი და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია. შეწყდა საქართველოს მიწების ყოველწლიური ბალანსის წარმოება.

ამასთანავე, ზემოთ აღნიშნულ კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და გარდა რეკრეაციული ზონის: ბაკურიანი, ბახმარო, გუდაური, ურეკი (ურეკი შემდეგ ამოღებულ იქნა რეკრეაციული ზონიდან) და თბილისის და ბათუმის ადმინისტრაციულ ზონაში მოქცეული მიწებისა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაყვანა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გახდა უფასო. სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო საკომპენსაციო თანხა შეადგენს 100 000 ლარს ჰექტარზე, ხოლო ქალაქ თბილისისა და ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისათვის – 34 001 ლარი ჰექტარზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დანარჩენ ტერიტორიებზე მიწის კატეგორიის შეცვლას არ ჭირდება სახელმწიფო ინსტიტუტის თანხმობა და ხდება უფასოდ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ შესაბამისი განცხადების საფუძველზე. ყოველივე ამის შედეგად დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაყვანა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და უცხოელებზე გაყიდვა, რის შედეგად დუშეთის მუნიციპალიტეტში, კახეთში, გურიაში, სამეგრელოსა და სხვა რეგიონებში, უცხოელებზე გაყიდულია მიწის ნაკვეთები.

განსაკუთრებით საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ მოსახლეობისაგან ცარიელდება საქართველოს ისტორიული ადგილები (კუთხეები) – რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი და სხვა მთიანი რეგიონები. ამჟამად საქართველოში ბევრი სოფელია გაუკაცრიელებული. მთელ რიგ სოფლებში ძირითადად მოხუცებულებიღა დარჩა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, 2035 წლისთვის აზერბაიჯანის მოსახლეობა 34%-ით გაიზრდება, სომხეთის – 7%-ით, საქართველოს მოსახლეობა კი 28%-ით შემცირდება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია:

საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე კატეგორიულად აიკრძალოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაყვანა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა აუცილებლობიდან გამომდინარე მიიღებს გადაწყვეტილებას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გადაყვანაზე, გადაყვანა იყოს ფასიანი, როგორც ეს გათვალისწინებული იყო 1997 წლის კანონის შესაბამისად და მიღებული თანხა გამოყენებულ იქნას ახალი მიწების ათვისებისათვის;

2023-2024 წლის გეგმაში გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე კონსოლიდაციის სამუშაოების ჩატარება, რესპუბლიკის რამდენიმე მუნიციპალიტეტში (დედოფლისწყარო, სიღნაღი, ყვარელი);

საქართველოს მთავრობამ მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს მიწის კოდექსის მომზადებისა და დამტკიცებისათვის;

2019 წლის 25 ივნისის კანონით: „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ,“ გათვალისწინებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შექმნილი „მიწის მდგრადი მართვის და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო“ გამოეყოს აღნიშნულ სამინისტროს და დაექვემდებაროს საქართველოს მთავრობას;

დაუყოვნებლივ დაიწყოს ყოველწლიური (ხაზს ვუსვამთ – ყოველწლიური) მიწის ბალანსის შედგენა;

შემუშავდეს მიწის გაუმჯობესებული მართვის სტრატეგია.

ღია წერილი რომან გოცირიძეს

ბატონო რომან,

გამოვხატავ რა თქვენს მიმართ პატივისცემას, როგორც ერთ-ერთი მაღალკვალიფიციური ეკონომისტი, მინდა დაგისვათ შეკითხვა, იმ შეკითხვასთან დაკავშირებით, რომელიც თქვენ პარლამენტის სხდომაზე დაუსვით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, ბატონ ოთარ შამუგიას, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელებზე გაყიდვასთან დაკავშირებით, ვიცი რა თქვენი დადებითი პოზიცია უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიწების გაყიდვის შესახებ, ის თუ იცით, რამდენი ჰექტარი მიწა აქვს საქართველოს დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით? ნება მომეცით ჩემს შეკითხვას მე თვითონ გავცე პასუხი, რადგან არა თუ თქვენ, ვერავინ ვერ გვეტყვის საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების რამდენი მიწა გვაქვს დანიშნულებისა და კატეგორიების (კულტურების) მიხედვით. მინდა შეგახსენოთ, 2005 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულების, კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს.

მას შემდეგ, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ღალატის ფასად, 2004 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ გააუქმა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მასთან ერთად გააუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული მიწათმოწყობის სამეცნიერო კვლევითი – საპროექტო ინსტიტუტი და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევისა და სხვა მიმდინარე სამუშაოები, შეწყდა მიწის ბალანსის წარმოება. სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მიწათმომწყობთა კადრების გამოშვება. მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში დღემდე აღარ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით. არ ვიცით, რამდენი ჰექტარი ვენახი, ხილის ბაღი, ჩაი, ციტრუსი და სხვა კულტურები გვაქვს. არ არის დაზუსტებული საზღვრები რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან. საინტერესოა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2012 წელს როგორ შეიმუშავა: „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012-2022 წ.წ.“, როდესაც არ იცოდა და არ იცის რამდენი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს კულტურებისა და საკუთრების მიხედვით?! არ სრულდებოდა საქართველოს კანონები: „ნიადაგების დაცვის შესახებ“ და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“, არ ვიცით რამდენი ჰექტარი მიწის ფართობი გვაქვს, მათ შორის რამდენია სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბი და საძოვარი. არ ვიცით რამდენია კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში. რას ვყიდით და რამდენად ვყიდით?!

არ არსებობს მიწის ბონიტირება, არ ვიცით მიწის ფართობების ხარისხობრივი (ნაყოფიერების) მონაცემები მუნიციპალიტეტებში, რის შედეგად მთავრობის მიერ დადგენილი მიწის გასაყიდი ფასები არ არის რეალური. მაგალითად: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მიწის გასაყიდი ფასი სოფელ კოდასა და დაბა მანგლისში ერთი და იგივეა, გასაყიდი ფასები დადგენილია ქართველი ფერმერის ეკონომიური შესაძლებლობის გათვალისწინებით, რაც უცხოელებს საშუალებას მისცემს ჩალის ფასად ჩაიგდოს ხელში ქართული მიწები. მიწების უცხოლებზე გასხვისების მომხრეები გაიძახიან: „გავყიდოთ მიწები, თან ხომ არ წაიღებენო“.

დედამიწაზე მოსახლეობის ზრდის შედეგად საკვების შემცირების პრობლემა სულ უფრო მწვავდება. ეს პირველ რიგში ეხება მიწას, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოები განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდებიან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებისთვის მიყიდვას. არცერთ ქვეყანაში, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. პოლონეთში სანებართვო სისტემა მოქმედებს. მიწის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია, ან აქვს სპეციალური აგრარული განათლება. შვეიცარიაში მიწის შეძენა დაშვებულია სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. გერმანიაში უცხოელს მიწის შეძენა შეუძლია სპეციალური კომისიის ნებართვით. დანიის კანონმდებლობით ქონების შეძენა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. არარეზიდენტს ქონების შეძენა შეუძლიათ თუ ისინი არიან ევროკავშირის წევრები და მუშაობენ დანიაში. რუმინეთში უცხოელის მიერ მიწის ნაკვეთის შეძენა შესაძლებელია ქვეყნებს შორის შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში და ისიც მხოლოდ იმ პირობის გათვალისწინებით თუ მეორე ქვეყანაც, რუმინეთის მოქალაქეებს ანალოგიურ უფლებებს მისცემს.

როგორც ცნობილია, საქართველოდან მილიონზე მეტი მოქალაქეა გასული უცხოეთში სამუშაოდ, რადგან აქ ვერ პოულობენ სამუშაოს, ხოლო მიწაზე ფერმერობა დღეის მდგომარეობით არ არის შემოსავლიანი. ეს დროებითი პროცესია. მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ ეს მოქალაქეები როცა დაბრუნდებიან საქართველოში, მათ ქართული მიწები უცხოელებზე გაყიდული დახვდებათ. აფხაზეთში აფხაზეთის დეფაქტო მთავრობა არ ყიდის უცხოელებზე მიწებს. საქართველოში ერთ ჰექტარ საძოვარზე ნორმით უნდა ძოვდეს ერთი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ორი წვრილფეხა. 1992 წლამდე, როცა მუდმივ სარგებლობაში გვქონდა ყიზლარის (კოჩუბეი) ნახევარი მილიონი ჰექტარი მიწის ფართობი, ჩვენი საძოვრები გადატვირთული იყო. მას შემდეგ მდგომარეობა კი არ გაუმჯობესდა, არამედ საგრძნობლად გაუარესდა კიდეც. საქართველოში როდესაც აღირიცხებოდა 800 000 ჰექტარი სახნავი მიწა, ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 0.16 ჰა სახნავი მიწა (ნორმა 0.5 ჰა), რაც მსოფლიოში ყველაზე დაბალია. დღეის მდგომარეობით, არა თუ გაუმჯობესდა მდგომარეობა, არამედ კატასტროფულად გაუარესდა. ***2004 წლის მონაცემებით საქართველოს მთელი ტერიტორიის 54% უკავია მთებს, 33% – მთის წინებს, მხოლოდ 13% არის დაბლობი. საქართველოში მთელი ტერიტორის 44% გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, უკრაინაში – 91%, ჩრდილოეთ კავკასიაში – 88%. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სახნავია 26%, უკრაინაში – 80.6%, მოლდავეთში – 73.1%.***

ბიბლიაში წერია: **„მიწა არ უნდა გაიყიდოს, თუ შენი მოძმე გაღარიბდება და მიწას გაყიდის, მოვიდეს მისი ნათესავი და გამოისყიდოს“.**

ბატონო რომან, ვითვალისწინებ გაზეთის რეგლამენტს და აქ დავამთავრებ ჩემს სათქმელს, არადა ძალიან ბევრი დასაბუთებული არგუმენტის მოყვანა შემეძლო, რატომ არ უნდა გაიყიდოს უცხოელებზე ქართული მიწა. ჩემი თუ არ გჯერათ, იქნებ ვაჟა-ფშაველას და აკაკი წერეთელს მაინც დუჯეროთ.

აი რას ბრძანებს ვაჟა-ფშაველა:

„საქართველო დღეს წააგავს მსუქან დუმას, გარეშე კაცი მიეტანა ამ დუმას და ნელ-ნელა ათლის კაი-კაი ნაჭრებს. ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ ქართველები ამ დუმის თლას, მიწა-წყლის გადასვლას სხვის ხელში, როდი ვეწინააღმდეგებით სასტიკად. როგორ ეკადრება ასეთი საქციელი ჩვენს კეთილშობილებას... რას სჩადიხართ, ვინ მოგცათ ნება, ერის საუნჯე ტერიტორია საძმო, საკაცობრიო ტაბლად აქციოთ და თვით ერსაც ხელი ააღებინოთ?!“

აკაკი წერეთელი:

„ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალს
და ნუ ადგამ ბიჯს, ზედ წარამარად!
ის არის ჩვენი „წმინდა წმინდათა“,
უნდა გვახსოვდეს მარად და მარად.
აბა ერთ გოჯს თუ სადმე ნახავთ,
რომ ის არ იყოს სისხლით მორწყული!
იმის სიღრმეში ჩამარხულია
ჩვენი წინაპრის სული და გული.“

ანზორ მესხიშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
სერთიფიცირებული ექსპერტი უძრავი ქონების-მიწის საკითხებში

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

ასთხუთმეტი წელი გავიდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან. საუკუნის მკვლელობის ისტორიაში ბევრი რამ დღესაც ბურუსითაა მოცული. ეს მრავალი მიზეზითაა განპირობებული. 1907 წლის 30 აგვისტოდან ილიას მკვლელობის თაობაზე ხუთი ვერსია შეიქმნა, რომელთაგანაც ჭეშმარიტი მხოლოდ ერთი იყო. მოკლედ მიმოვიხილოთ ეს ვერსიები.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ – მკვლელობა ძარცვის მიზნით. ეს ვერსია შემთხვევით არ შექმნილა, მას წინასწარ ამზადებდა ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც ილიას მკვლელობა ჰქონდა განზრახული.

1907 წლის 7 ივნისს საგურამოში, ილიას მამულში, ყაჩაღური თავდასხმის დროს მოკლეს ილიას მოურავი მოსე მემარნიშვილი, მისი მეუღლე კი სასიკვდილოდ დაჭრეს (როგორც ჩანს, ყაჩაღებს ისიც მკვდარი ეგონათ). როგორც მოურავის, ისე ილიას სახლშიც, ვითომდა ფულისა და ძვირფასი ნივთების ძებნის მიზნით, ყაჩაღებმა ყველაფერი გადაქექეს, წაიღეს კიდეც ზოგიერთი ნივთი. მოსე მემარნიშვილისა და მისი მეულლის დახოცვა არ იყო მკვლელობა ძარცვის მიზნით. ამ მოვლენის ლოგიკური გაგრძელება უნდა ყოფილიყო ილიას მკვლელობა, ვითომდა, ძარცვის მიზნით, ხოლო ორგანიზატორი ვარაუდობდა, რომ ორივე მკვლელობა (მოსე მემარნიშვილისა და ილია ჭავჭავაძისა) ერთმანეთს დაუკავშირდებოდა და ძარცვის მიზნით ჩადენილ დანაშაულად შეირაცხებოდა. როგორც 1907 წლის 7 ივნისს საგურამოში მოსე მემარნიშვილის საცხოვრებლის, ისევე ილიას სახლის გაძარცვა, 30 აგვისტოს წინამურთან მოკლული ილიასა და მძიმედ დაჭრილი მისი მეუღლის გაძარცვა, სიმულირებული იყო და ხელისუფლების, საზოგადოებისა და გამოძიების შეცდომაში შეყვანას ისახავდა მიზნად. მავანმა და მავანმა იქნებ დაიჯერა კიდეც, რომ ილია ძარცვის მიზნით მოკლეს, მაგრამ კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციას ეჭვიც არ შეეპარვია, რომ ძარცვა სიმულირებული იყო. 1907 წლის 1 სექტემბერს, ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით, პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, გაგზავნილ ტელეგრამაში თბილისის სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავდა: „ძარცვა სიმულირებულია“ („грабеж симулирован“). ცხადია, თბილისის სამხედრო გუბერნატორი კომპეტენტური ორგანოების დასკვნას ეყრდნობოდა. კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციას, პირადად მეფისნაცვალს, თბილისის სამხედრო გუბერნატორს და სხვა თანამდებობის პირებს ხელს აძლევდათ ძარცვის მიზნით მკვლელობის ვერსია. ძარცვის შემთხვევაში მათ ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, ვიდრე პოლიტიკური მკვლელობისას. მიუხედავად ამისა, თავდაპირველად კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციამ მისთვის ხელსაყრელ, მაგრამ უსუსურ ვერსიას მხარი არ დაუჭირა – ძარცვის მიზნით მკვლელობის ვერსია გამორიცხა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ძარცვის მიზნით ილიას მკვლელობის ვერსიის წინააღმდეგ მეტყველებდა შემდეგი გარემოება. რა სიმდიდრე (ფული და ძვირფასი ნივთები) უნდა ჰქონოდათ ილიასა და მის მეუღლეს ეტლში? უფრო მეტი ქონების ხელში ჩაგდება ყაჩაღებს შეეძლოთ, თუ ისინი ილიას არყოფნის დროს დაეცემოდნენ მის სახლს თბილისში ან საგურამოში. იმხანად ილიას სახლებს რაიმე განსაკუთრებული დაცვა არ ჰყავდა მიჩენილი და ყაჩაღებს ხელს ვერავინ შეუშლიდა, ისევე როგორც ვერავინ შეუშალა ხელი 1907 წლის 7 ივნისს.

ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ ყაჩაღებს ილიას მკვლელობის გარეშე, გაცილებით უფრო ნაკლები რისკის ფასად, უფრო მეტი ფულის შოვნა შეეძლოთ, ვიდრე იშოვეს დიდ რისკთან დაკავშირებული ილიას მკვლელობით, მაშ, რატომღა მოკლეს ილია? ყაჩაღები არც ისე სულელები იყვნენ, რომ არ სცოდნოდათ: ილიას სახლის გაძარცვა თბილისში ან საგურამოში მათ უფრო ადვილად შერჩებოდათ, ვიდრე დღისით, მზისით ილიას მოკვლა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: ვერსია ილია ჭავჭავაძის ძარცვის მიზნით მკვლელობის თაობაზე სრულიად უსაფუძვლოა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ – მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე. ეს ვერსია იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა ვერსია ძარცვის მიზნით მკვლელობის თაობაზე. მიზანიც იგივე იყო: ხელისუფლების, საზოგადოებისა და გამოძიების შეცდომაში შეყვანა.

გლეხების მიერ მემამულეების მკვლელობებმა და მათი მამულების დარბევებმა მასობრივი ხასიათი შეიძინა 1905 წლის გაზაფხულიდან და გრძელდებოდა მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში. მალე გლეხთა „წითელი რაზმების“ თარეშს მემამულეებმა „შავი რაზმების“ შექმნით უპასუხეს. ბევრმა მემამულემ ჩრდილო კავკასიელი მთიელები დაიქირავა და ტერორისტთა თვითნებობა ალაგმა. ხელისუფლებაც სათანადოდ დაეხმარა მემამულეებს. ბევრ სოფელში პოლიცია და ჯარიც კი ჩააყენეს. პოლიცია იცავდა საგურამოში ილია ჭავჭავაძისა და სხვა მემამულეების სახლებს. 1905-1906 წლებში ხელისუფლებამ დამსჯელი ექსპედიციები აამოქმედა. სამხედრო ტრიბუნალებმა მემამულეთა მკვლელობის მონაწილე ბევრი გლეხი სიკვდილით დასაჯეს, გლეხების ნაწილი ციხეებში გამოკეტეს და შემდეგ ციმბირში გადაასახლეს. 1906 წლის მიწურულისათვის ხელისუფლებამ თითქმის სრულიად აღადგინა კონტროლი სასოფლო რაიონებზე, ამოქმედდა სოფლის ადმინისტრაცია. მემამულეთა მკვლელობაში ბრალდებული გლეხები, რომლებიც ხელისუფლების მსჯავრს გადაურჩნენ, სოფლებიდან გაიქცნენ (მათმა ნაწილმა თავი ირანს შეაფარა). 1907 წელს, მით უფრო წლის მეორე ნახევარში, აგრარულ ნიადაგზე მემამულეთა მკვლელობები ძალზე იშვიათი იყო. 1907 წლისთვის ილიამაც გლეხებთან ძველი, ტრადიციული ურთიერთობა აღადგინა. 1907 წელს ილიასა და გლეხებს შორის ურთიერთობა სერიოზულად არ დაძაბულა, რადგან ამის მიზეზი არ არსებობდა. მუქარის წერილები, რომლებსაც ილია თითქოსდა გლეხებისაგან იღებდა, სინამდვილეში გლეხებს არ ეკუთვნოდა და იმ პოლიტიკური ძალის მიერ იყო შეთხზული, რომელიც ილიას მკვლელობას გეგმავდა. ხმები იმის შესახებ, რომ ილიას მალე მოკლავდნენ, ასევე ზემოხსენებული პოლიტიკური ძალის მიერ იყო გავრცელებული.

ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ ილია გლეხებმა არ მოკლეს 1905-1906 წლებში, როცა ბევრი მემამულე გამოასალმეს სიცოცხლეს და როცა მემამულის მკვლელობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რატომ ჩაიდინეს ეს დანაშაული 1907 წლის აგვისტოში, როცა მემამულეთა მკვლელობები უკვე წარსულს ჩაბარდა და მკვლელებს სასჯელისაგან თავის დახსნის არანაირი შანსი არ ჰქონდათ? 1905-1906 წლებში მემამულის მკვლელობას მიზეზი არ უნდოდა, კლავდნენ იმიტომ, რომ მემამულე იყო. მთელი გლეხობა აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1907 წლის ზაფხულისათვის ვითარება კარდინალურად იყო შეცვლილი. გლეხობა დარბეული, წელში გატეხილი და, რაც მთავარია, დაშინებული იყო. საგურამოში გლეხების მიერ ილიას მკვლელობის ორგანიზება ძნელად სავარაუდოა.

გარდა ამისა, ყურადსაღებია კიდევ ერთი გარემოება. ილიას რომ გლეხობის შიში ჰქონოდა, მას შეეძლო საგანგებო დაცვის თანხლებით ემგზავრა და მისი სახლებიც საიმედოდ ყოფილიყო დაცული. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრს დაცვის მოთხოვნის უფლება ჰქონდა, მით უმეტეს, რომ თბილისისა და დუშეთის მაზრაში სამხედრო მდგომარეობა ვრცელდებოდა. ილიას დაცვის აყვანა აზრადაც არ მოსვლია, რადგან მას ვერც კი წარმოედგინა, რომ გლეხები გზად ჩაუსაფრდებოდნენ და მოკლავდნენ. იმხანად გლეხები ილიას კი არა, თავისი სისასტიკით ცნობილ მემამულეებსაც კი ველარაფერს აკლებდნენ. თბილისის სამხედრო გუბერნატორი ილიას მკვლელობის მიზეზად გლეხობის აღშფოთებას კი არ ასახელებდა, არამედ მიიჩნევდა, რომ გლეხები სოციალ-დემოკრატებმა ნააქეზეს. 1907 წლის 1 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, გაგზავნილ ტელეგრამაში თბილისის სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავდა: „предполагается, что князь убит местными крестянами подстрекательству социал-демократов.“

აქვე გვინდა გავიმეოროთ ზემოთქმული: კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციას ხელს აძლევდა აგრარულ ნიადაგზე მკვლელობის ვერსია (ისევე, როგორც ვერსია ძარცვის მიზნით მკვლელობისა). ამ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო ნაკლები იქნებოდა, ვიდრე პოლიტიკური მოტივით მკვლელობის შემთხვევაში.

ამრიგად, აგრარულ ნიადაგზე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვერსია უსაფუძვლოა.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ – მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით. სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით მკვლელობის ვერსია, ანუ ვერსია ეროვნული შუღლის ნიადაგზე მკვლელობის თაობაზე იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა პირველი და მეორე ვერსიები – მკვლელობა ძარცვის მიზნით და მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე. მიზანიც იგივე იყო: ხელისუფლების, საზოგადოებისა და ძიების შეცდომაში შეყვანა.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი აღშფოთება მოჰყვა სომეხ ნაციონალისტთა შორის ილიას „ქვათა ღაღადს“ (1899 წ.). ილიას მკვლელობის სომხური ვერსიის შემთხზველი სწორედ ამ ფაქტით სპეკულირებდა. ილიას მკვლელობის სომხური ვერსიით გამოძიების შეცდომაში შეყვანა მკვლელობის მონაწილის, ილიას მეეტლის, თედო ლაბაურის, საშუალებით სცადეს. 1907 წლის 3 სექტემბერს მიცემულ ჩვენებაში თედო ლაბაურმა, მიღებული მითითების თანახმად, განაცხადა, მკვლელები სომხები იყვნენო („По виду мне показалось, что эти были армяне“). მეტი დამაჯერებლობისათვის თედო ლაბაურმა აღნიშნა: მკვლელები რუსულად ლაპარაკობდნენ, ოღონდ სომხური აქცენტითო: „Мне слышалось, что эти люди говорили с таким акцентом, которым говорят по-русски армяне.“ მეორე დაკითხვისას, 1907 წლის 16 ნოემბერს, თედო ლაბაურმა თვითონვე უარყო ადრე მიცემული ჩვენება და განაცხადა: მკვლელები ქართველები იყვნენო. ხმები სომეხი ტერორისტების მიერ ილიას მკვლელობის თაობაზე მხოლოდ თედო ლაბაურის ჩვენებიდან არ იღებდა სათავეს. ეს უკანასკნელი ვერსია სხვა წყაროებიდანაც ვრცელდებოდა. სომეხი ნაციონალისტების მიერ ილიას მკვლელობის ვერსია სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია ვაჟა-ფშაველამ და ხალხს მოუწოდა, არ აჰყოლოდნენ პროვოკატორებს.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სომხური ვერსიაც სრულიად უსაფუძვლოდ უნდა მივიჩნიოთ.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ – მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით. რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მკვლელობის ვერსია, ანუ პოლიტიკური მკვლელობის ვერსია იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა პირველი, მეორე და მესამე ვერსია (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების მიერ). ამ ვერსიის მიზანს შეადგენდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების კომპრომეტაცია, ხელისუფლებისა და საზოგადოების დაპირისპირება. ვერსიამ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ ილიას მკვლელობის თაობაზე მეორე სიცოცხლე შეიძინა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში. გაბატონდა შეხედულება იმის თაობაზე, რომ „ილია ჭავჭავაძე მოკლეს ცარიზმის მიერ მოსყიდულმა აგენტებმა.“ საბჭოთა ისტორიოგრაფია ილიას მკვლელობის მიზეზად ასახელებდა: რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ილიას ბრძოლას ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად, გამოსვლას სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლას. მოკლედ შევეხოთ ამ საკითხებს.

ილია რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ქართველი ერის ინტერესებს იცავდა, ეს საყოველთაოდაა ცნობილი. სახელმწიფო საბჭოში თავისი მოღვაწეობის მანძილზე ილიას ისეთი არაფერი უთქვამს ან გაუკეთებია, რომ ხელისუფლებას იგი მიუღებლად და, მით უმეტეს, საშიშად მიეჩნია. ილია ტიპური ლიბერალ-დემოკრატი იყო, მისთვის უცხო იყო ყოველივე რადიკალური და ექსტრემისტული. სახელმწიფო საბჭოში ილიას გამოსვლები სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუშს წარმოადგენდა. ამ გამოსვლებს ხელისუფლების მხრიდან რაიმე პროტესტი არასოდეს მოჰყოლია. წლების მანძილზე გრძელდება ის გაუგებრობა რომელიც წარმოიშვა სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით, ვითომდა ილიას გამოსვლის თაობაზე. იმხანად უამრავი რუსი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იურისტი, ითხოვდა სიკვდილით დასჯის გაუქმებას. საქმე ეხებოდა არა საერთოდ სიკვდილით დასჯის გაუქმებას (რაც გათვალისწინებული იყო რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით), არამედ ხელისუფლების მიერ რევოლუციის პერიოდში დროებით შემოღებული სიკვდილით დასჯის საგანგებო (განსაკუთრებული) წესის გაუქმებას, ანუ სამხედრო ტრიბუნალებისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის უფლების ჩამორთმევას. ილია იზიარებდა გამოჩენილი რუსი პოლიტიკოსებისა და იურისტების აზრს და ემზადებოდა კიდეც ამ საკითხზე სახელმწიფო საბჭოში გამოსვლისათვის. მიუხედავად ამისა, ილია სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით სახელმწიფო საბჭოში არ გამოსულა და რომც გამოსულიყო, ამაში ხელისუფლებისათვის საშიში არაფერი იქნებოდა (სამხედრო ტრიბუნალების მოქმედება შემდგომში მართლაც იქნა შეჩერებული). რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის ჯერ კიდევ 1905 წლისათვის კარგად იყო ცნობილი ილიას დამოკიდებულება საქართველოს ავტონომიის იდეისადმი. საქართველოს ავტონომიის ილიასეული იდეა რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას საშიშად მიეჩნია, მაშინ ილიას 1906 წელს სახელმწიფო საბჭოს წევრად არ აირჩევდნენ და საქმესაც არ გაირთულებდნენ. ილია ჭავჭავაძეს რუსეთის სახელმწიფო საბჭოში საქართველოს ავტონომიის საკითხი ოფიციალურად არ დაუყენებია, და რომც დაეყენებინა, ეს არ შეიძლებოდა გამხდარიყო სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობის საფუძველი.

და ბოლოს. რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური მოტივით სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობა ყოვლად წარმოუდგენელი იყო. ხელისუფლებისათვის არასასურველი მოღვაწე ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყო სახელმწიფო სათათბიროს წევრი. ამის საშუალებას იძლეოდა საარჩევნო სისტემა. მაგრამ ხელისუფლებისათვის არასასურველი პოლიტიკოსი ვერასგზით ვერ გახდებოდა სახელმწიფო საბჭოს წევრი, ამას გამორიცხავდა საარჩევნო სისტემა. ამიტომ იყო, რომ ხელისუფლებისათვის მიუღებელი პოლიტიკური მოღვაწე არასოდეს ყოფილა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში.

ამრიგად, ვერსია რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

მეხუთე ვერსია – სოციალ-დემოკრატების მიერ პოლიტიკური მოტივით ორგანიზებული მკვლელობა. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ხელმძღვანელობამ (ვლადიმერ ლენინი, გრიგოლ ზინოვიევი და სხვ.), რომელიც იმხანად ემიგაციაში (პარიზში, ჟენევაში) იმყოფებოდა. ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის საჭირო თანხაც საზღვარგარეთიდან შემოვიდა (საქართველოში არ მოუპოვებიათ), ქილერი ქართველი იყო. რსდმპ თბილისის კომიტეტს ილიას მკვლელობის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია, კომიტეტის სხდომაზე ეს საკითხი არ განხილულა. ქართველ სოციალ-დემოკრატთაგან მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე. არც ერთი იმხანად რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი არ ყოფილა, ისინი კომიტეტის დავალებით არ მოქმედებდნენ და არც ანგარიშს აბარებდნენ მას.

საქართველოს



რსდმპ ხელმძღვანელობის მიერ ილიას მკვლელობა გულდასმით მომზადდა. ჩვენ მიერ ზემოხსენებული ოთხივე ვერსია (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით, მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით) სოციალ-დემოკრატებმა შეთხზეს და ილიას მკვლელობის პირველივე დღიდან ავრცელებდნენ ხალხში. ილიას მკვლელობამდე დარხეული ხმები იმის შესახებ, რომ ილიას მალე მოკლავდნენ, ასევე ქართველ სოციალ-დემოკრატების გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. ილიას მოურავი მოსე მემარნიშვილი და მისი მეუღლეც სოციალ-დემოკრატებმა დაახოცვინეს. გამოძიებისთვის გიგლა ბერბიჭაშვილის, თედო ლაბაურის და სხვათა მიერ მიცემული ჩვენებებიც, მეტწილად, სოციალ-დემოკრატების მიერ იყო ნაკარნახევი.

სოციალ-დემოკრატების მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ეს ვერსია ოფიციალურად თბილისის დროებითმა სამხედრო გუბერნატორმა წამოაყენა 1907 წლის 1 სექტემბერს პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, გაგზავნილ ტელეგრამაში. მასში ვკითხულობთ: „სავარაუდოა, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების ნაქეზებით“ („предполагается, что князь убит местными крестянами подстрекательству социал-демократов“). საზოგადოების ნაწილს ამის გარეშეც სჯეროდა, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ილიას მკვლელობასთან არანაირი კავშირი, არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი, არ ჰქონია ორ ქართველ სოციალ-დემოკრატს – ნოე ჟორდანიასა და იოსებ ჯუღაშვილს (სტალინს).

დღეს ჩვენ ხელთ არსებული მასალების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ:

1. 1905 წლის გაზაფხულზე ილიას წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანიის შედეგად სოციალ-დემოკრატებმა ჩათვალეს, რომ ილიას სახელი გაუტეხეს და იგი ხელს ვეღარ შეუშლიდა მათი გეგმების რეალიზებას. 1905 წელს ილიამ ლიბერალურ-დემოკრატიული ტიპის პარტიის შექმნა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. სოციალ-დემოკრატებმა ესეც თავიანთ გამარჯვებად მიიჩნიეს. რსდმპ ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ საქართველოში მათი ყველაზე ძლიერი და საშიში მოწინააღმდეგე უმნიშვნელო ძალად აქციეს.

2. 1906 წელს ილია რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. რსდმპ ხელმძღვანელობისთვის ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასი იყო. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ილიას გარშემო თავს მოიყრიდა საქართველოს ავტონომიისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი ძალები. ავტონომიაცა და ავტოკეფალიაც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა რსდმპ პროგრამას. საქართველოს ავტონომიის მოპოვებისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემთხვევაში დაინყებოდა ეროვნული მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. არ იყო გამორიცხული, რომ ილია ამჯერად მოახერხებდა მთელი ქართველი ერის ინტერესების გამომხატველი ლიბერალურ-დემოკრატიული (ცენტრისტული) პარტიის შექმნას. ეს კი მინიმუმამდე დაიყვანდა საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში სოციალ-დემოკრატების გამარჯვების შანსს. ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობაში ეროვნულ ძალთა გაბატონებას რსდმპ ხელმძღვანელობა ვერასგზით ვერ დაუშვებდა. ილიას მკვლელობა ეროვნულ ძალთა დაქსაქსვისა და დასუსტების ერთადერთ საშუალებად იქნა მიჩნეული.

3. ილია შეიძლებოდა მოეკლათ თბილისშიც და საგურამოშიც, მგზავრობისას თუ შინ მყოფი. ამისთვის ქილერის ერთი მარჯვე გასროლა იყო საკმარისი. ამ გზით მკვლელობა რსდმპ ხელმძღვანელობას ხელს არ აძლევდა. ილია უნდა მოეკლათ გლეხებს და თანაც ისე, რომ მკვლელობაში სოციალ-დემოკრატების კვალი დაფარულიყო. მკვლელები აუცილებლად ადგილობრივი, ილიას ნაცნობი გლეხები უნდა ყოფილიყვნენ. ილია გლეხებს უნდა მოეკლათ, როგორც

მკვლელები

მემამულე, როგორც გლეხების მჩაგვრელი. ამით დაიფარებოდა პოლიტიკური მკვლელობა, მკვლელობა ეროვნული მოძრაობის წინამძღოლისა.

4. ილიას მკვლელობისათვის შერჩეული გლეხები: გიგლა ბერბიჭაშვილი, გიგოლა მოძღვრიშვილი, თედო ლაბაური, პავლე ფშავლიშვილი (აფციაური), გიორგი ხიზანიშვილი – მკვლელობაში იდეური მოსაზრებით არ მონაწილეობდნენ, ისინი ილიას მოკვლას გარკვეული საფასურის მიღების სანაცვლოდ დასთანხმდნენ, ანუ ტიპური ტერორისტები იყვნენ. ტერორისტების იმედად მკვლელობის უშუალო ორგანიზატორი ვერ იქნებოდა. მათ შეიძლება ნებისმიერ მომენტში გადაეფიქრებინათ ილიაზე თავდასხმა (ასეთი შემთხვევები ბევრი იყო 1905-1907 წლებში). ილიას მკვლელობის დამკვეთსა და უშუალო ორგანიზატორს აუცილებლად სჭირდებოდათ საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტი, რომ ილიას ეტლი ადგილობრივმა გლეხებმა გააჩერეს. დანარჩენი მარტო მოქმედი პროფესიონალი ქილერის საქმე იყო. ეს ქილერი ჩასაფრებული იყო. მან ზუსტად იცოდა, გლეხები ილიას ეტლს სად გააჩერებდნენ. გლეხებმა ქილერის არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ. გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა ილიას ეტლი გააჩერა. ილიას მცველის იაკობ ბითარიშვილის ეტლიდან გადახტომამ და ბუჩქებში

ეტლი, სადაც ილია მოკლეს

გაქცევამ ტერორისტები დააბნია და შეაშინა. იაკობს შეეძლო მოხერხებული საფრდან შუა გზაზე მდგარი ტერორისტები ადვილად დაეხოცა. მთელი ყურადღება იაკობ ბითარიშვილზე იქნა გადატანილი. სწორედ ამ დროს გაჩერებული ეტლის უკან ჩასაფრებულმა მარტო მოქმედმა ქილერმა, ვიმეორებთ, მარტო მოქმედმა, ერთადერთი ტყვია გაისროლა. ილია სწორედ ამ ტყვიით არის მოკლული. გასროლის შემდეგ ქილერი შეუმჩნევლად გაეცალა იქაურობას. სწორედ ამიტომაა, რომ ილიას სხეულში ტყვია შევიდა მარცხენა იღლიის უკანა კიდესთან, ნეკნებს შორის, გაიარა გული და გამოვიდა მარჯვენა ძუძუს დვრილთან, ოდნავ შიგნით (მაცხენა ძუძუს დვრილისაკენ). ამიტომაა, რომ მარცხენა იღლიის უკანა კიდეზე (ნეკნებს შორის) ტყვიამ დატოვა მცირე დიამეტრის ხვრელი (გამავალი ნეკა თითისათვის), ხოლო მკერდზე (მარჯვენა ძუძუს დვრილთან) – გაცილებით დიდი ზომის ხვრელი (ოვალური ფორმის, სამი სანტიმერტის სიგრძისა). ცნობილია, რომ ტყვია სხეულში შესვლისას ტოვებს მცირე დიამეტრის ხვრელს, ხოლო სხეულიდან გამოსვლისას – გაცილებით დიდს. ილია ჭავჭავაძის გვამის დათვალიერების აქტის (1907 წლის 31 აგვისტო) შესწავლის შედეგად ექსპერტი ბ. კილასონია დაასკვნის: ილიას სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული „ჭრილობის არხის მიმართულებაა მარცხნიდან მარჯვნივ, უკნიდან წინ, ე.ი. ილიასათვის ტყვია ზურგიდან უსვრიაო:“ 1907 წელს ჩატარებული ძიების მასალების მიხედვით, რომელიც დაადასტურა 1941 წელს ჩატარებულმა ძიებამაც, ილია მოკლული იქნა ეტლის წინ მდგარი ტერორისტების ჯგუფიდან გასროლილი ტყვიით. შეიძლება თედო ლაბაური და მკვლელობის სხვა მონაწილეები არც ცრუობდნენ, მათ, უბრალოდ, ვერც გაიგეს, ვის მიერ ნასროლმა ტყვიამ მოკლა ილია. ტერორისტებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმის თაობაზე, რომ იქვე ახლოს ქილერი იყო ჩასაფრებული.

5. ილიას მკვლელობის დამკვეთმა და მისმა უშუალო ხელმძღვანელმა მიზანს ნანილობრივ მიაღწიეს – საზოგადოება და გამოძიება დააბნიეს. ილიას მკვლელობა ისე ვერაგულად იყო მომზადებული და განხორციელებული, რომ დღეს მავანს და მავანს კვლავ სჯერა, რომ ილია გლეხებმა აგრარულ ნიადაგზე მოკლეს. კვლავ შეეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ილია რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მოიშორეს თავიდან.

ილიას მკვლელობის დამკვეთისა და მისი უშუალო ამსრულებლის (ტერორისტებს არ ვგულისხმობთ!) დადგენა ვერ შეძლო ორმა გამოძიებამ და ორმა სასამართლო პროცესმა. ვერც რუსეთის იმპერიისა და ვერც საბჭოთა მართლმსაჯულებამ ვერ გაბედა, სიმართლისათვის ბოლომდე აეხადათ ფარდა. ჭეშმარიტება მხოლოდ ღმერთმა უწყის. მისი მსჯავრი უკვე კარგა ხანია აღსრულდა – ილიას მკვლელობის დამკვეთებსაც, მკვლელობის უშუალო ორგანიზატორებსაც და ტერორისტებსაც მიეზღოთ.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი (1907-1909 წწ.). ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიება (1907-1909 წწ.) ვერ წარიმართა სათანადო დონეზე. ძიების უხარისხოდ ჩატარებამ გავლენა იქონია სასამართლო პროცესზე (1909 წ.) და, ცხადია, განაჩენზეც. ძიებამ და სასამართლომ ვერ მიაღწია უმთავრესს – ვერ გამოავლინა ილიას მკვლელობის დამკვეთი და ვერც მკვლელობის ორგანიზატორი. საუკუნის დანაშაულს არ მიეცა პოლიტიკური მკვლელობის კვალიფიკაცია. პასუხი ვერ გაეცა უამრავ კითხვას. დღეს, ილიას მკვლელობიდან ერთ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, ძალზე ძნელია, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც კი, გამოიკვლიო და დაადგინო ის, რაც უნდა გამოკვლეულიყო და დადგენილიყო მკვლელობიდან რამდენიმე კვირის, თუნდაც რამდენიმე თვის განმავლობაში.

ილიას მკვლელობის მასალების მოკვლევით დაკავებული იყო რამდენიმე უწყება: 1) რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტი და მისდამი დაქვემდებარებული თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო; 2) რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უშიშროების განყოფილება (ოხრანკა) და მისდამი დაქვემდებარებული თბილისის ოხრანკა; 3) თბილისის პოლიცმაისტერის სამმართველო; 4) თბილისის დროებითი სამხედრო გუბერნატორი (იგივე გენერალ-გუბერნატორი) და მისდამი დაქვემდებარებული დუშეთის მაზრის მმართველობა. უშუალოდ ძიებას აწარმოებდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამძებრო ნაწილი (უმნიშვნელოვანეს საქმეთა გამომძიებელი ილიაშენკო), თბილისის პოლიცმაისტერის სამძებრო ნაწილი (სამძებრო ნაწილის უფროსი ევტუშევსკი). ძიების პროცესზე ზედამხედველობას ახორციელებდა თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან ილიას მკვლელობის თაობაზე ყველაზე მეტ ინფორმაციას ფლობდა და ყველაზე კომპეტენტური იყო დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფაღავა. მან იცოდა ყველაფერი, რაც ხდებოდა საგურამოსა და მახლობელ სოფლებში. მაზრის უფროსს აგენტურის ფართო და კარგად ორგანიზებული ქსელი გააჩნდა, ინფორმატორები ჰყავდა მოსახლეობის ყველა ფენაში, განსაკუთრებით, გლეხობაში. ყარამან ფაღავამ კარგად იცოდა, თუ ვინ არხევდა ხმებს, რომლის მიხედვითაც ილიას მალე მოკლავდნენ, იცოდა ისიც, თუ ვინ ამზადებდა ილიას მკვლელობას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ილიას მკვლელობიდან ორი კვირის თავზე ყარამან ფაღავასთვის მკვლელობის ყველა მონაწილის ვინაობა იყო ცნობილი. მან დეტალურად იცოდა მკვლელობის მომზადებისა და განხორციელების მთელი ისტორია. გასაგები მიზეზის გამო ყარამან ფაღავას არ შეიძლებოდა რაიმე სცოდნოდა წინამურთან ჩასაფრებული და დამოუკიდებლად მოქმედი ქილერის შესახებ. ამიტომ იყო, რომ ყარამან ფაღავა ილიას იმ გლეხების მოკლულად მიიჩნევდა, რომელთაც ილიას ეტლი გააჩერეს. რაც მთავარია, ყარამან ფაღავამ იცოდა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დაგეგმეს და განახორციელეს სოციალ-დემოკრატებმა, ე.ი. ეს იყო მკვლელობა პოლიტიკური მოტივით. იმ ადამიანებს შორის, ვინც ილიას მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობას იღებდა, რსდმპ რამდენიმე წევრი იყო, რსდმპ წევრი იყო ასევე თავდამსხმელთაგან ორი. ყარამან ფაღავა კატეგორიულად გამორიცხავდა ყველა სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ვერსიას (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, სომეხი ნაციონალისტების მიერ შეკვეთილი მკვლელობა).

ყარამან ფაღავას ილიას მკვლელობის საქმის ძიების უფლება არ ჰქონდა, მას მხოლოდ მასალების მოპოვება შეეძლო. ყარამან ფაღავას ვერსია დამაჯერებლად ეჩვენა თბილისის გენერალ-გუბერნატორს. 1907 წლის 1 სექტემბერს თბილისის გენერალ-გუბერნატორმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, შემდეგი შინაარსის დეპეშა გააგზავნა: „30 აგვისტოს დაახლოებით 12 საათზე დუშეთის მაზრის სოფელ საგურამოდან ოთხი ვერსის მოშორებით ოთხმა ბოროტმოქმედმა სროლის შედეგად მოკლა სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი ლაქია, კონდახის დარტყმით თავი გაუტეხა (თავის არეში ჭრილობა მიაყენა) თავადის მეუღლეს, ყველანი (ილია ჭავჭავაძე, მისი მეუღლე და ლაქია) გაძარცვეს.“ მეტად საინტერესო იყო ტელეგრამის დასკვნითი ნაწილი: „საკვარაუდოა, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, ძარცვა სიმულირებულია“. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გენერალ-გუბერნატორმა სახელმწიფო კანცელარიას ყარამან ფაღავას ვერსია აცნობა. ეს არც იყო მოულოდნელი. დუშეთის მაზრის უფროსი უშუალოდ გენერალ-გუბერნატორის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა და გუბერნატორიც ყველაზე მეტად თავის ხელქვეითს ენდობოდა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ყარამან ფაღავამ მიზანს მიაღწია, – პეტერბურგს ილიას მკვლელობის მისული ვერსია უცნობებია.

მაინც რა გამომდინარეობდა თბილისის გენერალ-გუბერნატორის 1907 წლის 1 სექტემბრის დეპეშიდან? 1. ილია ჭავჭავაძე მოკლეს სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, ე.ი. მკვლელობის დამკვეთი იყო სოციალ-დემოკრატია, მაშასადამე, ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა; 2) სოციალ-დემოკრატებმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ადგილობრივი გლეხების ხელით განახორციელეს; 3) ილია ჭავჭავაძის, მისი მეუღლისა და ლაქიას გაძარცვა სიმულირებული იყო, მაშასადამე, მკვლელობა გლეხებს ძარცვის მიზნით არ ჩაუდენიათ.

ყარამან ფაღავას მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა: 1) მკვლელების (ტერორისტების) ვინაობა; 2) პიროვნებები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ტერორისტებს; 3) პოლიტიკური ძალა, რომლის ნებითაც განხორციელდა ილიას მკვლელობა. ყარამან ფაღავამ ვერ დაადგინა და არც შეეძლო კონკრეტულად დაედგინა, სად გადაწყდა ილიას მკვლელობა და ვისი მითითებით მოქმედებდნენ თავდასხმის ორგანიზატორები, ანუ ვინ შეუკვეთა მკვლელობა. ეს უკვე ძიების საქმე იყო.

ყარამან ფაღავას მიერ მოკვლეულ მასალაზე დაყრდნობით გამომძიებელმა ილიაშენკომ მიაღწია იმას, რომ თედო ლაბაური 1907 წლის 16 ნოემბერს იძულებული გახდა ელიარებინა, რომ ილიას მკვლელობაში მონაწილეობდნენ: გიგლა ბერბიჭაშვილი, გიგოლა მოძღვრიშვილი, პავლე ფშავლიშვილი (აფციაური) და ივანე (ვანო) ინაშვილი. მკვლელობის დამკვეთისა და ორგანიზატორების შესახებ თედო ლაბაურს არ შეიძლება რამე სცოდნოდა. ამის თაობაზე გამოძიებას ინფორმაცია სხვა ეჭვმიტანილებისაგან უნდა მოეპოვებინა, თუმცა ეს არ მომხდარა.



1907 წლის დეკემბრიდან ილიას მკვლელობის ძიების საქმე ჩიხში შევიდა, უფრო ზუსტად, შეწყდა ყარამან ფაღავას ვერსიის (სოციალ-დემოკრატების მიერ შეკვეთილი მკვლელობის) დამუშავება. ამ ვერსიის ავტორი, დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფაღავა, ჯერ მაზრის უფროსის თანაშემწედ ჩამოაქვეითეს, ხოლო შემდეგ, საერთოდ, მოაშორეს მაზრის მმართველობას. უფრო მეტიც, ყარამან ფაღავას დაჟინებული მოთხოვნით დაპატიმრებული ეჭვმიტანილები, რომელთა საშუალებითაც ძიებას ილიას მკვლელობის ორგანიზატორები (ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე) უნდა დაედგინა, პატიმრობიდან გაათავისუფლეს. გამოძიებას ხელში შერჩა ის ადამიანები, რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ არც მკვლელობის ორგანიზატორებზე და, მით უმეტეს, არც მკვლელობის დამკვეთზე. ყოველივე ეს შემთხვევით არ მომხდარა.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობა არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. ეს მეტად უსიამოვნო ფაქტი იყო თვით კავკასიის მეფისნაცვლისთვისაც კი. რაც შეეხებათ თბილისის გენერალ-გუბერნატორს, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსსა და თბილისის ოხრანკის უფროსს, ისინი თანამდებობრივად იყვნენ მოვალენი, დაეცვათ სახელმწიფო საბჭოს წევრი. ილიას მკვლელობის ვერსიებიდან კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციას ყველაზე მეტად ხელს აძლევდა ვერსია მკვლელობა ძარცვის მიზნით. უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც მისაღები იყო ვერსია – მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე. ყველაზე არასასურველი იყო ვერსია – სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებული მკვლელობა ანუ პოლიტიკური მკვლელობა. პოლიტიკური მკვლელობა სერიოზულად აყენებდა ეჭვქვეშ თბილისის გენერალ-გუბერნატორის უწყების, ჟანდარმერიისა და ოხრანკის კომპეტენტურობის საკითხს. რაც შეეხება მკვლელობას ძარცვის მიზნით, ან მკვლელობას აგრარულ ნიადაგზე, ეს კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციას თავის მართლების მეტ შანსს უტოვებდა. ყაჩაღთა ბანდის მიერ ძარცვის მიზნით ან გლეხების მიერ აგრარულ ნიადაგზე განხორციელებული მემამულის მკვლელობა, ცხადია, არ აღიქმებოდა ისე მწვავედ, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრის პოლიტიკური ანგარიშსწორება.

ილიას მკვლელობის ორგანიზატორები (ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე) გრძნობდნენ, რომ ძიებას შეეძლო მათი ვინაობა დაედგინა. ცხადია, მათ არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, რომ გარკვეული მოსაზრებით ხელისუფლებამ თავად თქვა უარი სოციალ-დემოკრატების მიერ შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობის ვერსიის დამუშავებაზე. ამიტომ იყო, რომ ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე, თავიანთი მხრიდან, ცდილობდნენ კიდევ ერთხელ დაებნიათ გამოძიება. ასე გამოვიდა ასპარეზზე ალექსანდრე გრეკოვი.

1907 წლის 30 ნოემბერს ოზურგეთის სოფელ ნაგომარის მცხოვრებმა, სოციალ-დემოკრატებთან კავშირში მყოფმა ალექსანდრე გრეკოვმა თავისი ნებით მისცა შემდეგი შინაარსის ჩვენება: 1907 წლის ზაფხულში, გურიაში, სოფელ ბახვში, სოციალ-დემოკრატების კრებაზე გადაწყდა ილია ჭავჭავაძის მოკვლა. ტერორისტული აქტის განხორციელება დაევალათ ერმილე და კალისტრატე დოლიძეებს და ვინმე ბასილაშვილს. სოფელ ბახვში ჩატარებული კრების თაობაზე დაინყო გამოძიება, თბილისიდან და საგურამოდან ყურადღება გადატანილ იქნა გურიაზე. შედეგი წინასწარვე იყო ცნობილი: 1908 წლის 19 აპრილს ალექსანდრე გრეკოვმა ჩვენება შეცვალა და განაცხადა: ბახვში არავითარი კრება არ ჩატარებულა, ყველაფერი მე მოვიგონეო. ბახვში კრება მართლაც არ გამართულა. სოციალ-დემოკრატებმა მიზანს მიაღწიეს: ძიება კვლავ აგრარულ ნიადაგზე მომხდარი მკვლელობის ვერსიის დამუშავებას დაუბრუნდა.

კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლო ძიების მასალებს დაეყრდნო. ილია ჭავჭავაძის მკვლელობას პოლიტიკური მკვლელობის კვალიფიკაცია არ მიეცა. რა თქმა უნდა, არც მკვლელობის დამკვეთი და მისი ორგანიზატორები დაუდგენიათ. ისიც კი არ გამოურკვევიათ, უშუალოდ ვინ ხელმძღვანელობდა ტერორისტებს, ვინ ამზადებდა მათ ტერორისტული აქტისათვის, ვინ მისცა გლეხებს დავალება, რომ 1907 წლის 30 აგვისტოს გზაზე უნდა დახვედროდნენ ილიას. გამომძიებელმა, მოსამართლემ და პროკურორმა თითქოს არ იცოდნენ, რომ ტერორისტული აქტი ხორციელდებოდა ასეთი სქემით: ტერორისტული აქტის დამკვეთი – ტერორისტული აქტის ორგანიზატორი – ტერორისტული აქტის უშუალო ხელმძღვანელი – ტერორისტები.

1909 წლის 10 აგვისტოს სასამართლომ თედო ლაბაურს, გიორგი (ლომა) ხიზანიშვილს და ივანე (ვანო) ინაშვილს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 21 აგვისტოს. გიგოლა მოძღვრიშვილი ციხეში გარდაიცვალა. პავლე ფშავლიშვილი (აფციაური) 1908 წლის 11 მაისს ციხიდან გაიქცა. ის 17 დეკემბერს პოლიციელებთან შეტაკებისას მოკლეს. გიგლა ბერბიჭაშვილის კვალს პოლიციამ ვერ მიაკვლია. ჩანს, ის სოციალ-დემოკრატებმა საიმედოდ გადამალეს.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიება და სასამართლო (1907-1909 წ.წ.) იყო არც თუ ისე კარგად დადგმული სპექტაკლი. 1907-1909 წლებში წინასწარგანზრახვით, მცდარი ვერსიით, წარმოებული გამოძიებითა და სასამართლოს მიერ იმავე მცდარი ვერსიის ჭეშმარიტებად აღიარებით პასუხგაუცემელი დარჩა ბევრი კითხვა. გამომძიებლებმა (ილიაშჩენკო, ევტუშევსკი) მონშეებს, ეჭვმიტანილებსა და ბრალდებულებს არ დაუსვეს ისეთი კითხვები, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობდა მათ მიერ მიცემული ჩვენებებიდან. არ დაკითხულა რამდენიმე მნიშვნელოვანი მონშე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ, თითქოს, გამომძიებლები შიშობდნენ ფარდა არ ახდოდა სიმართლეს. გამოძიებამ შეასრულა კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის დაკვეთა – ილიას მკვლელობას პოლიტიკური, შეკვეთილი მკვლელობის კვალიფიკაცია არ მისცა და, აქედან გამომდინარე, არც მკვლელობის დამკვეთისა და არც მკვლელობის ორგანიზატორების დადგენა უცდია. მთელი ყურადღება უშუალოდ ტერორისტული აქტის (მკვლელობის) მონაწილეთა ვინაობის დადგენას დაეთმო. ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაეცა გამოძიებასა და სასამართლოს. ის, რაც არ გაკეთდა 1907-1909 წლებში, ცხადია, ვეღარ გაკეთდებოდა მეორე გამოძიებისა და სასამართლო პროცესის დროს (1941-1942 წწ.). მით უფრო, რომ მეორე გამოძიებამ და სასამართლო პროცესმაც წინასწარგანზრახვით ისევ მცდარ ვერსიას დაუჭირა მხარი.

(გაგრძელება იქნება)

რეზო ადამია

რუსეთი ომის ომსაც აგებს

კონფუცი ამბობდა: „კაცი ფეხიდან თავამდე კი არა, თავიდან ზეცამდე იზომებაო“, ხოლო დღევანდელი რუსეთის ხელმძღვანელობა უთუოდ თავიდან მიწამდე და ბნელ სამარემდე იზომება, რაც დიდად სამწუხაროა. მსოფლიოს იდეურად დაუდგენელი ამჟამინდელი ომი უკრაინაში დაგველთაობს უკვე ერთი წელია; ამავ დროს კაცობრიობის მტრებს დაუპირისპირდა ორგული თუ მშიშარა მსოფლიო და კაენი უფრო პარპაშობს. მიმდინარე სატანური ომი კი გადასხვაფერდა და წარმოიშვა სრულიად ახალი სისტემისა და ზეობით მშიშარათა ურთიერთგარიგება. თუ ასე გაგრძელდა, კაცობრიობა განადგურდება და მშიშარათ სარკოფაგებში რიგრიგობით ჩალაგდება, ე-მაშინ სატანა მართლაც ჩაიცვამს შავებს, რათა ძალიან შევტოპე და ჩემი მარადიული არენა სრულიად გავანადგურეო, მაგრამ ყოველივე ამ უბედურებისა, ქვეყნიური უძლეველი სიკეთე და სიყვარული საიმედოდ ნელ-ნელა ძალას იკრებს...

სიკვდილი კოსმიური, ერთგულ-შემსრულებელი გამოეცხადა სისხლისმღვრელსა და მსმელ პუტინს და საქვეყნოდ საყვედურობს, რატომ და რისთვის მაკისრებ ამ არასამყაროსეულ მკვლელობებს, ეს ხომ სრული უზნეობაა ჩემს სივრცეშიც; რა გაიძულებს, თითქოს ადამიანო! ამდაგვარ ცოდვას ხომ სატანაც არ სჩადის! მასაც გააჩნია მისეული ხლართული აზროვნება. შენი აზროვნება? – არაზეციური და არც მიწიერია. საფლავთ სიღრმიდან? – არა! უფრო ბნელეთის ქვაბულებიდან მოსული ცოდვა ხარ, რომლის უსაზიზღრესი სად გადაიმალნენ... ირგვლივ ქვეყნიერების და პლანეტის მამოძრავებელი ჯანსაღი სისხლი ტირის, მოთქვამს და ლამისაა გასქელდეს, გამყარდეს და ქვად იქცეს... დღეს მრავალკაცთა გონება სიკეთისგან დაცარიელდა და უცხო შხამით ივსება. კაცობრიობა ტირის, მშიშარა მსოფლიოს გარკვეული ნაწილი სამალავს ეძებს...

მომავალში, იმედად მხოლოდ მიწიერ თუ კოსმიურ მართალ სვლა-გადაწყვეტილებებს უნდა ველოდოთ, ჯერჯერობით? ჩვენ ირგვლივ სივრცე კი შავ უკუნეთშია მოქცეული...

„არ არსებობს ომი, რომელიც სხვა ომს დაამარცხებს, ომი ომს შობს“ – **მურაკამი**.

ისევ მოვთქვამ – სად არიან, ადამის მოდგმის განადგურების ჟამს რუსეთის ეკლესიის მსახურნი? ნუთუ მათ უამრავ მღვდელთმთავრებში, მღვდლებში და ბერ-მონაზვნებში არ გამოჩნდა მომავალში წმინდანობის ღირსნი, რომ თავგანწირვით გაილაშქრონ უფლის სახელით, რათა აღიკვეცოს კაცობრიობის განადგურების გამაუბედურებელი და ლაჩრული ლაშქრობანი; თუ მხოლოდ მწიგნობარი და ფარისეველთა მსგავსი საზოგადოებით გაივსო დღევანდელი რუსეთის ეკლესია-მონასტრები? მე არ მეშინია კაენისტებისა და მკვლელების, რათა დიდი ხანია, დროულ სიკვდილთან ვმეგობრობ. მან კარგად იცის, როდის და რა ჟამს გადამანანწილოს სამყაროს სივრცის უსასრულობაში და კოსმიურ მეხსიერებას ჩააბაროს თავი ჩემი. დიახ, რომ მჯერა და მწამს, პატრიარქი წმიდანი ამბროსი ხელაია ცოცხალი რომ იყოს, მეორედ გადადგამდა წმიდა გიორგისეულ გმირულ ნაბიჯს და მშიშარა კაცობრიობას დაუმტკიცებდა, თუ რას წარმოადგენს უნაკლო მათგან ხომ ზეიმით მოდის სიკვდილი და ეფინება საზოგადოებას უსაზღვროდ. მე, მხცოვანი და დაუღლელი ხელოვანი, ნებისმიერთ კვლავ ვპასუხობ, – მათი არ მეშინია, რათა უკვე, როგორც ქართველი, განწირული ვარ მათგან. რუსეთმა და მისმა მოთავემ სრულიად კაცობრიობას მხოლოდ წინმავალი სიკვდილი ჩამოუგდო შავ ბადედ. უფალი ხომ უპირველესად მოიშორეს და ეკლესია კი ადვილად შეითანხმეს. სამარცხვინოდ, მათი მესვეურნი, მათგან გარდაუვალი სიკვდილის შიშით, მკვლელის გვერდით დადგნენ იმის იმედით, რომ მომავალში კვლავ მათთან გააგრძელებენ მოჩვენებითი ლოცვით, განცხრომით ცხოვრება-არსებობას (არა მგონია, ყოველივე დაუდგეს მათ). გაურკვეველი დროით დიდი, უზარმაზარი შავი ღრუბელი ჩადგა ჩვენსა და მზეს შორის, ბოროტთაგან გზავნილი. მთვარე სავსე-გაბადრული თუ გამოჩნდა ზოგჯერ, ირონიულად და ღიმილით დასცქერის მინა-პლანეტას და ესიტყვება: – რა მოგვიდათ, რას ნერვიულობთ ყველანი ერთად, მე დიდი ხანია, მკვდარი პლანეტა ვარ, მაგრამ მშვიდად და მშვენივრად ვგრძნობ თავს: დალაგდით, დაწყნარდით და მომავალს დაელოდეთ... საუბედუროდ, დიდი ადამიანების მიერ ნაწრთობი რუსეთის ხელისუფალთა გონება კვლავ დაჩლუნგდა და მოყვითალო ფოსფორისფერი ჟანგი ჭამს. იმედი? კვლავ ვარსკვლავეთურ სიკეთე-სიყვარულზეა მინდობილი. მომავლის უფალი? – უთუოდ აღსდგება და მიხედავს თავის განწირულ წამებულ შვილებს. მკვლელ ავაზაკთა მიტევება?! – ყოველივე ეს ურთულესი მომავალი, სამართლიან ხალხზეა დამოკიდებული.

მარადიული სიცოცხლე-ცხოვრება დედამიწაზე მუდამ უსასრულოდ გაედინება და ივლის უკვდავ სიკეთე-ბოროტების გაუთავებელ ორთაბრძოლის ჭიდილში. მათში ადამის მოდგმა მუდამ-ჟამს ნაამებ-ტანჯულ-ნამებული იქნება. ამქვეყნიურად დადგენილ უჯიუტეს მაგ კანონ-თვისებას უსასრულობის უთვალავი გალაქტიკები და მზეც კი ვერ შეცვლის...

ამ ფორმით და საერთაშორისო მდგომარეობით გამწარებული, აზრთა უძირო აუზში, შემადარ თუ გამომხატველ სიტყვას ვერ ვპოულობ. დედამიწაზე გაბატონების შავბნელი მიზნით კი არა, მთლიანი მზის სისტემა რომ დაგითმონ, ადამიანო! აგრე სადისტურად როგორ უნდა ხოცო და ანადგურო ქვეყნები, ქალაქები, სოფლები, ერები, ხალხი, ბავშვები, მოხუცები! ვერა და ვერ ვპოულობ ამ სახის სადიზმ-ბოროტების შემადარ და უმძიმეს სახელწოდებას: უთუოდ ქვესკნელისფერი სატანაც ვერ გასცემს ზუსტ პასუხს და, ალბათ, მისეულად მიაკივლებს უცხოდ ჩვენთვის საშინელ უაზრო აზრმიუწვდენელს... დიახ, უსაზიზღრესი ომის ამტეხთა გონება საბოლოოდ სიკვდილსაც მოკლავს და თავად უსიტყვოდ ლეშ-გვამად ქცეული მიჰყვება მას. სრული არარაობითია მათი დასასრული. როგორც მოგახსენეთ, თუ არ უშველა სამყაროს უკეთილშობილესმა სამართლიანმა ძალებმა.

დღევანდელობის ისტორიული ფაქტი სახეზეა, საერთაშორისო მკვლელ პუტინს ნახევრად ოკუპირებული საქართველოს შემდეგ ევროპა, უდანაშაულო უკრაინით დაწყებული, მთავარ სატანურ გეგმად ჰქონია გველ-კობრასეული სისინით გათვლილი. განა დაავიწყდება ოდისმე ხალხს? ქვეყანას და უტყვ ქვასაც ემახსოვრება მუდმივად ის გაუგონარი სადიზმი, ქართველი ქალებისა და მამაკაცების მოჭრილი თავებით, ამაზრზენად, ბურთისმიერობით რომ თამაშობდნენ და საზიზღარ სიკვდილისმიერი ხმითაც ხარხარებდნენ გაგრის ფეხბურთის მოედანზე, რათა სისხლიანი ფეხის ყურება უზომო სიხარულს ჰგვრიდა უსასტიკეს, სადისტ ოკუპანტებს...

ნუთუ მსოფლიოში არ გამოჩნდა ისეთი სამართლიანი რაინდი, ხალხი და ძალა, ანუ გამორჩეული, ღრმად მოაზროვნე პიროვნება, რათა გადაარჩინოს ტანჯული უკრაინელები და ოკუპანტებისგან იხსნას საქართველო, მისი წმიდა სისხლნაწილი მიწების მიტაცებებისგან. ისეთი რა წყევლა განავრცო სატანამ, რომ თავისთავად იღუპება თვით რუსი ხალხი. ხელისუფალთა აგრესიული პოლიტიკის გამო ლამის მსოფლიომ შეიძულა ეს ერი. ამდაგვარი სიძულვილი თავისი ფსიქოლოგიური სიძლიერით, მასიურ გამანადგურებელ იარაღზე ნაკლები როდია. კვლავ ზემოდან – მიწიდან და უხილაობიდან გვეკითხებიან, – სადაა ეკლესიათა მსახურნი, მრავალნი, ანუ რჩეულნი? მათგან დიდი შეწირვები და განწირვებია საჭირო, რომ ეს ორი მოძმე ერი სულიერ-ფიზიკურად გადაარჩინოს, წარმოუდგენელი უბედურებისაგან შეპყრობილი ერთეულები – ჯიშით გადაგვარებულნი სისხლის მსმელ – უფრო მოწყურებულნი, უკიდურესად ღუპავენ საქართველო-უკრაინას და მომავალში მათ რიგში დგანან მრავალნი ერნი დამოუკიდებელი კულტურით, ენით, მეცნიერებახელოვნებით, დიდი ისტორიითა თუ ხასიათ-მენტალიტეტით; მესამე ათასწლეულშიც იმძლავრა სატანამ აგრე სისხლისმსმელები რომ დარაზმა, ხროვად აყარა თავიანთი ბინძური ბუდეებიდან და კაცობრიობის დამპყრობლური ჟინით შიზოფრენიები განადგურების გზას გაუყენეს. დღეს მსოფლიომ სრულიად სხვა საპირისპირო მიდგომა უნდა მონახოს, უთუოდ მოწინავე, კეთილმა და მართალმა საზოგადოებამ. იარაღის ჟღარუნი ევროპიდან, ამერიკიდან, ყოველივე საპასუხო, უფრო საშიში განმეორებაა ომისა და ადამიანთა მასიური ჟლეტვისა. უნდა მოხდეს მსოფლიოს ხალხთა არნახულ-გაუგონარი მასიური გამოსვლა უძლიერესი პროტესტით, ხელშეშველი, დიდი თუ პატარა ერები მიაწყდეს რუსეთის საზღვრებს. რა თქმა უნდა, დიდი რისკის ფასად და მაშინ მოევლინება ქვეყანას წმიდანები და გადაარჩენენ მკვლელთაგან სიკვდილმიგზავნილ ერებს. ან უფრო ნიჭიერთაგან ღვთიურ-კოსმიური და მოულოდნელი ბრძნული მიდგომაა აღმოსაჩენი იმედ-მოლოდინით... მიწათა მიტაცების უზარმაზარი მანიაკებისგან, ამდაგვარი გზით განიკურნოს ისინი და ქვეყანა თავისივე ნიადაგის ჭიაღუებისგან ჩაგრულის – შეწუხებულ-გვემულის. სასნაულმა, ხალხთა მოძრაობის იდუმალებამ დროზე უნდა დაიწყოს სისხლისდენის და სიკვდილის მიმოფანტვის ჩაქრობა-ამოძირკვა. სამწუხაროდ, მიუწვდომლის უსასრულობა გაივსო ბოროტი ფორმებით, შავი ხაზებითა და ფერებით, რომელიც აღმოცენდა ემმაკეული უბინძურესი ჭაობისფერი ჩრდილოეთის ბუდიდან. მკვლელ კაცთა ბოროტებას კვლავ ყოვლისმძლე ზეადამიანურმა სიკეთემ, ჭეშმარიტებამ და მაღალმა აზროვნებამ უნდა სძლიოს.

როგორც მოგახსენეთ, სივრცის შხამ-სხივებით დაავადებულია რუსეთი. ღმერთის მკვლელები კაცობრიობის მკვლელ საწყისებს წარმოადგენენ.

„მშიშარა ორიენტირების კაცობრიობა რეგვენ მკვლელს სამარცხვინოდ, თვითნებურად ეწირება და ბოროტება უკიდურესად აღზევდა“.

ზესატანური დიპლომატიიდან გამომდინარე უფრო გადახრილმა რუსებმა კაცობრიობის ჟლეტვა მშვიდობისმოყვარე, კეთილშობილი უკრაინიდან დაიწყეს. საუბედუროდ, ადამის მოდგმის მხსნელი ჯერჯერობით არა ჩანს, მათგან ყურით მოთრეული სიკვდილი დაეუფლა კაცთა მოდგმას, რომელიც უცხვირპიროდ საყვედურობს უზენაეს სამართალს, – მე არაფერ შუაში ვარო, მაძალებენ და ვასრულებ ჩემს ფუნქციასო! ირგვლივ გარემო უკანონო სიკვდილსაც დაეუფლა და ბნელეთის საშინელი ძალებით, უზნეობებითა და სიძულვილით თარეშობენ ამ დროს ქვესკნეთელნი, თავიანთი ხალხის მომავალზეც არ ფიქრობენ, მხოლოდ სულმწარეთ უნდათ შექმნან დიდი და უბოროტესი რუსეთის იმპერია. ბოლოს და ბოლოს ამ საშინელი მიზან-გეგმებით კაცობრიობას ანადგურებენ და ნუთუ იმას ვერ ხვდებიან, სიძულვილსა და სიკვდილს უმზადებენ თავიანთ ხალხსაც. ამ უაზრო უბინძურეს შემთხვევაში ნორმალური რუსი ადამიანებიც დაიღუპებიან.

როდის დაბადებს თუ მოუვლენს შეწირულ წმიდანს რუსეთის ეკლესია? ლოცვითაც ვიზრუნოთ! თუ არა და, ღვთის ეკლესიაც ეწირება გველთავებს. თუმცა ბევრმა უფალი უკვე მოუკლა და წმიდა ხატები მუხლებზე გადაიმტვრიეს. ამრიგად, სიკვდილს, ყველაზე უდრეკ უბადრუკს, გადააბარეს მინა-პლანეტა.

თქვენ მაინც დროულად წამოდექით, მართლმადიდებლური რუსეთის აწ გარდაცვლილო, ერთ დროს წამებულნო წმიდანებო, გამოეცხადეთ და გაანათეთ ჩაბნელებული რუსეთი, უშველეთ ეკლესია-მონასტრებს, მრევლსა და მათგან ყოველ განწირულთ.

მეთვრამეტე, მეცხრამეტე, მეოცე საუკუნის დასაწყისში მრავალ ერთა და ხალხთა საუბედუროდ, რუსეთს ფაქტიურად ჰქონდა შექმნილი ორჯერ, ბოროტების იმპერია, მეფის რუსეთისა და მარქსისტული უღმერთობის, საბჭოთა კავშირად წოდებული. ამჟამად მესამედაც მოუნდათ მხედველობადაკარგულთ, შექმნან ქვეყნების, ხალხთა და უძველესი ერების მჩაგვრელთ გამანადგურებელი სისხლიანი იმპერია. ორჯერ და სამჯერ, არცერთ დიდ სახელმწიფოს არ ჰქონია ამ სახის დამპყრობლური გველ-სატანური გაერთიანება და სწრფვა პლანეტის სრული ბატონ-პატრონობისა. ყოველივე ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ამ ხალხის გონება სისხლსა და ხორცში გამჯდარია საშინელი დემაგოგია და შოვინიზმი, სწრაფვა მსოფლიოში ყოვლად დაუმსახურებელი პირველობის და ჩაგვრა-ბატონობა, მრავალ ხალხ-ერებზე რუსიფიკაციის განხორციელებით. ამდაგვარი უგონო სწრაფვით და თავის თავზე ავადმყოფური წარმოდგენებით უპირველესად, შეიძლება, დედამიწა დიდი საფრთხის წინაშე დააყენოს, რაც, მოსალოდნელია, თავისივე ხალხის, ქვეყნის და ასევე მსოფლიოს მილიონობით უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვით დამთავრდეს.

დედამიწაზე ნებისმიერი იმპერიის შექმნა ხომ უფლისა და ადამიანის უარყოფაა სიკეთე-სიყვარულთან ერთად...

ფორმა და სახელი ვერ მოუძებნიათ. პირადად შენზე არასოდეს და არავინ იტყვის, უკანასკნელი სამსჯავროს ჟამს, შეიბრალეთ, აპატიეთო. პირიქით, ბევრად უარესის ღირსიაო... და სიკვდილი ბოლოს დაასკვნის: ადამიანო, შენ მე რომ მაჯობე ყოველმხრივ, პირველი და წარმოუდგენელი შემთხვევაა ჩემს არსებობაში...

„ადამიანი? მხეცია, – ამბობს შპენგლერი, – რომლის ცხოვრება მკვლელობებზეა აშენებული“.

აი, თუ ასეა, კოსმოსო, უფალო და სიკეთევ, უშველე ამ ცოდვილიან ადამის მოდგმას!..

ისმის მრავალმხრივი კითხვა: დედამიწელებმა ნგრევა და ბოროტება გალაქტიკიდან ხომ არ მოიზიდეს? მაშინ ისევ იმავე სისტემიდან მოგვივა ის კეთილი ძალები მხსნელად, ამათ რომ გაანეიტრალებს და საუკუნეებით თუ ათეული წლებით მაინც შეასვენებს კაცობრიობას...

აქვე მინდა ვთქვა, ჩემი აზრით წინაპართა არასწორი გამონათქვამია: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. მეგობრებო! ნაწილობრივ არასწორად მიმაჩნია ასეთი მოწოდება. პირიქით, მოყვარეზე მეტად მტერს უნდა უყვირო, ებრძოლო და უძრახო პირში, ეგების ამდაგვარი პირდაპირი მიმართებით სწორ გზაზე დააყენო და ამით გადაარჩინო ბევრი სხვანი, თავად ისიც – უბედური...

უთუოდ ზე-ზნეობამ უნდა გადაარჩინოს მცდარ გზაზე მდგარი მოკეთე და გაბოროტებული მტერიც: გზა ამდაგვარი მაცხოვრისეულია და ნათელ ვარსკვლავეთური... ღმერთმა დამიფაროს და ბოროტნი ჩემი ხელით რომ დამეხოცა, უმალ მათივე ზნეობისა გავხდებოდი – ტანჯულ-გაუბედურებული. მხოლოდ ჩვენი მზის კოსმიური ზნეობით უნდა ვიხელმძღვანელოთ – მარად უძლიერესი ბოროტსა და კეთილს ერთნაირად ათბობს, იმოდენა უსასრულო სამყაროსეული კეთილი ძალაა ყველას იმედ-პატრონი, ნებისმიერთ საფლავებსაც ერთი წამითაც რომ არ ტოვებს, რითაც სასწაულებრივად რეგულირდება კაცთა ზნეობა...

თანამედროვენნო, უთუოდ ისევ ჩვენგან გადასარჩენია მათგან მრავალი რუსი – კეთილი, ნიჭიერი და ღვთისნიერი უდანაშაულო ხალხი... რუსეთის პრეზიდენტ პუტინის ოჯახის წევრები და ახლობლები უკვე სამგლოვიარო სამოსელს უნდა იკერავდნენ... ვარსკვლავეთში, ზოგჯერ უწესრიგობა და ცეცხლოვანი გადაადგილებებია თუ არა ამდაგვარ კაცობრიობის გამანადგურებელი ომის გამჩაღებლებს, დროული იქნებოდა, თავიანთ თავს საკადრისი განაჩენი გამოუტანონ და განეშორონ ნორმალურ კაცთა შორის არსებობას...

ანდა, ამხელა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია სადაა, ამ სახის საშინელებას რომ ვერ ამჩნევს? დროა, საერთაშორისო მუსიკა რექვიემი დაიწეროს ყველა მათზე და მიწას კეთილს ემთხვიონ. მიწა ხომ მზის მერმე ყველაზე კეთილ-ლიბერალურია მთელს სამყაროში. მოვა დრო, უფრო – დღეიდანვე, საქართველოში და უკრაინაში მათ მიერ მოკლული სრულიად უდანაშაულო ხალხი წმიდანებად შეირაცხებიან. ესენი? ამჟამად რა დონის მკვლელ-არარაობანი არიან, სიკვდილის მერე? ყველაზე ბინძურ მიცვალებულებად ჩავლენ ყველაფრის ამტან მიწაში... რასაც ეს ვითომ ჯარისჯაცები რომ სჩადიან უკრაინაში და ჩაიდინეს საქართველოში, ენით აღუწერელი სისაძაგლეა. მათი შემხედვარე შხამიანი ჭრელი გველებიც რომ გაკვირვებულნი არიან; ხოლო ყავისფერი მორიელები, ამ უბედურების გამგონენი, თავიანთი ყურების ამოთხრას ლამობენ, ეს როგორი ხმები და ამბები მოგვდის გარემოსგანო. შორეულ იმქვეყნიურობაში მყოფი ისტორიული უზნეო ნეშტები მწარედ მოთქვამენ, – ჩვენი წარსული მაინც მოიგონონო.

ამ დროს რუსეთიდან „კეთილი ზნეობის“ ქვეწარმავლები გაიქცნენ და კაცისშვილმა არ იცის, ღვთისა და ადამის მოდგმის უერთგულეს-ზნეობრივი სამსახური...

დღევანდელმა რუსეთმა ღმერთს მესამედ ესროლა, სიკვდილი და ეკლესია უკიდურესად დათრგუნა; ცნება „წმიდანი“ და „სახალხო გმირი“ რუსეთიდან გაქრა, ყველა სულიერ-ნათელნი ამაღლებულნი უგონო მკვლელმა დახოცა და ბოროტი სვლა შეუჩერებლივ გრძელდება...

ჯერჯერობით, ჩემგან სრულყოფილად გაუმხელელს, კვლავ ვუბრუნდები. გადაგვარებულმა თუ მარად ასეთმა რუსეთმა საქართველო-უკრაინიდან დაიწყო კაცობრიობის ამოჟლეტვა, რომელიც წარსულში ნებისმიერ მსოფლიო ომზე გულისამრევ-საზიზღარია. მშიშარა, დაბნეულ-პოლიტიკურად დაულაგებელ-ამღვრეული კაცობრიობა კი ეწირება ნერვო-ფსიქოლოგიურად შერყეულ კვლავ შეუსწავლელ ჯალათებს, მასიურ მკვლელებს და მშიშარათ ეპოქა დაგვიდგა მინა-პლანეტაზე. საუბედუროდ, ჩვენს საზოგადოებაში შედარებით მაღალი ავტორიტეტის მქონე პირები თავიანთ პირადულ მომავალს ინაღდებენ და უზნეოთსაკენ ლავირებენ – სამარცხვინოა მათი სიცოცხლეც და სიკვდილიც...

ამდაგვარი სახით იწყება რატომღაც მიმალული კაცობრიობის განადგურება, მოუხერხებელი ხალხთა მიწა-პლანეტის დაბნელება; თუ ასე გაგრძელდა საშინელებათა სვლა-მოქმედება, ბოლოს უცილოდ ყოველთა გამანადგურებელ მკვლელებს და თავად სიკვდილს დარჩება დედამიწა ჩვენი.

„მინა, საცოდავ-შელახულია და კოსმოსი დუმს!“ ერთადერთი გალაქტიკის ჩვენი ცოცხალი ვარსკვლავ-სხეული საფრთხეშია, მისი ჯანსაღი დიდი განმსჯელი მოკლეს და უზნეო ბოროტება ცხელ ლავად ბობოქრობს. მსოფლიოს ძლიერი, გმირი, ბრძენი პატრონი არა ჰყავს და ამრიგად იწყება საერთო სიცოცხლის დაშლა-განადგურება უსუსტეს მოლეკულის დარად. ქვეყნიერების მარადიული გამრიგე სიკვდილიც გაოგნებულგაკვირვებულია, რათა ქვეყნად მისი კანონიკური ზომიერება დაირღვა და გაქრა. დიახ, მზე, კეთილი ყველას ათბობს და კვებავს. რატომღაც თითქოს-და კანონიერებას თუ უკანონობას არ რეაგირებს, მოძალებული ზედმეტი სხივებით გაირინდა თუ?! მზე ხომ ყოველ და ყველა აღმსარებლობაზე ძლიერ-მაღალია. მთლიანობაში ხედავს ყოველთა მომავლის ათასწლეულებს და, ალბათ, შორეული უსასრულობისკენ იმზირება, მკვლელთა ქვესკნელური გონება კი ადამის მოდგმის ამოძირკვას შეუჩერებლივ შესდგომია: ბოროტ-შხამიანი ვარსკვლავები უსასრულო ცაზე ხრინწიანი ხმით ხარხარებენ, მტრისმიერი ზოგიერთი ქვეყანა-საზოგადოების გადაბირებით.

შიშის ქვეშაა სრულიად დედამიწა! საშინელებაა, როდესაც სიკვდილის ეშინია ადამიანს:

სულთნის ბედნიერი მონები

რისი ეშინოდათ ოსმალეთის იმპერიის დიდ ვაზირებს?

მომთაბარე ხალხების მიერ შექმნილი დიდი სახელმწიფოები, როგორც წესი, დიდხანს არ არსებობდნენ. ერთადერთი გამონაკლისი ოსმალეთის იმპერია გახდა. მან თითქმის ხუთი საუკუნე იარსება და სხვა ევროპულ იმპერიებთან ერთად პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე დაეცა.

ოსმალეთის იმპერიაში ყველა მონა იყო – სტამბოლის ბაზარში წყლის მზიდავიდან დიდ ვაზირამდე. ყველა მათგანი სულთნის მონად ითვლებოდა – იმ სახელმწიფოს საერო და სულიერი მმართველის, რომელიც სამ კონტინენტზე იყო გადაჭიმული. ფადიშაჰის ახირების გამო მისი ნებისმიერი ქვეშევრდომი შეიძლებოდა სიცოცხლეს გამოსალმებოდა. ამავე დროს, იგივე წყლის მზიდავი, გარკვეული დროის შემდეგ, შეიძლებოდა ვაზირი გამხდარიყო.

როგორც ჩიტი გალიაში

პირველი თურქი სულთნების გადაწყვეტილებით, თურქი ოსმალოები – ასე უწოდებდნენ კაის ტომიდან ოღუზ თურქებს – არ უნდა ყოფილიყვნენ ჩართული ყველა სახელმწიფო საქმეში, ეს მსახურებს და სხვა ტომებიდან მონებს ევალებოდა. ამისათვის საკმარისი იყო მათ ისლამი მიეღოთ.

ოსმალეთის იმპერიაში ფეოდალები არ არსებობდნენ. რა თქმა უნდა, მეომრები, რომლებიც გამოირჩეოდნენ ბრძოლებში თავიანთი სიმამაცით, სულთნისგან იღებდნენ ნაწყალობევ მიწას, რომელსაც ტიმარს ეძახდნენ. ეს მიწათმფლობელები – ტიმარიოტები – არ იყვნენ წმინდა სახის ფეოდალები. ისინი იღებდნენ მიწას და იყენებდნენ მას მანამ, სანამ სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდნენ. ტიმარის გაყიდვა, ჩუქება და ანდერძით გადაცემა არ შეიძლებოდა. ტიმარიოტის გარდაცვალების შემდეგ სულთანს შეეძლო მიწა დაეტოვებინა გარდაცვლილის მემკვიდრეებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინიც სახელმწიფო სამსახურში იყვნენ. შეიძლება არც დაეტოვებინა.

გარდა ამისა, გლეხები, რომლებიც ცხოვრობდნენ ტიმარიოტის მიერ სულთნისგან დროებით სარგებლობისთვის მიღებულ მიწაზე, პირადად თავისუფლები იყვნენ და არ იხდიდნენ გადასახადებს სულთნის ხაზინაში. ისინი შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული, შედარებით მცირე გადახდებით ტიმარიოტისთვის და საჩუქრებით დიდ მუსულმანურ დღესასწაულებზე. სხვათა შორის, ტიმარი სულთნისგან ჯილდოს სახით ქრისტიანსაც შეეძლო მიეღო.

ევროპელი ფეოდალისაგან განსხვავებით, ტიმარიოტს არ გააჩნდა სასამართლო ძალაუფლება და შეეძლო მხოლოდ მცირე დანაშაულისთვის ჯარიმის დაწესება მის მიწაზე მცხოვრებ გლეხებზე.

რაც შეეხება ვაზირებს, მიუხედავად სულთნისგან მიღებული უზარმაზარი უფლებებისა, მათ ნებისმიერ დროს შეეძლოთ დაეკარგათ თანამდებობა და, მასთან ერთად, თავიც.

მეჰმედ მესამე

დით იყო სპეციალური შადრევანი, რომელშიც სამუშაოს შემდეგ მებაღე-ჯალათებს შეეძლოთ სისხლიანი ხელების დაბანა. თუმცა, უფრო ხშირად, სიკვდილით დასჯა უსისხლო იყო. სულთნის ოჯახის სიკვდილმისჯილი წევრები სისხლის დაღვრის გარეშე ისჯებოდნენ სიკვდილით. ამიტომ ჯალათები მათ სპეციალური აბრეშუმის ზონრით ახრჩობდნენ.

ვაზირების სიკვდილით დასჯის რიტუალი დეტალურად იყო შემუშავებული. ვაზირს, რომელიც თავისი ბედის გადაწყვეტას ელოდა, მებაღესთან შეხვედრაზე იბარებდნენ. მისალმების შემდეგ ვაზირს შერბეტიან თასს გადასცემდნენ. თუ შერბეტი თეთრი იყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ სულთანმა ვაზირს დრო მისცა და მას ცოცხლად დარჩენის შანსი ჰქონდა. თუ შერბეტი წითელი იყო, მაშინ ვაზირისთვის ნათელი იყო, რომ მისი ცხოვრების ბოლო დღე დადგა.

წითელი შერბეტით თასის დანახვისას ვაზირი მაშინვე ცდილობდა გაქცევას. მას უნდა გაერბინა სასახლის ბაღის ხეივნებში დაჩრდილულ კვიპაროსებსა და სურნელოვან ვარდებს შორის. თუ ის მოახერხებდა ბაღის მეორე მხარეს მდებარე სასახლის კარიბჭემდე მისვლას, ამ შემთხვევაში მას შეეძლო შენყალების იმედი ჰქონოდა. ბუნებრივია, ის სამუდამოდ კარგავდა თანამდებობას და მას სტამბოლიდან აძევებდნენ. მაგრამ სიკვდილმისჯილს უჭირდა მებაღესთან სირბილში შეჯიბრება – ყველაზე ხშირად ვაზირები სხვადასხვა სნეულებით დაავადებული ხანდაზმული ადამიანები იყვნენ. ამიტომ, ყველა მსჯავრდებულს არ შეეძლო ესარგებლა მისთვის მიცემული შანსით.

სულთნები ხშირად ცვლიდნენ თავის ვაზირებს. საქმე იმაშია, რომ კანონის მიხედვით, სიკვდილით დასჯილთა ქონება კონფისკაციას ექვემდებარებოდა და ამ გზით სულთნები რეგულარულად ავსებდნენ ხაზინას. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ კიდეც მათ წინამორბედთა სამწუხარო ბედის შესახებ, ოსმალეთის იმპერიის უმაღლესი თანამდებობის პირები ყველა ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ ვაზირები გამხდარიყვნენ. ბრიტანეთის ერთ-ერთმა ელჩმა აღნიშნა, რომ ოსმალეთის იმპერიაში ვაზირობა უფრო საშიშია, ვიდრე ჯარისკაცობა არმიის არიერგადში.

ძმათამკვლელობის კანონი

და კიდევ ერთი კანონი არსებობდა ოსმალეთის იმპერიაში, რომელმაც შოკში ჩააგდო ბევრი ევროპელი მონარქი. საუბარია ტახტის მემკვიდრეობით მიღებაზე. სულთნებს ჰყავდათ რამდენიმე ცოლი, რომლებსაც უშვილობა არ აწუხებდათ. თავდაპირველად, გარდაცვლილი სულთნის მემკვიდრეებს შორის, ხშირად იწყებოდა უთანხმოება, რასაც მოყვებოდა შინაბრძოლა. ხშირად იყო სიტუაციები, როდესაც ზოგიერთი პოტენციური მემკვიდრე ემალებოდა სასტიკ ნათესავებს მტრის სახელმწიფოებში და მრავალი წლის განმავლობაში უამრავ პრობლემას უქმნიდა მმართველ სულთნებს.

XV საუკუნეში ოსმალეთის იმპერიაში გამხოლოდ მე-17 საუკუნეში გააუქმა სულთანმა აჰმედ I-მა, რომელმაც მკვლელობა პატიმრობით შეცვალა.

1839 წლიდან ოსმალეთის იმპერიაში დაიწყო რეფორმები. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით

აია სოფია

დაკანონებული ძმათამკვლელობის პოლიტიკა არასოდეს ყოფილა პოპულარული ხალხში და სასულიერო პირებში. 1617 წელს სულთან აჰმედ I-ის გარდაცვალების შემდეგ, დაიწყეს ტახტის ყველა პოტენციური მემკვიდრის გამოკეტვა ტოპკაპის სასახლეში, სადაც ისინი ერთგვარ შინაპატიმრობაში იმყოფებოდნენ. კანონიერი უფლისწულისთვის განკუთვნილი ოთახი სულთნის ჰარამხანაში იყო და „კაფეს“ („საკანი“) ეწოდებოდა. ტახტის პრეტენდენტებს მკაცრი დაცვა ჰყავდათ, თუმცა მათ უარს არაფერზე ეუბნებოდნენ. ისინი ფუფუნებაში ცხოვრობდნენ, ჰყავდათ ხარჭები (რომლებსაც ეკრძალებოდათ შვილების გაჩენა), მაგრამ ვინმეს ნახვა, გარდა მსახურებისა, ეკრძალებოდათ. ამიტომ ბევრი შაჰზადი (სულთნის შვილი) საბოლოოდ შეიშალა ჭკუიდან მარტოობისგან. მათ ხომ, დამოკლეს მახვილივით, მუდმივ საფრთხეს უქმნიდა მეჰმედ II-ის კანონი და ნებისმიერ წამს მათ კისერზე შეიძლებოდა ჯალათის აბრეშუმის ზონარი აღმოჩენილიყო. სიკვდილის მუდმივ მოლოდინს ყველა კანონიერი უფლისწული ვერ უძლებდა.

მაგრამ თავად სულთნების ცხოვრებაც მუდამ მის გარშემო მყოფი მსახურების, დიდებულების, ცოლებისა და ხარჭების მეთვალყურეობის ქვეშ იყო. მიუხედავად მისი ძალაუფლებისა, სულთანს არ უნდა დავიწყდებოდა სასახლის ცერემონიები და ტრადიციები, რომლებიც მას უნდა შეესრულებინა. მაგალითად, მიუღებლად იყო მიჩნეული, რომ სულთანს ბევრი ელაპარაკა. ამიტომ, შემოღებული იქნა ჟესტების ენის სპეციალური ფორმა, და უზარმაზარი იმპერიის მმართველი დროის უმეტეს ნაწილს სრულ სიჩუმეში ატარებდა.

სულთანმა მუსტაფა I-მა ჩათვალა, რომ შეუძლებელი იყო ამის გაძლება და შეეცადა ამ წესის გაუქმება. მაგრამ ამაოდ – მის გარშემო მყოფმა ნათესავებმა და მრჩევლებმა დაარწმუნეს ფადიშაჰი, რომ ეს იქნებოდა ზნეობის სრული დაცემა. ბოლოს და ბოლოს, მუსტაფა ჭკუაზე შეიშალა. თუმცა, მისი სიგიჟე ძალიან თავისებური აღმოჩნდა. ის ზღვის ნაპირას მიდიოდა და ნავმისადგომიდან წყალში ოქროს მონეტებს ყრიდა, რომ „თევზებს მაინც დაეხარჯვათ ის სადმე“.

ატმოსფერო ტოპკაპის სასახლეში ფაქტიურად ინტრიგებით იყო გაჯერებული – ყველა იბრძოდა ძალაუფლებისთვის: ვაზირები, კარისკაცები და საჭურისები. ჰარემის ქალებმა დიდი გავლენა მოიპოვეს და შედეგად ოსმალეთის იმპერიის ამ პერიოდს „ქალების სასულთნო“ უწოდეს. აჰმედ III-მ ერთხელ თავის დიდ ვეზირს მისწერა: „თუ ერთი ოთახიდან მეორეში გადავდივარ, დერეფანში ორმოცი ადამიანი დგას, როცა ვიცვამ, მაშინ დაცვა მიყურებს... ვერასოდეს შემიძლია მარტო ყოფნა“.

ასეთი თავისებური მანერები და ჩვეულებები სუფევდა ოსმალეთის იმპერიის მბრძანებლის სასახლეში. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ისინი უფრო ჰუმანურები და ცივილიზებულები გახდნენ, მაგრამ სულთნებმაც მალე დაკარგეს ძალაუფლება, ხოლო ოსმალეთის იმპერია თურქეთის რესპუბლიკა გახდა.

ყველაფერი სიცოცხლისათვის

კიდევ ერთი პარადოქსი ოსმალეთის იმპერიის ცხოვრებიდან – სულთნის მსახურებს არ ჰქონდათ ჯალათის საშტატო თანამდებობა. სულთნის მიერ მის ქვეშევრდომებისთვის გამოტანილ სასჯელს აღასრულებდნენ სასახლის მებაღეები. მათ შეეძლოთ არა მხოლოდ სულთნის ბაღებში საოცარი ყვავილების გაშენება და თაიგულების შეკრება, არამედ სიკვდილმისჯილისთვის ერთი დარტყმით თავის მოკვეთაც. მებაღეები ასევე ფლობდნენ აღმოსავლურ ტანჯვა-წამების დახვეწილ ხელოვნებას – მათ ოსტატურად შეეძლოთ დამნაშავე ვაზირის სარზე ჩამოცმა ან მისთვის ტყავის გაძრობა.

ტოპკაპის სულთნის სასახლის ბაღში ორი კოლონა იდგა, რომლებზეც სულთნის ბრძანებით სიკვდილით დასჯილთა თავები ცოცხალთა დასაშინებლად იყო გამოტანილი. მათ გვერ-

ვიქტორ სერგეევი

ჟურნ. „ზაგადკი ისტორიი“, N17, 2019 წ.
თარგმნა მარიანა ბალასანიანმა

(გაგრძ. დასაწყ. იხ. N 10,12. 2022 წ.)

ჰენრი ლინჩის მოგზაურობა საქართველოში

ახალქალაქისკენ

ახალციხესა და ახალქალაქს შორის მანძილი 66 ვერსტია, რომელიც დაახლოებით 44 მილს შეადგენს. მგზავრობისას ოთხ ადგილას შეხვდებით საფოსტო პუნქტს, რომელთა შორის უმოკლესი მანძილი 9 მილია, ყველაზე გრძელი 12 მილი. ტარიფები, რომელიც ვგონებ ერთნაირი იყო, სადაც კი ვისარგებლეთ საფოსტო მომსახურებით, შეადგენდა სამ კაპიკს ან ერთ ფართინგს თითოეულ ვერსტზე, 12 კაპიკს ეტლისათვის ორ სადგურს შორის. როგორც ამბობდნენ, ბორბლების შეზეთვის საფასურს. გარდა ამისა, 10 კაპიკის გადასახადი იყო მთელი მგზავრობის მანძილზე თითოეულ ცხენზე, რომლის შემოსავალი მთავრობას გადაერიცხება დაქირავებულების მიერ, რომლებიც გუნდს ამარაგებენ. ფაეტონის შოვნა მთავარ პუნქტებშია შესაძლებელი და, ვგონებ, ამ ფუფუნებისთვის დამატებით საფასურს არ იხდი. ჩვეულებისამებრ, აბამენ მწკრივში ოთხ ცხენს და საბარგულს.

ხან ცაზე წრეს ურტყამდნენ, ხან შიშისმომგვრელ ფრიალო კლდეებზე ეშვებოდნენ. ამ პატარა მთების კიდეები ლავური წარმოშობისაა, გამომშრალი და ხრიოკი, რომელიც ალაგ-ალაგ ქანების ფენებისაგან შედგება, როგორც ციკლოპური კედლის წყობა. ახალციხიდან მეშვიდე საყეს, ვერსის საზომ ქვას ჩავუარეთ და ოთხნახევარი მილი დავფარეთ. ცოტაოდენი გზის გავლის შემდეგ ქართული სოფლის პირისპირ აღმოვჩნდით, რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირას, ბორცვზე მდებარეობდა.

მეცამეტე და მეთექვსმეტე საყეებს შორის (8½ და 10½ მილი) მთაგრეხილი იშლება და ნახევარი მილის სიგანის დაბლობს მიღმა სჩანს, თუ როგორ მიჰყვება იგი მარჯვენა ნაპირს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. ჩვენგან ხელმარცხნივ რამდენიმე უბადრუკ სახლს ჩავუარეთ. სოფელი, როგორც დავადგინეთ, ქურთებით იყო დასახლებული. უსიცოცხლო, ბორცვებიან მინაზე მოვხვდით, სადაც უნაყოფო, ყვითელმა გორაკებმა დაფარეს ჩვენი თვალთახედვის არე. ასეთი არემარე აკრავს საფოსტო სადგურ რუსთავს, ახალციხიდან 18 ვერსტის ან 12 მილის დაშორებით. პირველ ნახევრისთვის ცხენები შევცვალეთ, სადაც 15 წუთის წინ ვიყავით მისულები.



რუსთავსა და ხერთვისს შორის არემარის თავისებურებები ორიოდე სიტყვით შეიძლება აღიწეროს. ერთხანობას შიშველი, დაბალი მთები საზღვრად გასდევს მდინარეს ორთავე მხრიდან, მდინარის ნაპირებიდან ცოტაოდენი მოშორებით. მაგრამ ისინი ამფითეატრისებურ წრეებს წარმოქმნიან და თანაბარ ზედაპირს ტოვებენ მასსა და ნაპირს შორის. ველებს ზემოთ პატარა ნაკადულები მაღლობებიდან ეშვებიან და დაბურულ სიმწვანეს ქმნიან. რაც უფრო წინ მივიწევდით, მით უფრო ფართოვდებოდა ეს ოაზისები და აძლიერებდნენ კონტრასტს უნაყოფო, კლდეთა უდაბურ ზღუდეებსა და საამურ ბაღებს შორის, სადაც ფერად-ფერადი ჩიტები დაფრინავენ ცაში.

ამგვარად, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მაშინათვე, როგორც კი რუსთავი უკან მოვიტოვეთ, თვალი ასეთ ნანატრ შვებას ეზიარა – რუხი კლდეების მაღალი ქედი მდინარისაკენ ეშვებოდა, მაგრამ უხვ სიმწვანეს მისი ძირი შეემოსა. დატერასებულ ქვედა ფერდობებზე სიმინდის ყანები იყო და სურნელოვან ბალახში დეკეულები ბალახობდნენ. ნაკადულები მთლად მწვერვალებიდან იწყებოდა, სადაც ცაში ხეების კორომები გამოკვეთილიყო. ჩამომდინარე ნაკადულები პატარ-პატარა არხების ქსელს ერეოდა, რომელიც ნაყოფიერ მიწას კვებავდა. ასეთი იყო მუსულმანების სოფლის შემოგარენი, რომელსაც ღობიეთს უწოდებენ. ჩვენსკენ, მდინარის აქეთა მხარე, ლავური კლდის ლოდებით იყო მოფენილი. მოგრძო ხვლიკები ნაპრალიდან ნაპრალებზე დახტოდნენ და, ხასხასა, ლურჯგუნა, ყვითელფრთიანი ჩიტები ჩვენი მიახლოებისთანავე ფრინდებოდნენ.

მელოდია, რომლის პირველი ნოტებიც ადრიანად შემოგვესმა, ახალშენის, ასპინძისა და ხერთვისის ხეობაში უფრო და უფრო ძლიერდებოდა. პირველი რუსთავიდან ხუთიოდე მილის მოშორებით მდებარეობს და სახელს მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარე მუსულმანური სოფლიდან იღებს.[1] ახალშენი ტიპური აღმოსავლური სოფელია; საცხოვრისები ფერდობის ტერასებზეა შეფენილი, რომელსაც ძლივს გამოარჩევ მიწისაგან. გაგვაოცა ამ ციცაბო ალაგმა და სასიამოვნო ბაღებმა; ჩვენს ფერხთით, მტკვარი ლურჯად მოსჩქეფდა და ყვითელი ნაკადის გამჭვირვალე ზედაპირიდან ცის კაბადონს ირეკლავდა. ჩვენგან მარცხნივ მოსაზღვრე ქედების ნაცნობი კონტურები შევნიშნეთ, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადაჭიმულიყო.

შემდეგ, ასპინძისკენ მიმავალი გზა ისევ წინ გვქონდა, როცა ხეებით დაბურული ფართო ხეობა, გორაკებიდან მომავალი წყლები გამოჩნდა, რომლებიც პატარა ნაკადულებად ერთიანდებოდნენ და ნაყოფიერ მიწას სერავდნენ.[2] მუსლიმური ორი სოფლის ბაღებს ჩავუარეთ. გზაზე რამდენიმე მაცხოვრებელი შემოგვხვდა. უბადრუკი შესახედაობისანი იყვნენ; ერთ-ერთ მათგანს გამოველაპარაკეთ და საეჭვო ჭეშმარიტების ნაწილი გამოვარკვიეთ. ცხადია, რომ მტკვრის ხეობაში მოსახლე ყველა მუსულმანი უკმაყოფილოა. და ეს ორი თემიც გადასასახლებლად ემზადებოდა. რუსეთის მთავრობის ახლახანს გამოცემული განკარგულება ახსენეს, რომლის ძალითაც მათ რუსეთის ჯარში სამსახური მოეთხოვებათ და შესაძლოა მუსულმანების წინააღმდეგაც ებრძოლათ.[3] ასპინძა, რომელსაც მალე მივაღწიეთ, ასევე მუსულმანებით იყო დასახლებული. სოფლის ზემოთ ფერდობებზე ხეხილის ბაღებია და სულ მცირე ვაკე ადგილის კუთხე-კუნჭულიც კი დამუშავებულია. სიმინდს, თუთუნს და მარცვლეულის მონამკელ ადგილს ყველგან შეამჩნევდით. ეს ოაზისი არც ისე შორსაა საფოსტო სადგურიდან, რომელიც რუსთავიდან 16 ვერსტის (10,5 მილის) მოშორებითაა.

დაახლოებით სამი საათი იქნებოდა, როდესაც ამ სადგურს მივუახლოვდით; ბაღჩებში გემრიელი და წვნიანი საზამთროები მოჰყავთ და ჩვენს უღიმღამო ეტლიდან გადმოვსულიყავით და ჩვენი ნივთები სოფლის მაცხოვრებლებისათვის მიგვენდო, რომლებიც მათ მაღალი კლდის ციცაბო ფერდობების ქვემოთ ჩაიტანდნენ. ექვსი საათი იყო; ახალქალაქის მდინარე პატარა საცალფეხო ხიდით გადავკვეთეთ და ჩვენი კარვები დაჩრდილულ ბაღის ძირში გავშალეთ, მტკვრის ნაპირის მახლობლად.

ჩვენს გარშემო ათასი ჯურის ხალხმა მოიყარა თავი. რა მოდგმისანი, რა რწმენისანი არიან? – მუსულმანები! – გვიპასუხეს და ასეც მოველოდით. თუმცა, თუკი ამ ხეობების ჭრელ-ჭრელ ისტორიებთან დაკავშირებით ჩვენს ცოდნას არ ჩავთვლით, ცოტა რამ თუ იყო, რაც მათ ისლამთან დამოკიდებულებაზე მიგანიშნებდა. ბაღის მეპატრონის სახელი ბინ ალი ვაჩნაძეა, რომელიც ქართული და თურქული შერეული სისხლისა იყო; იგი ჩემი ილუსტრაციის შუაში დგას, ჩოხაში, რომელსაც ქუდი ერთ მხარეს მოუქცევია. მისი სახის აღნაგობა ქართულია, ღია ფერის თმებით; თუმცა კი ბიძამისი, ჰასან ბეი, თურქული ტიპია. მისი ნარევი ჩამომავლობა გამონაკლისი არაა სოფლის მაცხოვრებლებს შორის. ისინი თავს თურქებს უწოდებენ. მითხრეს, რომ მათი რაოდენობა 1500 სული იყო, 200 კომლი; რუსული აღწერა, რომელიც მათ ქართველებად მიიჩნევს, დაახლოებით იგივე ციფრს იძლევა.[4] მათ შორის თითო-ოროლა სომეხი ქრისტიანია; ხნიერმა, ხელჯოხიანმა კაცმა, რომელიც ჩემი ფოტოს შუაგულში ზის, გზიდან იმ საამო ადგილამდე გვიმეგზურა, სადაც კარვები გავშალეთ. იგი სომხური წარმომავლობისა იყო.

თუკი შეიძლება, რომ დიბუას მონაცემებს დავეყრდნოთ, მაშინ ხერთვისის მოსახლეობა 1833 წლიდან თითქმის გაორმაგებულა.[5] თუმცა, როგორადაც არ უნდა იყოს ეს, დაბა დაცემას განიცდის; მოსახლეობის დიდ ნაწილს სახეზე ტანჯვა აღბეჭდვოდა, რომელთაგან ბევრი რუსული მიწის დასატოვებლად ემზადებოდა. როდესაც დანგრეულ სახლებს შორის ქუჩებს ჩავუარეთ, შევნიშნეთ, რომ ზოგიერთი მაღაზია სამუდამოდ დაკეტილიყო. რისი ბრალია, რომ არ შეუძლიათ სისტემის ქვეშ კარგად იცხოვრონ? მათი უვარგისობის თუ რუსული ხელისუფლების პოლიტიკის, რომლებიც მუსულმანებს აბრკოლებენ მათი თურქული განწყობილების გამო? ან იქნებ სხვა მიზეზებია, რასაც ვერ დავადგენთ? ჩვენ იქ ცოტა ხანს დავყავით საიმისოდ, რომ ტყუილ-მართალი გაგვერჩია; და ადგილობრივი ავტორიტეტებიც მკაცრი თავშეკავებით გამოირჩეოდნენ, რომლებიც აშკარაა, რომ შიშს განიცდიდნენ.[6]

ახალქალაქის მტკვარი, იგივე თავფარავანი, როგორც მას ხანდახან ეძახიან, ხეობაში ჩრდილო-აღმოსავლეთიდან იჭრება. მოგვეჩვენა, რომ მასში მტკვრისოდენა წყალი იყო, რომელსაც იგი მორევივით ერთვის. ერთმანეთთან შერთული ნაკადები მცირე ხნით დასავლეთისაკენ მიემართებიან, მერე კი ჩრდილოეთისაკენ ნორმალურ დინებას განაგრძობენ. მდინარის შენაკადი ციხესიმაგრით დაგვირგვინებულ კლდეების ჩრდილოეთ მხარეს რეცხავს, რომელიც ალუვიური გრუნტის ზონას იცავს მის სამხრეთ ნაწილში. ციხესიმაგრე უხსოვარ დროსაა აშენებული; მართალია მისი ამჟამინდელი სტრუქტურა უძველესია, ის მაინც სხვადასხვა ეპოქას მიეკუთვნება. მცირე სამლოცველოიანი ციტადელი, რომელიც შვეული კლდის წვერს იკავებს, მეთოთხმეტე საუკუნის შუა წლების ნამუშევარია, როდესაც ქართველი ათაბაგები ფლობდნენ ამ მიწებს; დანარჩენი ნაწილი, რამდენიმე კოშკით, თანამედროვე პერიოდისაა.[7] თავად ვერ შევძელით ნაგებობა მოგვენახულებინა, თუმცა კი ქვემოდან მისი აღფრთოვანებული ცქერით არ დავმშვრალვართ. მის უკან ვულკანური ზღუდეები ამოზიდულიყო, სადაც უფრო ახალი ვულკანური ქსოვილი ლავის ძველ ფენაზე ცდილობდა გზის გაკვლევას და კლდეების არნახულ ღვარჭნილობას ქმნიდა.[8]

31 აგვისტო

ათ საათზე დავტოვეთ ახალციხე და სამხრეთისაკენ გავემართეთ, გავუყევით რა მარჯვენა ნაპირას მჩქეფარე მდინარეს. ეს ის გზა იყო, რომელიც მცირე ხნით საფარისკენ მიმავალ გზაზე გავიარეთ, საიდანაც ქალაქის თვალწარმტაცი სურათი მოსჩანდა. ჩვენსა და ნაკადულს შორის მდელო გადაშლილიყო, სადაც ქალაქის მაცხოვრებლების ცხვარ-ძროხა ბალახობდა – უნაყოფო მიწით გარშემორტყმული შებალახებული ვაკობი, რომელიც აღმოსავლეთისათვის ერთგვარ იშვიათობას წარმოადგენს. მდინარის იქითა მხარეს ნაპირი ბორცვებისა და გორაკების სახით ტალღოვანი ფორმით ამოზიდულიყო, ნაგვალვევი და ფხვიერი ზედაპირი, ნაყანევი ან გადამხმარი სარეველათი შეყვითლებული. ამ ყველაფრის ფონზე, ხუთიოდე მილის მოშორებით, მოსაზღვრე მთაგრეხილი დატოტვილიყო, რომლის მწვერვალები და ქედები ხეებს მეჩხერად დაეფარათ. ჩვენგან მეორე მხარეს, სამხრეთით, მთელ ხედს ფხვიერი მიწის შიშველი ბორცვები ფარავდნენ.

თითქმის ორნახევარი მილი დავფარეთ, როცა ჩვენს წინ მდინარეების – ახალციხის მდინარისა და მტკვრის, იგივე მდინარე არტაანის შესართავი გადაიშალა. ამ უკანასკნელს ორივე სახელით იცნობენ. მათი უშუალო კიდეებიდან გზამდე ალუვიური ნიადაგები გადაჭიმულიყო, რომელიც ორ ნაკადს შორის კუთხეს ავსებდა. მდინარის შემხვედრი ნაპირები მაღალია და ბორცვებითა და გორაკებთაა შემოსაზღვრული, რომელიც ყველაზე მეტად მტკვრის სანაპიროსთვისაა დამახასიათებელი. შეერთებული წყლები მსუბუქ ბორცვებს შორის იჭრება და მოსაზღვრე მთაგრეხილის კლდოვან წინაღობებში ინთქმება. მთაგრეხილი ახოვანი და შემართული მთების ზღუდეებია, ნანილობრივ ხეებით დაფარული. ტაფობში მდებარეობს ხეების საამო სიმწვანეში ჩაფლული სოფელი, რომელიც ოაზისია ამ უნაყოფო ლანდშაფტში. გვითხრეს, რომ სოფლის სახელი იყო წნისი, სადაც მუსულმანები სახლობდნენ; მის უკან ბინოკლით ბუნდოვნად გავარჩიეთ თბილისისაკენ მიმავალი გზა, რომელიც ვიწრო ხეობაში შედიოდა.

მას შემდეგ, რაც უნაყოფო ბორცვებს, რომლებიც ჩვენგან მარჯვნივ ხედს ფარავდა და მსუბუქ მაღლობს შემოვუარეთ, მტკვრის მარცხენა ნაპირას მივადექით და მის გასწვრივ, დინების მიმართულებით, ვიწრო სივრცეში გავაგრძელეთ გზა, როცა მარჯვენა მხარეს პატარა სომხური სოფელი მოვიტოვეთ, მდინარის კალაპოტისაკენ დავეშვით; ბოსტნეულის კვლები წყლის გასწვრივ გაეკეთებინათ, რომელსაც მყარი ხის ხიდი კვეთდა. მდინარე ჩვენსკენ მოედინებოდა, რომელსაც ის-ისაა თავი დაეღწია პირქუში შესახედაობის სალი კლდეების ვიწროებისთვის, რომელიც მწირი ბუჩქების თავშესაფარი გამხდარიყო. მის კიდეებს ალვის ხეები და სიმწვანის თხელი არშია გასდევდა.

ხეობის პირთან მდინარე 30 იარდამდე სიგანის იყო, ამოვსებული მიწითა და შლამით, რომელიც იტოტება და განივ და ქვიან კალაპოტს ქმნის, როგორც კი გაშლილ ვაკეზე გადის. როცა მეორე ნაპირზე ხიდი გადავიარეთ, მუსულმანების სოფელს ჩავუარეთ, სადაც ქალები სეზონურ მარცვლეულს ანიავებდნენ.

დღის დარჩენილი ნაწილის გავლა მდინარის ამ ნაპირზე გვიძევს; გზა უკან მოიტოვებს ვაკეს და ვიწრობებში იძირება, სადაც კლდეების ზღუდეებში ინთქმება მორევი. მტკვარი სასაზღვრო ქედის ძირს მიჰყვება, არღვევს ქედის განშტოებებს, სადაც იგი დოლუშ პუნარის (იგულისხმება ერუშეთის მთიანეთი - მთარგ.) განაპირა ადგილებს ხვდება. ზოგ ადგილას მისი სიგანე 50 ან ზოგან მეტ იარდს აღწევს და თვალს ვერ მიუწვდენ მის მოქუფრულ სიღრმეებს; თუმცა ის, მეტადრე, ვიწრო და მეჩხერი ნაკადი უფროა, რომელიც აქაფებული ეხეთქება კლდეებს. მარცხენა ნაპირიდან, მთებს შორის გაჭრილ გზას რომ ჩაუვლით, მას პატარა შენაკადის კამკამა წყლები უერთდება, – მდინარე ურაველი, რომელიც საფარასთან ჩვენგან ქვემოთ მიიკლაკნებოდა.

საუცხოო ამინდი იდგა; გრილი ჰაერი, კაშკაშა მზე და ცის სილურჯეში მოფარფატე რამდენიმე ღრუბელი. არწივის რომელიღაც პატარა სახეობები ტრაპეზში სიამეც შეიტანა. მაგრამ სასიამოვნო არემარე უკვე კარგა გვარიანად გვაქვს უკან ჩამოტოვებული; და ახლა ისევ ხრიოკი ხეობის გზაგასაყარზე ვიდექით. დაბალი ქედები მდინარესთან კლდოვან ქარაფებად ბოლოვდებიან, რომლებიც ნაპირამდე ვიწრო არშიად ეშვებიან. ეს ნაკლებად საინტერესო ზღუდეები ასპინძის ხეობიდან თითქმის ხერთვისის შემოგარენამდე გრძელდება.

ამგვარი იყო ის ერთფეროვანი სურათი, რომელსაც რუსული გზა მიუყვებოდა ჩვენი სამხრობის შემდგომი მგზავრობის განმავლობაში. გვერდით მდინარე მოგვყვებოდა, რომლის ნაკადიც ჩვენს პირისპირ მოემართებოდა. წყალმარჩხ ადგილებში, ნაპირის სიახლოვეს, გრძელი და ფართო ქვები წრიულ ფორმებს ქმნიდნენ. როგორც გვითხრეს, ზამთარში ამ ადგილებში თევზს იჭერენ ოჩხების საშუალებით, რომელთაც საპირისპირო მიმართულებით ალაგებენ. ზაფხულობით ქართველი მეთევზე თავის ბადესაა მინდობილი; საძნელო საქმე ძირითადად შეამხანაგებულებიდან ერთ-ერთს გადაეცემა, რომელიც საზღაურად მხოლოდ ცოტაოდენ წვრილ-წვრილ თევზს იღებს. ჩვენზე შთაბეჭდილება გაღმა ნაპირის ლავის ქარაფების ზომებმა მოახდინეს, რომელთა წინა მხარე სფეროსებურ მასივებად ჩაწყობილიყო და უშუალოდ წყლების კიდეებიდან წამოზიდულიყვნენ.

ბოლოს გადაგვეშალა არემარე, – ამ ოაზისებიდან ყველაზე ვრცელი, ხერთვისის ნაყოფიერი ხეობა. ფერდობებზე ტერასებად შეფენილი ხეხილის ჩამწკრივებული ბაღები შორიდანვე ამის მაუწყებელია. აკვედუკებისა და არხების კარგად დაგეგმარებული და გულდასმით შემუშავებული სისტემა, რომელიც ყოველი მიმართულებით ანაწილებს წყალს. შემდეგ გზა ზემოთ, ფერდობისკენ მიემართება და თვალწინ დამზაფვრელად გასაოცარი სურათი იშლება. შენგან ქვემოთ, ორი მდინარის შესართავთან კონცხს შუა საუკუნეების ციხის კარგად შემონახული ნიმუში აგვირგვინებს, რომელსაც ბუმბერაზი კლდეების ფონზე კოშკები წამოუზიდავს. სოფელი ციხის ძირში შეყუჟულა, რომელიც თითქმის შეუმჩნეველია ხშირი ხეების გამო. ამდაგვარია ციხე და დაბა ხერთვისი, რომელიც ახალქალაქის მდინარის მტკვართან შერთვის ალაგას მდებარეობს. გზა ახალქალაქის მდინარეს მარჯვენა ნაპირიდან მიუყვება და სადგური დაბიდან ცოტაოდენი მოშორებითაა. საჭიროება მოითხოვდა, ეტლიდან გადმოვსულიყავით და ჩვენი ნივთები სოფლის მაცხოვრებლებისათვის მიგვენდო, რომლებიც მათ მაღალი კლდის ციცაბო ფერდობების ქვემოთ ჩაიტანდნენ. ექვსი საათი იყო; ახალქალაქის მდინარე პატარა საცალფეხო ხიდით გადავკვეთეთ და ჩვენი კარვები დაჩრდილულ ბაღის ძირში გავშალეთ, მტკვრის ნაპირის მახლობლად.

ჩვენს გარშემო ათასი ჯურის ხალხმა მოიყარა თავი. რა მოდგმისანი, რა რწმენისანი არიან? – მუსულმანები! – გვიპასუხეს და ასეც მოველოდით. თუმცა, თუკი ამ ხეობების ჭრელ-ჭრელ ისტორიებთან დაკავშირებით ჩვენს ცოდნას არ ჩავთვლით, ცოტა რამ თუ იყო, რაც მათ ისლამთან დამოკიდებულებაზე მიგანიშნებდა. ბაღის მეპატრონის სახელი ბინ ალი ვაჩნაძეა, რომელიც ქართული და თურქული შერეული სისხლისა იყო; იგი ჩემი ილუსტრაციის შუაში დგას, ჩოხაში, რომელსაც ქუდი ერთ მხარეს მოუქცევია. მისი სახის აღნაგობა ქართულია, ღია ფერის თმებით; თუმცა კი ბიძამისი, ჰასან ბეი, თურქული ტიპია. მისი ნარევი ჩამომავლობა გამონაკლისი არაა სოფლის მაცხოვრებლებს შორის. ისინი თავს თურქებს უწოდებენ. მითხრეს, რომ მათი რაოდენობა 1500 სული

გაგრძელება გვ.14 ▶

[1] ბროსე ახსენებს ახალშენის ეკლესიასა და კოშკს, რომელიც აღსანიშნავია თავისი კომპოზიციური არქიტექტურითა და კარზე დახვეწილი მოჩუქურთმებული ჯვრითა და ცხენზე ამხედრებული წმ. თეოდორეს ფიგურით (Voyage archéologique en Transcaucasie, St. Petersburg, 1849, 1re livraison, 2me rapport, p. 150).

[2] არც დიუბუა (Voyage autour du Caucase, Paris 1839–43, vol. ii. p. 330) და არც ბროსე (დასახ. თხზ., გვ. 176) არაფერს ახსენებენ, გარდა იმისა, რომ ასპინძა გაიარეს. თუმცა დიუბუა გვამცნობს, რომ იმ დროისათვის ასპინძის ყველა მაცხოვრებელი ქართულად ლაპარაკობდა, გარდა მოლისა, რომელიც არც ისე დიდი ხნის მოსული იყო მცირე აზიიდან. იგი უმატებს, რომ ისინი უწინ ქრისტიანები ყოფილან და მათ ძველ ეკლესიას აქამდე მოუღწევია, რომელიც ახლა დანგრევის პირასაა.

[3] არ გადამიმოწმებია მათი განცხადება, რომელიც სხვაგანაც რამდენჯერმე გაიმეორეს, რომ თითქოს 1890 წლის დადგენილებით ისინი ვალდებულნი იქნებიან სამხედრო სამსახურისთვის განკარგულების გამოსვლიდან ათი წლის შემდეგ

[4] 229 კომლი, 1360 მოსახლით (1886 წლის მოსახლეობის აღწერა)

[5] მის მიხედვით მოსახლეობა 800 სულია (დასახ. თხზ., ტ. II, გვ. 304)

[6] დიუბუა გვამცნობს (დასახ. თხზ., ტ. II, გვ. 298-299), რომ ამ მხარის მუსულმანები ძველი ქართველი მკვიდრი მოსახლეობაა, რომელთაც საფარ ფაშამ აიძულა 1625 წელს ისლამი მიეღოთ. აქვე უმატებს, რომ სომხებმა შესძლეს ამ შევიწროებისაგან თავი დაეღწიათ, რომელთაც მაშინდელმა სულთანმა რწმენის თავისუფლება მიანიჭა, როგორიც ეს ფრანგების შემთხვევაში იყო საფრანგეთში.

მდინარე მტკვარი არსებითად ქართული მდინარეა, მაშინაც კი, როდესაც იგი კვეთს იმ მხარეებს, რომელიც გეოგრაფიულად სომხეთის ზეგანს ეკუთვნის. ქვეყნის ისტორიასა და ხასიათზე, რომელიც მტკვრის ზემო დინებას შეეხება შესაძლოა დიდი სამსახური გაგვიწიოს დიუბუასა და ბროსეს უკვე ციტირებულმა თავმა, ასევე კოხის ნაშრომმა „მოგზაურობა პონტოს მთებში“, ვაიმარი, 1846 წ.

[7] აქ უნდა დავიმოწმო დიუბუა (დასახ. თხზ. ტ. II, გვ, 302) და ბროსე (დასახ. თხზ., გვ. 152)

[8] აბიხი ასე ხსნის ამ ფენომენს (Geologische Forschungen in den kaukasischen Ländern, part iii. p. 31)



ვახტანგ გურული – 70

გილოცავთ, ბატონო ვახტანგ!

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია თავის ერთგულ მკითხველებთან ერთად ულოცავს ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვახტანგ გურულს დაბადების 70 წლის იუბილეს.

ბატონი ვახტანგის სამეცნიერო მუშაობა მრავალ მიმართულებას მოიცავს, იგი დიდი ხანია იკვლევს საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიას, წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიას, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის და ქართული დიპლომატიის ისტორიას (XIX–XX ს.ს.), უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიას (ლიტერატურათმცოდნეობა). იგი 550-ზე მეტი ნაშრომის ავტორია, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თარგმნილია ათამდე უცხო ენაზე. მისი თითოეული ნაშრომი გამოირჩევა მაღალი აკადემიური დონით.

ვახტანგ გურული მრავალი სახელმძღვანელოს ავტორიცაა.

წლების მანძილზე იგი მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამჟამად კი საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორია.

ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ბატონი ვახტანგი აქტიურად თანამშრომლობს „ლიტერატურულ მესხეთთან“ და არაერთი საინტერესო ნაშრომიც გამოაქვეყნა, რომლებმაც მკითხველ საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ვსარგებლობთ რა შემთხვევით, კიდევ ერთხელ ვულოცავთ ჩვენი გაზეთის დიდ გულშემატკივარს ღირსეულ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს სამეცნიერო მოღვაწეობაში.

დაფუძნდა აფხაზური ცენტრი

ულმობელი დრო მარადიულ ტკივილებს გვიტოვებს ხშირად და სულსა და გულს გვიმძიმებს ამ ტკივილებით რომ ვიაროთ. მაგრამ ერთია ერთი კაცის შინაგანი ტკივილი და მეორე – ქვეყნის ავბედითობით გამოწვეული ტკივილი.

საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე გახსნილ იარად გვრჩება და არავინ იცის სადამდე გაგრძელდება ძირძველი ქართული მიწის – აფხაზეთისაგან გამოწვეული ტკივილი.

აფხაზეთი... მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ტაო-კლარჯეთისა და ისტორიული ჰერეთის (საინგილოს) ბედის გამზიარებელი თუ 21-ე საუკუნის ცივილიზებული სამყაროს თანადგომის იმედად დარჩენილთათვის ნაპერწკლის გამონათება?...

და ამ ნაპერწკლის გაჩირაღდნებისათვის კი, უპირველესად ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ, რამეთუ მარტო სხვის მოიმედეობა გაღმა ნაპირზე გაყვანის ნაკლები შანსის მომცემია. მშვიდობიანი ბრძოლაა დღეს უფრო მეტად საჭირო, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს. ამის კარგ მაგალითს იძლევა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდების ინიციატივა – პარტნიორ ორგანიზაციასთან – აფხაზთა და ქართველთა ერთობის საზოგადოება – „ერთობა ხვალისთვის“ ერთად ამავე უნივერსიტეტში დაფუძნებულიყო „აფხაზური ცენტრი – მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის!“ უნივერსიტეტის რექტორატის მხარდაჭერით კი ამა წლის 26 დეკემბერს შესაძლებელი გახდა ამ ცენტრის საზეიმო გახსნა, რომელსაც დაესწრო საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, რეგიონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, სტუდენტი ახალგაზრდები და მოწვეული სტუმრები. ახლადგახსნილ „აფხაზეთის ცენტრში“ თვალსაჩინო ადგილი უკავია აფხაზი პოეტის, დრამატურგის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწისა და თერგდალეულთა თანამოაზრის გიორგი შერვაშიძე-აჩბას აფხაზი ხალხისადმი სიკვდილის წინა დღეს, 1918 წლის 18 თებერვალს მიწერილ მიმართვა-მოწოდებას – რუსული ხელისუფლების დამთრგუნველი ძალის წინააღმდეგ.

ცენტრის ოფიციალური გახსნის შემდეგ ღონისძიებამ გადაინაცვლა სააქტო დარბაზში, სადაც უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ ისაუბრა სტუდენტი ახალგაზრდების ამ მეტად საშურ და საინტერესო ინიციატივაზე და დეტალურად გააცნო ცენტრის მიზნები და ამოცანები, კერძოდ, მისივე თქმით – უნივერსიტეტი დგას სამ ძირითად ღირებულებაზე – ესაა თავისუფლება, ეროვნულობა და ტოლერანტობა. ესაა სივრცე, სადაც თვისებრივი აკადემიური გარემოს ფარგლებში ნებისმიერ თვალსაზრისს მოისმენ. ჯანსაღი დისკუსიის ფარგლებში განვიხილავთ ნებისმიერ მიდგომას, აკადემიურ დონეზე ვიმსჯელებთ სტუდენტი ახალგაზრდობის ჩართულობით პრობლემებზე... ვიცით რა ეროვნულობისა და იდენტობის ფასი, უნივერსიტეტი პატივს სცემს ნებისმიერი ადამიანის ინიციატივას. ჩვენი მთავარი მიზანი სახელმწიფოს გაძლიერების ხელშეწყობაა. ტოლერანტობა ჩვენი ყოველდღიურობაა, ღირებულება კი ჩვენი ცხოვრების წესი. ამ მთავარი ღირებულებებით ვხსნით აფხაზურ ცენტრს, რათა ვიყოთ თავისუფლები... არ დავუშვათ ის, რაც ქართველთა და აფხაზთა შორის მოხდა.

აფხაზური ცენტრის გახსნის დიდ მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომრის პირველმა მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ, აფხაზთა და ქართველთა ერთობის საზოგადოების – „ერთობა ხვალისთვის“ ხელმძღვანელმა, გიორგი შერვაშიძის შთამომავალმა, გიორგი შერვაშიძემ, პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ გამახარიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა დავით ფაცაციამ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა

მინდია ოკუჯავამ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ზურაბ ხონელიძემ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველმა რექტორმა მერაბ ბერიძემ, ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერებმა გოჩა ქიმაძემ და როსტომ მაგრაქველიძემ, ახალციხის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლომიძემ, სამცხე-ჯავახეთის მხარის რწმუნებულის მოადგილემ დავით ვარდიაშვილმა, ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლებმა თამარ კორტმა და დავით ნასყიდაშვილმა.

საკ. ინფორმაცია

გალაკტიონი მესხეთ-ჯავახეთში

(დოკუმენტური მოთხრობა)

ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲮᲐᲜ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ

დიდი ხნის ნატვრა აუსრულდა გალაკტიონს. ბოლოს და ბოლოს მოგვარდა მისი მესხეთ-ჯავახეთში გამგზავრება... 1955 წლის ზაფხულის მზიანი საღამო იყო. ცის დასალიერზე ჩამავალი მზის სხივები წყნარად ელაცლიცებოდა თრიალეთის მთებს.

– ესეც ასპინძა! – თქვა პოეტმა. მერე მძღოლს სთხოვა, წუთით გაეჩერებინა ავტომანქანა.

ერთხანს გარინდებული იდგა. ფიქრებში ჩაფლული მდუმარედ მისჩერებოდა ასპინძის ციხის ქონგურებს. მერე „პობედის“ კარის სახელურს მოჰკიდა ხელი. გამოაღო.

– შენ რაღას იტყვი, ძამიკო, დრო-ჟამმა დაგვიქცია სამცხე, მაგრამ ისევ დრო ანახლებს მას. ავტომანქანაში მჯდარი პოეტის თანამგზავრები ვახტანგ გურგენიძე და გივი კიღურაძე იღიმებოდნენ.

– გამოცდილი მეჩვენები, ვახტანგ. ალბათ, გიხარია, კვლავ მშობლიურ მხარეში ხარ და ვინძლო, კარგი მასპინძლობა გაგვიწიო.

ვახტანგმა თვალი ჩაუკრა გივის. მერე პოეტს მიუბრუნდა:

– ბატონო გალაკტიონ, თქვენზე ამბობენ, ფეხით სიარული უყვარსო, მთელი დღე ისე ივლის, ერთს არ ჩაიმუხლებსო. მესხეთში კი, როგორც მოგეხსენებათ, ფეხით სასიარულო ძალზე ბევრია. ასე რომ, ახალგაზრდებს არ უნდა ჩამოგვრჩეთ.

– ჩემი რა მოგახსენოთ და, ბატონ გივიზეც გამიგონია – ფეხით სიარული უყვარსო. აქაც ვინძლო წინ გაგვიძღვეს, ახალგაზრდაა და გზის გამკვლევადაც გამოგვადგება.

ყველას სიცილი აუტყდა. გულიანად იცინოდა გივიც. მერე მუცელზე ხელები შემოიჭდო. თითქოს აგრძნობინა პოეტს, მართლაც და გამიჭირდება ფეხით სიარულიო.

...

კარგად დაბინდებული იყო, როცა ახალქალაქიც გამოჩნდა, გაჩახჩახებული იყო ჯავახეთის გული.

– ვახტანგ ბატონო, როგორ არის ნათქვამი: მე ჯავახეთს რა მიშვდაო... მართლაც და, რა უშავდა ამ ბარაქიან მიწაზე მცხოვრებთ. ერთხელ გამოივლი და გონებაში ჩაგებეჭდება ეს მშვენიერი ბუნება – მთები, ხეობები და ქარაფებზე გადმოკიდებული ნაკადულები. მადლიანი მიწა გვაქვს ქართველებს, მადლიანი... პოეტი აღტაცებას ვერ ფარავდა.

სასტუმროში სიწყნარე სუფევდა. ადმინისტრატორმა ქალმა ოთახი მიუთითა სტუმრებს. მერე, თითქოს რაღაცა გაახსენდაო, ადგილიდან წამოდგა. თვითონ წარუძღვა მათ და მეორე სართულზე აიყვანა. ნომრის კარები გამოაღო, მოსულები ოთხნი იყვნენ, ნომერში კი სამი საწოლი აღმოჩნდა.

გალაკტიონი და ვახტანგ გურგენიძე

გალაკტიონი წყნარად მიმოდიოდა ოთახში, მერე აივანზე გავიდა.

– ვახტანგ, ვახტანგ ბატონო, შეიძლება ერთი წუთით?

ვახტანგ გურგენიძე სწრაფად გავიდა აივანზე. პოეტის გვერდით დადგა.

– გივი, გივი სად არის?

– გივი მძღოლს ეხმარება ბარგის ამოტანაში და ისიც მალე აქ გაჩნდება.

– ამ ციხეს შეაწყვიტა ალფ-არსლანმა თავისი რჩეული მხედრობა? მერე დააქცია და, ვინ იცის, რამდენ ქართველს დაუბნელა მზე... მას შემდეგ ბევრჯერ დაქცეულა და აშენებულა ამ ციხის კედლები. მშვიდობას მოწყურებულ ჯავახელ კაცს ხან კალმახი ენატრებოდა და ხან დიკის პური. პერიოდულად აიყრებოდა და ეხიზნებოდა საქართველოს შიდა რაიონებს. მაგრამ მშობლიური კუთხის დაკარგვა არც ისე ადვილია, ბიძიკო...

ბადრი მთვარე ანათებდა გარემოს. წყნარი ღამე იყო. გალაკტიონმა წვერზე ჩამოისვა ხელი. ხვალ უთენია მოგვიწევსო ადგომა, – თქვა წყნარად. მერე ოთახში შევიდა.

ადმინისტრატორი თადარიგს შესდგომოდა – გასაშლელი საწოლის მოსატანად წასულიყო. ვახტანგი და გივი ცივი წყლით იგრილებდნენ სახეს. ოთახში რომ დაბრუნდნენ, გაოცებულები შედგნენ კარებშივე: გალაკტიონს იატაკზე გაეშალა პლედი, თავქვეშ ხელჩანთა ამოედო და მშვიდად ეძინა.

ვახტანგი და გივი შეცბდნენ. დაენანათ პოეტის გაღვიძება. ისევ გივიმ იკისრა „ეს ძნელი მისია.“ თვალები მოიფშვნიტა პოეტმა, – რა მოხდაო? – იკითხა.

– თქვენი საწოლი მზად არის, ბატონო გალაკტიონ. – თითქმის სხვისი ხმით უთხრა გივიმ.

– ჩემი?! – გაოცებით იკითხა პოეტმა.

– მე, ბიძიკო, აქაც კარგად ვგრძნობ თავს. ახალგაზრდები უნდა გაუფრთხილდეთ ჯანმრთელობას. – თქვა თავისთვის. მერე მეორე მხარისაკენ გადაბრუნდა და ძილს მისცა თავი.

პოეტის თანამგზავრებმა მცირე ფიქრის შემდეგ მაღლა ასწიეს პოეტი და საწოლზე დააწვინეს. მერე სინათლეც ჩააქრეს ოთახში.

ვახტანგმა თვალები რომ გაახილა, აივანზე გასულიყო პოეტი. ერთ ხელში ავტოკალამი ეჭირა, მეორეში უბის წიგნაკი და თავისთვის რაღაცას წერდა. მალე გივიმაც გაიღვიძა. ვახტანგმა ჩუმად ანიშნა, არ იხმაუროო და პოეტისკენ მიახედა.

– დავაგვიანეთ. ალბათ ახალქალაქელებმა უკვე გაიგეს გალაკტიონის მოსვლა. სირცხვილია, შუადღემდე ხომ არ ვიწვებით ლოგინში.

გალაკტიონი ხმაურზე ოთახში შემოვიდა.

– აბა, კრიტიკოსებო, მომისმინეთ, – თქვა წყნარად და რბილი, ხავერდოვანი ხმით დაიწყო:

გადმოვლახეთ მთა და სერი,
მოვიარეთ ჰანგძლიერი,
მშვენიერზე მშვენიერი იმერეთი,
ქართლ-კახეთი.
ჟამთა ცელმა ვერ აჩალა
თვალწარმტაცი მთა და ჭალა,
და, ჰა, თვალწინ გაიშალა –
ძველი მესხეთ-ჯავახეთი!
აქ ვარძიის მკვიდრ სავანეს ცა ანათებს
თაფარავნის,
მთა მრავალი ამირანის,
მრავალ საუკუნის სვეტი.
იყოს მრავალჟამიერი უძველესი
ჩვენი ერი,
მისი სახე, მისი ფერი,
მისი მესხეთ-ჯავახეთი!
ვნახულობდით მთებში მწყემსებს,
და ვმღეროდით ახალ ლექსებს,
რომ დროს გააუკეთესებს შრომა მხვნელი,
შრომა მჭედი,
რომ მშვიდობა არ თავდება,
რომ მზე ამოთავთავდება,
და კვლავ უფრო აყვავდება
ჩვენი მესხეთ-ჯავახეთი!
ამოძრავდეს მთა და ქედი,
გამობრწყინდეს ქართლის ბედი,
ახმაურდეს ვეფხი მეტი,
მეტის ძალის და იმედის.
დღეგრძელობდეს მესხი! თან ის,
მესხი უახლოეს ხანის,
მესხი „ვეფხის ტყაოსანის“,
მესხი – მესხეთ-ჯავახეთის!

თანამგზავრები სულგანაბული უსმენდნენ.

– ასეა ბიძიკო, – ჯერ უნდა განიცადო, გულთან ახლოს მიიტანო, იმ გრძნობით დაიწვა და ქაღალდზე მერე გადმოიტანო ლექსად გულში ნამღერი სტრიქონები...

აგვისტოს მზე აბულის მთას ასცდენოდა მაღლა. პოეტი კვლავ ხმამაღლა კითხულობდა ახლად შექმნილ ლექსს „მესხეთ-ჯავახეთი.“ სასტუმროს გარშემო ხალხი მოგროვილიყო. ყველა გულისფანცქალით ელოდა პოეტის გამოჩენას.

მატიანე

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ჟურნალისტები. 1980-იანი წლები.
სურათი მოგვაწოდა ვალერიან ლომიძემ

ახალი გამოცემა

ახლახან გამოვიდა ცნობილი ქართველი მეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, არმენოლოგ ბონდო არველაძის სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი „სამცხე-ჯავახეთის ბედისწერა“. მასში გადმოცემულია სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ეს ის დროა, როცა მეფის რუსეთმა ეს მხარე გაანთავისუფლა ოსმალთა ბატონობისაგან.

ამავე დროს, ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ნაჩვენებია ახალი „მფარველის“ მიერ სამცხე-ჯავახეთის დაცლა მკვიდრ ქართველთაგან.

ავტორმა დიდი ძალისხმევა გასწია, რომ მოეპოვებინა და გაეანალიზებინა არაერთი უცნობი და ნაკლებად ცნობილი საარქივო მასალა და ფაქტი.



წიგნი განკუთვნილია, პირველ რიგში, ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის.

ჰენრი ლინჩის მოგზაურობა საქართველოში

◀ დასაწყისი გვ. 12

მდინარეს მარჯვენა ნაპირიდან მივყვებოდით, პატარა ბილიკით, რომელიც უბრალო ნაკვალევი უფრო იყო, ვიდრე ბილიკი. მალე დაჩრდილული ჭალები უკან ჩამოვიტოვეთ. ჩვენი პატარა, ჭკვიანი ცხენები ხანდახან იძულებულნი იყვნენ თითოეული ნაბიჯი სწორად შეერჩიათ, სადაც კი მოულოდნელად წამომართული კლდე ან დაცვენილი ქვის ბლოკები სწორ სანაპირო ზოლს ხერგავდნენ. ამ არედან მდინარის ვიწრო ხეობას ორივე მხრიდან მაღალი სერები აკრავს; აქა-იქ ხრიოკი კლდეებით, უმეტესად ქვებით მიმოფანტული ფერდობებით, რომელზეც მწირი და გადამხმარი ბალახი შეფენილა. არანაირი ოაზისი, ადამიანის ნიშან-წყალი, ცხოველის სიცოცხლის კვალიც კი. არემარეს უხვი ნათელი ეფინებოდა და მტკვარი უზარმაზარ ლოდებს ეხეთქებოდა, რომელთაც მისი კალაპოტი ჩაეხერგათ. თუმცა ამინდი შესანიშნავი იყო და ცის სილურჯეში კაშკაშა ღრუბლები მიმოფანტულიყო.

ამ ვიწრო ხეობაში ერთსაათიანი მგზავრობის შემდეგ ციხესიმაგრისა თუ ციხე-დარბაზის ნანგრევებს მივაღწიეთ და უფრო ღია ალაგას გავედით. ხეობა მდინარის მარჯვენა ნაპირზე ბორცვებისა და მინდვრების არათანაბარ რიგებად გადაჭიმულა. ლერწმით გარშემორტყმულ მცირე ზომის ტბას ჩავუარეთ, ისეთ ლურჯსა და კამკამას, თითქოს ძვირფასი ქვა ყოფილიყოს უდაბნოში. ამ ტბას სულუხს, ეძახიან, ანუ წურბელების ტბას; ჩვენმა მეგზურმა, ჰასან ბეიმ გვითხრა, რომ უამრავი წურბელა სცოდნია იქ. ტბის გაღმა მდებარე ღარტაფში მუსულმანთა სოფლის, მარგასტანის ბაღებს მივადექით. ამ ოაზისისა და ჩვენს ზემოთ ზეგანის მიღმა დავინახეთ, როგორ ვინროვდებოდა ხეობა, როგორ მიედინებოდა მდინარე ხეობაში და როგორ ეშვებოდნენ კლდეები შვეულად; გზა გვიჩვენეს, რომელიც კლდის ნაპირს მიუყვებოდა და ხეობის ხახაში შედიოდა.

გადავჭერით, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, შემოვუარეთ ვულკანურ წრეს, ჩამქრალი კრატერის შუაში გაჩენილ ტბას, რომლის მეცნერულად შესწავლილი ანგარიში დიუბუამ დაგვიტოვა.[9] ვულკანური მთების გიგანტური ჯებირის გაელით ჩვენს წინ ვინროობია, რომელიც თითქოს სასწაულებრივად გადაიშალა პატარა დინების მიმართულებით.

დაახლოებით კლდეების საშუალო სიმაღლეზე დაკლაკნილ ბილიკს მივუყვებით. ჩვენგან საკმაოდ ქვემოთ აქაფებული მდინარე ხმაურობს. საუცხოო სურათია, გრანდიოზული მასშტაბის, ბუნების უცნაური მოვლენა, რომელიც აქამდე არც ერთ ჩვენგანს არ უხილავს. ვულკანური ფენები შვეულ ნაპრალებს დაებზარა და ჩვენს ზემოთ კონგლომერატული კლდის უზარმაზარი მასები მთისაგან თითქმის გამოყოფილიყო. შედუღაბებული ბლოკების ეს წყობა მათ ციხე-კოშკის შესახედაობას სძენს, რომელიც ადამიანის ნახელავს ნაკლებად ჰგავს; იმუქრებიან, რომ ხეობაში ჩაინთქმებიან; ბედისწერა, რომელსაც ბევრი მათგანი უკვე დაჰმორჩილებიან. ისინი მაგონებენ მონპელიე ლე ვუს ეშმაკის ქალაქს, სევენებში, საფრანგეთში, რომელიც ამასთან შედარებით უბრალო სოფელია. კლდეების სიმუქე, გასასვლელის სიკუშტე, სალი კლდეების სიმაღლეები, რომლებიც ღარტაფების ბინდიდან ამოლივლივდებიან უფსკრულის ზემოთ 500-600 ფუტის სიმაღლის დაკბილულ მწვერვალებამდე – ეს ყველაფერი აძლიერებს იდუმალებას და ბოროტი ძალების არსებობას დაგაჯერებს. ჩვენს საპირისპირო მხარეს, მარცხენა ნაპირზე, უსწორმასწორო თხემის მუქი კონტურები, რომელთაც ძნელად გამოარჩევდით კლდისაგან. ნაშენი კედლის დანგრეული ნაშთებითაა დაგვირგვინებული. ნაშალი კედლების გრძელი ხაზი მიანიშნებს, რომ აქ მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე ყოფილა; ქვემოთ, სიღრმეებში, შვეული მთის ძირში. კედელი ბოლო მთის ფერდობზე ეშვება, წყლის კიდემდე და მდინარის კალაპოტიდან ხეობამდე მისასვლელს ზღუდავს. ღარტაფში რამდენიმე უბადრუკი ქოხი მოსჩანს: ვინ უნდა ცხოვრობდეს ამ უცნაურ და მარტოსულ ადგილას? გვეუბნებიან, რომ ისინი ქურთები არიან, ისე, თითქოს ადამიანები არ ყოფილიყვნენ – თურქული დროის აქამდე მოღწეული კვალი. ნანგრევები ზედა თმოგვის ნაშთია, ამ მიწების ისტორიაში ცნობილი სიმაგრე.[10]

ამ ხეობის უკან ველი იშლება და შემდეგ ნაკადი ჩვეულ დენას აგრძელებს, რომელსაც დიდრონი სერები საზღვრავს. რაც უფრო წინ მიიწევ, დაბლობი უხვ სიმწვანეში ეფლობა, ხოლო ხეხილის ბაღები კი ჩრდილში. ველურია ეს ხეხილი თუ დარგული? ამ არემარის მეტისმეტ უკაცრიელობას იშვიათად არღვევდა სულიერის გამოჩენა. მტკვარში ფეხით გავედით და მდინარის ნაპირების ამ ნალკოტისაკენ გავემართეთ. კლდის ძირში ვიყავით, სადაც საკმაო სიმაღლეზე პირდაფჩენილი გამოქვაბულების არათანაბარ რიგებს დინახავდით მდინარის კალაპოტის ზევით. ეს მღვიმეები ვულკანური ქანების ფენებშია გამოკვეთილი, რომელსაც არაჩვეულებრივი სიგლუვე და ხორცისფერი ელფერი აქვს. ფენები მწვერვალამდე არ ადის, რომელიც მონაცრისფრო ელფერის კონგლომერატისაგან შედგება.

ინგლისურიდან თარგმნა
რუსუდან ბერიძემ

(გაგრძელება იქნება)

[9] დიუბუა (დასახ. თხზ. ტ. II, გვ. 308); ბროსე (დასახლ. თხზ. გვ. 165), რომელიც გვაწვდის ცნობას წუნდის შემოგარენის შესახებ; და აბიხი (დასახ. თხზ. ნაწილი III, გვ. 34). მკითხველს ვურჩევდი გაეცნონ ამ ორ ბოლო მწერლის გეოლოგიის ანგარიშს ზედა თმოგვის ხეობის შესახებ (თხზ. III, გვ. 35, 36)

[10] ბროსე ბოლომდე დარწმუნებული არაა ამაში (დასახ. თხზ. გვ. 165). ახალქალაქის მაზრის უფროსს ეჭვი არ ეპარებოდა მათი იდენტიფიცირების სისწორეში

ფოლკლორი

***

იყო გულზვიადი, პატივმოყვარე, ლაღი მეფე. ჩვეული იყო მუდამ, სმენადი თავისი ქვეშევრდომებისაგან, ხოტბა, ქება-დიდება არ აკლდა.

ამის სამეფოში ცხოვრობდა პირუთვნელი, შეუპოვარი, გულთმისანი მგოსანი, რომელიც ანგარიშს არ უწევდა მეფის გადაწყვეტილებას, არც ეახლებოდა მეფეს.

ერთ დღეს მეფემ მოილხინა: ნადიმზე პირმოთნე მგოსნები და მელექსეები შესხმას უხვათ სძღვნიდნენ მეფეს.

შეზარხოშებულმა მეფემ გაიხსენა მისი ურჩი, გულთმისანი მგოსანი.

– ბრმა მონახეთ, მომგვარეთ ჩემი ურჩი მგოსანი, რომ მიმღეროს, ხოტბა მომახსენოს. ამავე დროს მოიხმო თავისი მესაიდუმლე ვეზირი, მალულათ უბრძანა სასახლის კარის ბჭედან, ვიდრე ეზოს ჭიშკრამდე, გათხარეთ ვიწრო და ღრმა თხრილი, ზედ ძვირფასი ხალიჩებით დაჰფარეთ, ეზო სადღესასწაულოთ მორთეთ, ყველა ეს, ურჩი მგოსნის მოსვლამდე, მზათ იყოს და სასახლის აივანზე განცხრომით განაგრძო ლხინი. პირმოთნე ამალა, დიდებულნი და კარის კაცნი ქათინაურებს და ხოტბას ხოტბაზე სძღვნიდნენ. მთვრალი მეფე წინასწარ განიცდიდა სიამეს, რომ ურჩ მგოსანს ასეთი მახე მოუწყო, – სასტიკათ დასჯის, თავს სიცილს დააყრის.

მონახეს მგოსანთ მგოსანი. აცნობეს მეფის ბრძანება...

მოვიდა მგოსანი. მეფეს აცნობეს მგოსნის მოსვლა. მეფე ამალით ჩამოვიდა ქვემოთ, კარის ბჭეს შიგნით გაჩერდა.

მგოსანი მოადგა სასახლის ეზოს ჭიშკარს, მხარზე ჩონგურ ჩამოკიდებული. მოავლო გარემოს თვალი, რა დაინახა ეზო სადღესასწაულოთ, სანაქებოთ მორთულ-მოკაზმული, ჭიშკრის კარიდან სასახლემდე ძვირფასი ხალიჩებით დაფენილი, კარის ბჭესთან მდგომი მეფე, თანხლებული დიდებულებით, მგოსნის შესახვედრად, გაოცდა... ერთ წუთს ჩაფიქრდა მგოსანი, გულში უნებლიეთ იგრძნო ხიფათი, არ გადადგა ფეხი ჭიშკრის შიგნით. მოავლო ხედვით გონების თვალი გარემოს, დააკვირდა მეფეს, მისას ხლებულთ. შეამჩნია, რომ რაცხა, არა ჩვეულებრივი, გამომცდელი მოლოდინით, დასცქერის მეფე-მგოსანს. მგოსანმა გადმოიღო მხარიდან ჩონგური, ჩამოკრა სიმებს და:

ადღეგრძელოს ღმერთმა მეფე,
ეზო კარგათ აუგია,
ხალიჩებიც დაუგია,
ქვეშ რომ თხრილი გაუთხრია,
მგოსანს გულით გაუგია.

მგოსნის ასეთმა, გულღია მხილებამ, პირუთვნელმა ლექსმა მოხიბლა, აღაფრთოვანა მეფე, რომელსაც დაავიწყდა შურის ძიების ჟინი, მთავარი მცნება დაკარგა, აღფრთოვანებული მეფე, მგოსნის მისნობით პირუთვნელი ლექსით გაბრუებული, გეექანა მგოსნისკენ, რომ რაინდულათ გადახვეოდა მისან-მგოსანს, რომ თავისი ყურადღებით დეეჯილდოვა.

როგორც კი რამდენიმე ბიჯი წარსდგა წინ, ღრმა თხრილზე დაფენილი ხალიჩა ჩაიშალა, მეფე თანხლებული ამალით შიგ ჩავარდა. თქმულა: შენმა დარგულმა ნიორმა, შენვე დაგთხარა თვალები.

ნიკო გაბრიელის ძე ასათიანი.
ქ. ახალციხე, 25 დეკემბერი, 1929 წელი,
შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის
ლიტერატურის ინსტიტუტი,
ფაა 5610

***

ზეკარზე ფეხით გადავალ,
უფალს მივაწვდი ხმასაო,
დიდება მესხეთს – ქვეყნის ბურჯს,
ქართველთა იმედს, ხმალსაო.
ბედი ჰქონიათ მესხებსა,
ქართველთა ტყუპის ცალსაო,
გმირს, მამულისთვის დაღუპულს,
ქრისტე წაიყვანს ცასაო.
ომს განგმირული ვაჟკაცი
იპოვის უფლის გზასაო,
წუნდის ტაძარში ემთხვევა
წმინდა გიორგის ხატსაო.
სხვა უფალს არ ცნობს სამცხელი,
ჰკოცნის კუმურდოს ჯვარსაო.
ვართ ქართლოსისა ჯიშისა,
ქრისტეს მოდგმა ვართ ერთიან,
ღმერთიც ქართველობს
მესხეთში,
ომში თვით მესხი ღმერთია.

***

ბუზმარეთში დავიბადე,
შევისწავლე უფლის ენა,
ქვაბლიანზე ხიდი გავდე –
მოდრეკილი ცისარტყელა.
გავაღმერთე შოთას ლექსი,
მესხთა ტკბილი დედაენა,
სულის საზრდო ქართველთათვის,
ფრთების გაშლა ,აღმაფრენა.

***

შენ გემონება ვაჟკაცი,
ქალოჯან გულის მწველსაო,
თავს გვირილებით მოგირთამ,
ჯვარს ჩამოგკიდებ ყელსაო.
ლექსებს მოგიძღვნი უთვალავს,
ჰანგებს გიმღერებ ძველსაო,
თქვენს ბანზედ გადმოვივლი და
დაჩოქილი გთხოვ ხელსაო.
უარს ნუ მეტყვი, ლამაზო,
თავს ჩამოვიხრჩობ ძელსაო,
ნეტავი ერთხელ მამთხვია
შენსა ყირმიზა[1] ყელსაო.

***

ზარზმის კედლებში გინთებდი სანთელს,
ვითომ ვიყავი მეც ანგელოსი,
მუხლმოდრეკილი, თვალცრემლიანი,
მლოცველი ჩემი საქართველოსი.
ქართველნი რომ ვართ, მართლა
ვქართველობთ,
ცოცხლები კიდო ვხარობთ შენითა,
ამდენ ჭირ-ვარამს როგორ გაუძლო,
აუწერელი კაცთა ენითა

მთქმელი ოსიკო გიქოშვილი, 88 წლის,
ახალციხე, სოფ.ივლიტა.
ჩაიწერა სოსო გიქოშვილმა
2022 წლის ნოემბერში.

1 ყირმიზი-თეთრი ფერი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.
სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com